მხურვალე ბოლშევიკური სალამი IX ყრილობას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეთოთხმეტე
კომუნისტი
საქ. კ. პ. (ბ) ცეკ-ს და თფ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81
ოთხშაბათი, 10 იანვარი 1934 წ.
№ 9 (3865)

დიდი ბელადის მითითებათა მტკიცეთ გატარებით, ძალთა სწორი განაწილებით და მშრომელთა ენტუზიაზმის აზვირთებით საქართველოს კომპარტიამ ახალი ხელმძღვანელობის მეთაურობით მიაღწია მე-9 ყრილობისათვის უმნიშვნელოვანეს შედეგებს სოცმშენებლობის ყველა ფრონტზე და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ძლევამოსილად განაგრძობს შეტევას უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის

მეცხრე

ლენინ-სტალინის დიდი პარტიის რთგული რაზმი — საქართველოს ოლშევიკური პარტია—იკრიბება ავის მე-9 ყრილობაზე. დღეს, როესაც ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავირი, აჯამებს ლენინის გარდაცვაების შემდეგ მისი საუკეთესო მოაფის და თანამებრძოლის, მისი საქის გენიალური გამგრძელებლის მხ. სტალინის ხელმძღვანელობით კანასკნელი ათი წლის მანძილზე ანვლილი გზის უდიდეს მიღწევებს. ათი წელი ლენინის გარდაცვაებიდან — ეს უდიდესი ეპოქაა, ოდესაც **„მთელი მსოფლიოს მშრომლთა ასეული მილიონების წინაშე აცობრიობის ისტორიაში პირველად საქმით დადასტურდა, რომ შეძლებელია სოციალიზმის აშენება რთ ქვეყანაში"** (ამხ. მოლოტოვის ა კუიბიშევის მოხსენებათა თეზიებიდან). ეს არის ბოლშევიკური რძოლების და გამარჯვებათა რდის სიძნელეების დაძლევის და ოციალიზმის ძლევამოსილი მსვლეობის ეპოქა, ეპოქა სტალინის. ეპოქის შინაარსი პირველი ხუთლედის მსოფლიო ისტორიული ნიშვნელობის მიღწევებია: შორელი ტაიგის ველებში მოგუგუნე უზნეცკის და მაგნიტოგორსკის მეალურგიული ქარხნების ბრძმედე, და ბლიუმინგები, ურალის მანქაათმშენებელი ქარხანა, საავტომოილო და სატრაქტორო ქარხნები, ეული მილიონობით მეტრი საბჭოა ქსოვილები, ფართო მოხმარების აგნები, საკოლმეურნეო მინდვრეის უხვი მოსავალი, შეძლებული და ულტურული კოლექტიური ცხოვება, რომელიც ფოლადის სიმტკიით იჭედება და საბჭოთა კავშირის ელი სიმდიდრე, მშრომელთა მიონების შემდგომი ბრძოლებისათის მზადყოფნასა და ენთუზიაზმზე მრავლებული.

ამ ეპოქის ორი უკანასკნელი ლის განმავლობაში, საქართველოს ომპარტიის (ბ) მერვე ყრილობიდან ღერემდე მოპოებულია საქ. კ. პ.) ცენტრალური კომიტეტის 1931 ლის 31 ოქტომბრის ისტორიული ადგენილების განხორციელების სამეილზე მნიშვნელოვანი მიღწეები, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრაური კომიტეტის და პირადათ **ხ. სტალინის** უშუალო დახმარეით, ამიერ-კავკასიის სამხარეო კოიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრაური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელთაც სათავეში უდგას მობრძმედილი ბოლშევიკი **ამხ. ლ. რია**, საქ. პარტორგანიზაციებმა აჩაღეს ენერგიული ბრძოლა 31 ქტომბრის დადგენილების და საქ. ომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობის გააწყვეტილებათა განუხრელად განორციელებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკებმა ტკიცედ მოჰკიდეს ხელი სამეუო პრობლემების გადაჭრას და სა ით გამოასწორეს პარტორგანიზაებში ძველი ხელმძღვანელობის . მამულია და სხვ.) მიერ დაშვეული უხეში პოლიტიკური შეცდობი. გადამწყვეტი ბრძოლა გაჩაღ ა კულაკურ-მენშევიკურ წინააღეგობის დასაძლევად, ბრძანებლობა და ადმინისტრირების პრაქიკის აღმოსაფხვრელად სოფლად, „ტამანშჩინის" და ჯგუფობრივოს ელემენტების გასანადგურებად. და დღეს, როგორც არასოდეს, ქართველოს კომპარტია მოვიდა -9 ყრილობაზე ორგანიზაციათ და იდეურათ განმტკიცებული ა შემჭიდროებული პარტიის ბეადის ამხ. სტალინის გარშემო. იერ-კავკასიის სამხარეო კომიტეის და საქართველოს ცენტრალური მიტეტის გარშემო.

დაკარწახებულმა, სტალინურმა შაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი. ი წლის განმავლობაში, მერვე ილობისა და 31 ოქტომბრის დაენილების შემდეგ, საგრძნობი გატეხა მოხდა ქვეყნის სამეურნეო კულტურული ცხოვრების ყველა რგში, რესპუბლიკა დაადგა სამერნეო აყვავების და განვითარების, იდარ საწარმოო ძალთა გამოყენეს უფართოეს გზას, გადაიქცა საბთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე სპუბლიკად.

ჩვენ ავაგეთ და მერვე ყრილობის მდეგ ავამუშავეთ მეტალურგიის განტი—ზესტაფონის **ფერომარგაის ქარხანა, რიონის ჰიდროელსაური, რკინის კონსტრუქციების რხანა ტფილისში, ბუნებრივი საავების ფაბრიკა ბათომში,** გავართოვეთ **ზაჰესი**, სერიოზული შაობა ჩავატარეთ **ტყვარჩელის** ქვანახშირის მაღაროების სამზადებლად საექსპლოტაციოდ; რტიის და ხელისუფლების გაწყვეტილებათა საფუძველზე **ტყიბულის** და **ჭიათურის** მაღააების და **რკინის გზის ტრანსპორის** მუშაობის არსებითად გარდაქისათვის.

შესამჩნევად განვითარდა საქარელოს სოციალისტური მრეწველო მისი პროდუქციის ხვედრითი ნა სახალხო მეურნეობაში 46 ოცენტიდან (1931 წ.) გაიზარდა ,8 პროცენტამდე, ხოლო საერთო **ოდუქცია 144-დან 250 მილიონ** მანეთამდე; ამავე პერიოდში კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობის ხაზით გაიზარდა 53 მილიონი მანეთიდან 115,7 მილიონ მანეთამდე.

ის ახალი მშენებლობათა წარმატებით განვითარებასთან ერთად, რომელიც ახლა მიმდინარეობს, წელს ჩვენ გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ორ სამჯერ გავადიდოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, ვადაზე და გადაჭარბებით შევასრულოთ საწარმოო პროგრამა.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა მტკიცე დირექტივა - ფართოდ განვავითაროთ იმ გიგანტურ შესაძლებლობათა გამოყენება, რომელიც მოიპოვება ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის პირობებში, რომ საბჭოთა კავშირი უზრუნველვყოთ ძვირფასი **ტექნიკური და სპეციალური კულტურებით.**

ლენინური შტაბის ამ დირექტივის შესასრულებლად ჩატარებულია თვალსაჩინო მუშაობა ძირითადი კულტურა— **ჩაი,** რომლითაც მეორე ხუთწლედის დასასრულს ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ძირითადად საბჭოთა კავშირის მოთხოვნა, საქართველოში გაშენებულია 33.325 ჰექტარზე. ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აღდგენილი და რემონტქმნილია უკანასკნელ ორ წელში; გატარდა ღონისძიებანი ჩაის ხარისხის და მოსავლიანობის გასადიდებლად. მოსავალმა ერთ ჰექტარზე მიაღწია 850 კილოგრამს; მაგრამ ამით დაკმაყოფილება ოდნავადაც არ შეიძლება. ჩვენ უნდა გავშალოთ ბრძოლა იმისათვის, რომ ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 3—4 ათასი კილო ჩაი და გადაჭრით გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი.

თამბაქოს კულტურის განვითარების დარგში წელს მნიშვნელოვანი მიღწევაა. აღებული ხაზი თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისა უნდა გაგრძელდეს ბოლომდე; თამბაქოს რაიონების, განსაკუთრებით აფხაზეთის (სადაც თამბაქოთი დაკავებულია 12 ათასი ჰექტარი) და ლაგოდეხის ბოლშევიკებმა უნდა გააჩაღონ გადამჭრელი ბრძოლა ამ ამოცანის შესასრულებლად.

ცენტრალურმა კომიტეტმა— ამხ. სტალინმა, ჩვენს წინაშე დააყენა **ციტრუსოვანი კულტურების** ყოველმხრივ განვითარების საბრძოლო ამოცანა. აჭარისტანის და აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროები წარმოადგენენ იმ რაიონებს, სადაც ახლო ხანში შეიქნება საბჭოთა ფლორიდა და კალიფორნია. ამ რესპუბლიკების და მთელი საქართველოს პარტორგანიზაციის ღირსების და სახელის საქმეა პირნათლად შეასრულოს ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის ეს დავალება.

სხვაგვარად გამოიყურება დღეს საბჭოთა საქართველოს **საკოლმეურნეო სოფელი.** პარტორგანიზაციების ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომების თანმიმდევრად გამოსწორების საფუძველზე, მიღწეულია სოფლად **პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება,** მტკიცე ნიადაგზე სწარმოებს საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი განვითარება და კოლმეურნეობათა გამაგრება ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. ამ მხრივ გასულ წელს მოხდა არსებითი გარდატეხა. ამხ. **სტალინის** გენიალურმა ლოზუნგმა კოლმეურნეთა **შეძლებულად** და კოლმეურნეობათა ბოლშევიკურად გადაქცევის შესახებ აამოძრავა კოლმეურნეთა ფართო მასები, გააღვივა შემოქმედებითი ენთუზიაზმი, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ტალღები აზვირთა საკოლმეურნეო მინდვრებზე. „განსაკუთრებით მოხვდა გულს—სწერენ თავიანთ წერილში ამხ. ბერიასადმი კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯის" (ლაგოდეხის რაიონი) წევრები—საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის სიტყვა, რომ ყველა კოლმეურნე შეძლებული უნდა გავხადოთ, ამ სიტყვებმა პირდაპირ სასწაული მოახდინა, კიდევ უფრო შეაყვარა ყველას საკოლმეურნეო მინდორი, საკოლმეურნეო ქონება, გააღვიძა და გამოაფხიზლა ზარმაცებიც.

— აი კოლმეურნეთა მართალი და გულწრფელი სიტყვა, უხვი საკოლმეურნეო მოსავლით და შეძლებული ცხოვრებით გამაგრებული სიტყვა, რომლითაც ახლა ლაპარაკობენ კოლმეურნეთა მილიონები. კოლმეურნეობა „პირველ ნაბიჯში" წელს ერთი შრომა-დღე ნიშნავდა 27 გირვანქა მარცვლეულს და ორ მანეთს ფულად. 540 ფუთი პური და 1600 მანეთი ფულად — აი რა მიიღო ამ კოლმეურნეობის წევრის **ვარდენ პეტრიაშვილის** ოჯახმა წელს საკოლმეურნეო შრომის შედეგად. და აი, დაიწყო ზრუნვა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის, კოლმეურნე პეტრიაშვილის ოჯახმა უკანასკნელ 4—5 თვეში შეიძინა ორი რკინის საწოლი, ტანსაცმელების და სასადილოს შკაფები, ჯიბის **საათი და სხვ. საოჯახო ნივთები.**

ასობით და ათასობით დაითვლებიან დღეს ჩვენს რაიონებში ასეთი მოწინავე, დამკვრელი კოლმეურნეები, შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების გზით მიმავალი გმირები, რომელთათვის შრომა გადაიქცა მამაცობის, სახელის და ღირსების საქმედ.

მიღწევები მრეწველობის და სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში წარმოადგენს მატერიალურ საფუძველს, რასაც ეყრდნობა საქართველოს მშრომელთა **კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების** სისტემატიური გაუმჯობესება, მათი საარსებო დონის ზრდა. შეუჩერებლად იზრდება პირველ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების, საბავშო ბაგების, ბაღების და მოსწავლეთა რიცხვი, დამთავრდა ოთხწლედის ფარგლებში სავალდებულო საყოველთაო სწავლების გატარება, იჭედება და ვითარდება საბჭოთა საქართველოს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა — მწერლობა, მხატვრობა, თეატრი, კინო ბეჭდვითი სიტყვა, ფართოვდება რადიო გადაცემის ქსელი, რესპუბლიკა ჩქარი ნაბიჯით მიდის სამეურნეო და კულტურული აყვავების გზით, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებით, მოძმე რესპუბლიკათა თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე, კიდევ უფრო გამაგრდა ამიერ-კავკასიის ფედერაცია. ჩამორჩენილ, აგრარულ - ინდუსტრიალურ ქვეყნიდან, ამიერ-კავკასია მასში შემავალ რესპუბლიკებით გადაიქცა მოწინავე, ინდუსტრიალურ—აგრარულ ქვეყნად, დიდი საბჭოთა კავშირის მარგალიტად.

მეორე ხუთწლედი უდიდეს პერსპექტივებს შლის ამიერ-კავკასიის, კერძოდ საქართველოს წინაშე. რესპუბლიკის დიდი ბუნებრივი სიმდიდრეთა მოყვანა მოძრაობაში, საწარმოო ძალთა განვითარება კიდევ უფრო ჩქარი ტემპებით, საწარმოო პროგრამის შესრულება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის სავსებით და ყველგან უზრუნველყოფა — აი რაში მდგომარეობს ამოცანა. ამ დიდ სამუშაოთა პრაქტიკულ პროგრამას შეიმუშავებს საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-9 ყრილობა, რომელიც შეაჯამებს ჩვენს დიდ მიღწევებს, ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე გამოამჟღავნებს ჩვენი საქმიანობის ყველა ნაკლს და დარაზმავს პარტორგანიზაციებს მეორე ხუთწლედის მეორე წლის ამოცანათა შესასრულებლად, განსაკუთრებით საქონლის ბრუნვის გაშლის და ტრანსპორტის პრობლემის გადასაჭრელად, ორგანიზაციული მუშაობის გარდასაქმნელად ახალი ამოცანების შესაბამისად.

ჩვენ შემდგომ წარმატებათა საუკეთესო საწინდარს წარმოადგენს ლენინური პარტიის რკინისებური მთლიანობა, ბრძოლა ბოლშევიკური იდეურობისათვის, გამანადგურებელი ცეცხლი მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც ახლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის, „მემარცხენეთა" და კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნამსხვრევების ნაშთების წინააღმდეგ, თანამიმდევრობითი და განუხრელი ბრძოლა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის და პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარებისათვის.

15 დღის შემდეგ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დედა ქალაქში—მოსკოვში გაიხსნება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-17 ყრილობა, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ დარაზმული მებრძოლების ჩვენი ეპოქის ყველაზე საუკეთესო და ყველაზე მოწინავე ადამიანების ყრილობა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ყრილობა. საქართველოს კომპარტია, ლენინის პარტიის ერთგული რაზმი, იდეურათ შედუღებული მიდის ამ ყრილობაზე, რომლის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთელს ჩვენ ქვეყანაში გაიშლება დიდი შემოქმედებითი მუშაობა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ ძირითადად დამტკიცებულ ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის და ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებათა თეზისებში მოცემულია ამ შემოქმედებითი მუშაობის პროგრამა, ნაჩვენებია გასაღები ამ პროგრამის განხორციელებისათვის. ამ ლენინურ სტალინური თეზისების განხორციელების საფუძველზე, საქართველოს მე-9 და საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-17 ყრილობათა ბოლშევიკური გადაწყვეტილების განხორციელების საფუძველზე, ლენინის და სტალინის საქმის გამარჯვებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ წავალთ წინ ახალ ბრძოლებში საბჭოთა კავშირში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, მსოფლიო ოქტომბრისათვის.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-9 **ყრილობას.**

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის კოლმეურნეთა

წერილი ამხ. ლავრენტი ბერიას

„კომუნისტში" წავიკითხეთ, რომ საქართველოს ბოლშევიკების მე-9 ყრილობა 10 იანვარს გაიხსნება და, რომ შენ ამ ყრილობაზე მოხსენებას გააკეთებ. და ჩვენ, მოწინავე რაიონის მოწინავე კოლმეურნეობის წევრებმა გადავწყვიტეთ მოგწეროთ ცოტა რამ ჩვენი ბრძოლის, გამარჯვებების, ნაკლოვანებების და საჭიროებათა შესახებ.

როგორ დავიწყეთ

ჩვენი კოლმეურნეობის „პირველი ნაბიჯის" ჩამოყალიბებას ჩვენი და მახლობელი სოფლების ბობოლები გაცოფებული შეხვდნენ. რას არ მიმართეს მათ; რომ მოესყიდათ ისინი. მაგრამ ამაოდ. ბოლოს გარეგნულად შეწყვიტეს თითქოს ბრძოლა და კოლმეურნეობაში შეძვრენ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ციხე შიგნიდან გაეტეხათ.

მაგრამ მტრებს იმედი გაუცრუვდათ, მათ ჭკუას არ ავყევით, კულაკები გავდევნეთ, არტელის წესდებაზე დავრჩით და გავამაგრეთ.

გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგო ლავრენტი, რომ ზოგიერთი ჩვენგანი, თუმცა კოლექტივის წევრად ირიცხებოდა, კარგა ხანს იყო ისევ კულაკების გავლენის ქვეშ და მათ რჩევას უგდებდა ყურს.

კულაკები, რომლებზეც ზევით მოგახსენეთ, თუ სადმე ჩაიგდებდენ ხელში კოლექტივის მერყევ წევრებს, ვითომ დიდი გულშემატკივრობით ეუბნებოდენ მათ, რომ კოლექტივში მუშაობა ფუჭია, რადგან შენს ნაშრომს მთავრობა და ზარმაცები წაიღებენო.

ამან ერთხანს საგრძნობი ზარალი მოაყენა კოლმეურნეობას. 1930-31 წელს ზოგი ჩვენგანი ან სრულიად გაურბოდა საქმიანობას, ან ზანტად მუშაობდა, ამიტომ მოსავალი და შემოსავალი ისეთი ვერ მივიღეთ, როგორიც უნდა მოგვეღო.

მაგრამ პარტიის და მთავრობის დადგენილების გატარებამ, სანარდო სისტემის შემოღებამ, ზარმაცებთან ბრძოლამ მალე მოუღო ბოლო უთავბოლობას ჩვენს კოლმეურნეობაში.

ზარმაცებიც გაბეჯითდენ

განსაკუთრებით მოხვდა გულს საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** სიტყვა, რომ ყველა კოლმეურნე შეძლებულად უნდა გავხადოთო; ამ სიტყვებმა პირდაპირ სასწაული მოახდინა; კიდევ უფრო შეაყვარა ყველას საკოლმეურნეო მინდორი, ქონება, გააღვიძა და გამოაფხიზლა ზარმაცებიც. ავიღოთ თუ გინდ ჩვენი კოლმეურნეობის წევრი **შალიკო კაპანაძე**, რომელიც ყველაზე ზარმაცად ითვლებოდა. 1932 წელს, მას მხოლოდ 60 შრომა - დღე ჰქონდა გამომუშავებული და მხოლოდ 20 ფუთი პური მიიღო. სტალინის სიტყვის შემდეგ მანაც გაახილა თვალი, გაბეჯითდა, ერთგულად **ჩაება** საკოლმეურნეო მუშაობაში. წელს მას გამომუშავებული აქვს 240 შრომადღე. მიიღო 150 ფუთი მარცვლეული და ფულიც.

მიმდინარე წელიწადი ჩვენ განსაკუთრებით ნაყოფიერად ჩავატარეთ და მოსავალიც არნახული ავიღეთ.

შარშან შრომა-დღეზე მივიღეთ 10 გირვანქამდე მარცვლეული და, 1 მან. ფული. წელს თვითეულმა ჩვენთაგანმა შრომა - დღეზე მიიღო 27 გირვანქა მარცვლეული და ორ მანეთამდე ფული, ანგარიშში არ შეგვაქვს ღვინო, ხილი, ბოსტნეული, რომელიც უხვად მოვიწიეთ.

ავიღოთ ცალკე კოლმეურნეები: **ვარდენ პეტრიაშვილის** ოჯახს გამომუშავებული აქვს 800 შრომადღე. მიიღო 540 ფუთი პური და 1600 მანეთამდე ფულად. შემოდგომაზე შეიძინა **შიფონერკა, ორი რკინის კრაოტი, სასადილო შკაფი, ჯიბის საათი, შეკერილი ტანისამოსი, თეთრეული და წვრილმანი ნივთები.**

იოსებ არჩვაძემ 384 შრომა-დღეზე მიიღო 322 ფუთი პური და 750 მანეთი ფული. შემოდგომაზე შეიძინა **შიფონერკა,** ერთი დუჟინი ხელის სკამი, ორი რკინის კრაოტი, დასაკიდი **ლამპა, ველოსიპედი, კოსტიუმი, შინელი, ჩექმები, ფართალი 140 მეტრი და სხვ.**

ასეთი მაგალითი ბევრია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. გეტყვით საერთოდ: **წელს ოჯახის მოწყობილობა (ბუფეტი, შიფონერკა, რკინის კრაოტები, ხელის სკამები, ლამპები და სხვ.), შეიძინა ჩვენი კოლმეურნეობის 30 წევრმა. სა[illegible]ები აიშენეს შვიდმა, ველოსიპედები შეიძინა ოთხმა.**

უძროხო წევრი აღარ გვყავს. თვითეულ კოლმეურნეს ყავს რამდენიმე სული ღორი და რამდენიმე ათეული ფრინველი.

სასიამოვნოა ჩვენი ოჯახების ნახვა

ამხ. ლავრენტი! ამ დიდ საქმეს ჩვენ ვერ გავაკეთებდით, რომ სათავეში არ გვდგომოდა და ყოველდღიურად არ დაგვეხმარებოდა ჩვენი კომუნისტური პარტია, რაიონული კომიტეტი და სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილება.

რაიონული კომიტეტის და პოლიტგანყოფილების მუშაკები ჩვენი საყვარელი მეგობრები და ნამდვილი მასწავლებლები გახდენ.

ამას წინად მოვაწყეთ ზარმაცების კონფერენცია; როცა ჩვენ შევარჩიეთ ამ კონფერენციის დელეგატები, გამოვაკარით მათი სია და გამოვიწვიეთ კონფერენციაზე დასასწრებლად, ისინი დაიწვენ სირცხვილით, დაფაცურდენ და გამოსწორდენ. ასეთები არიან: ამბროსი კობახიძე, ვასილა ტყაბლაძე; ბაგრატა ხვედელიძე, შ. კაპანაძე, რომლებსაც დღეს უკვე ას ორმოცდაათიდან ორასამდე და მეტი შრომა - დღე აქვთ გამომუშავებული.

ჩვენ ახლა ვცდილობთ სუფთად და განათლებულად ვიცხოვროთ. ამ მხრივ ჩვენ უკვე გვყავს სამაგალითო წევრები, რომლებიც პირველთა რიგებში დგანან საკოლმეურნეო მინდვრებზე და ოჯახიც სუფთად აქვთ მოწყობილი; რომ შეხვიდე ჩვენი დამკვრელი კოლმეურნეების არქიფო შეყელაძის და სერგო მოდებაძის ეზოებში, სახლებში დაათვალიეროთ მათი ლოგინი, თეთრეული, ტანისამოსი, ჭურჭელი, — პირდაპირ გესიამოვნებათ. ყველგან სისუფთავე და წესრიგია.

ჩვენი გეგმები

საშემოდგომო თესვის გეგმა ჩვენ ვადაზე 20 დღით და გასულ წელთან შედარებით 2 თვით ადრე დავამთავრეთ. დავთესეთ 81 ჰექტარი. გეგმით გათვალისწინებული კი გვქონდა 77 ჰექტარი. თამბაქოსათვის მძრალად უნდა მოგვეხნა 18 ჰექტარი, მოვხანით 28 ჰექტარი.

სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებები პირნათლად მოვიხადეთ პირველ კალოდანვე ჩავაბარეთ სახელმწიფოს 4 ტონა მაღალხარისხოვანი პური. **თამბაქოს ჩაბარება 10 ნოემბერს, ე. ი. ვადაზე სამი თვით და 20 დღით ადრე დავამთავრეთ. 18 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 21,4 მაღალხარისხოვანი თამბაქო.** ასევე რძის ნაწარმოები, ხორცი, და სხვ.

საგაზაფხულო თესვისათვის **უკვე მზადა ვართ, შეკეთებული გვაქვს მანქანა - იარაღები.** მუშა-პირუტყვს ვინახავთ თბილ და ნათელ ბოსელში. ჩვენი მეჯინიბეები და მუშა - საქონლის მომვლელი დილა საღამოთი სწმენდენ საქონელს საურავებით და, ჩოთქით. ბოსლები სუფთათ აქვთ შენახული. საქონელი კარგად მოვლილი და გამოკვებილია. საქონლის საკვები **მეტი** გვაქვს შენახული, ვიდრე გვჭირდება.

სიკვდილი მალარიას

ამხანაგო ლავრენტი, პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით ჩვენ დავიწყეთ დიდი საქმე. დაუზოგავი ბრძოლა გამოვუცხადეთ ჩვენი გეგმებისა და ჩვენი ჯანმრთელობის სასტიკ მტერს — მალარიას.

მარტო მიმდინარე წელს მალარიამ მთელს კოლმეურნეობას დააკლო 2.000-ზე მეტი შრომა - დღე, ე. ი. 1.400-მდე ფუთი პური და 4.000 მანეთი ფულად. ასე დიდად დასწია უკან მალარიამ ჩვენი კოლმეურნეობა. ასევე დააზიანა მან ჩვენი კოლმეურნეთა ოჯახები.

და ამ ჩვენ სასტიკ მტერს ჩვენ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ. ჩვენ და ჩვენი რაიონის თვითეული კოლმეურნეობის წევრი შევუდექით ეზოებში, ქუჩებში და მინდვრებზე ჭაობების დაშრობას, ორმოების ამოვსებას და სისუფთავის დაცვას, რომ მოვსპოთ კოღო, რომელიც მალარიას სთესავს.

ჩვენი საჭიროებანი

ჩვენს კოლმეურნეებს წელს გამოწერილი ჰქონდათ 27 ცალი გაზეთი „კომუნისტი", და 10 ცალი „კოლექტივიზაცია", და სხვა, მაგრამ რა გამოვიდა?

ხშირად თვე ისე გადის, რომ ორ ან სამ გაზეთს მოგვიტანენ. ან მთელი თვის გაზეთებს დააგროვებენ და ერთად მოგვიტანენ. ასეთივე უთავბოლობაა წერილების დარიგების საქმეში. ერთი სიტყვით ფოსტის მუშაობა სრულიად უვარგისია. გვისაშველე, რომ ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს.

ჩვენი სოფლის კოოპერატივის მუშაობაც მოიკოჭლებს. მას რაც შეხვდება ის მოაქვს გასასყიდათ.

ჩვენ ვთხოვთ კოოპერატივს, რომ მუდამ იქონიოს კარგი დასაკიდი ლამპები, ლამპის შუშები, რკინის კრაოტები, ხელის სკამები, შიფონერკები, ბუფეტები, სპილენძის ჭურჭელი, დანაჩანგალი, კლიონკა, შეკერილი ტანსაცმელი, კოსტიუმები, შინელები, კარგი ხარისხის თეთრეული, ჩექმები, პატეფონები თავისი ფირფიტებით, კბილის ჩოთქები და, ყველა ის რაც საჭიროა შეძლებულკულტურულ ცხოვრებისათვის.

ჩვენ გვინდა აგრეთვე რადიო, რომ საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაბრუნების შემდეგ მოვისმინოთ თუ რა ხდება ქვეყანაზე. მოვისმინოთ სიმღერები, ექიმების, აგრონომების საუბრები.

რამდენი ხანია ვფიქრობთ რადიოს მოწყობას. სათანადო ფულიც გვაქვს გადადებული. ამხ. ლავრენტი უთხარი ვისაც ეს შეეხება, რომ გაგვიკეთოს რადიო, ამისთვის ჩვენ ფულსა და შრომას არ დავიშურებთ.

ჩვენ სოფელში კარგი წიგნების ნაკლებობაა, გვინდა წავიკითხოთ კარგი წიგნი, მაგრამ მისი შოვნა გაძნელებულია, და ეს არა იმიტომ, რომ ფულის დახარჯვას ვერიდებით. სრულიად არა. უნდა წახვიდე ლაგოდეხში 25 ვერსის მანძილზე და კარგ წიგნს ხშირად ვერც იქ იშოვი. ჩვენი პოლიტგანყოფილება ამზადებს ერთ კარგ საქმეს: უნდა გააკეთოს დახურული ფურგონი, რომ წიგნები კარდაკარ დაატაროს კოლმეურნეობებში. ეს კარგი საქმეა, მაგრამ საჭიროა, რომ ცენტრიც დაგვეხმაროს მოგვაწოდოს კარგი მოთხრობები, აგრონომიული და პოლიტიკური წიგნები.

ერთი რამ გვაქვს სასაყვედურო. ჩვენ სოფელში არც ერთი მწერალი არ გვინახავს, ცუდი არ იქნებოდა, რომ ისინი გვესტუმრებოდენ, ახლო გაიცნობდენ ჩვენს გამარჯვებებს, ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ ბევრს გავაგებთ და ვისწავლით მათგან, ისინი ცოტა რამეს გაიგებენ ჩვენგან.

ძალიან გაგვახარა ცნობამ პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადების შესახებ. თვითეულ ჩვენგანს აქვს გამზადებული პური და სხვა ჭირნახული საკოლმეურნეო ბაზრისათვის, მაგრამ რა! ლაგოდეხზე 25 ვერსი ვართ დაშორებული. წინოს რკინის გზის სადგური კიდევ უფრო შორს არის და ძალიან გვიჭირს ჭირნახულის ბაზარზე გატანა. ჩვენ განზრახული გვაქვს დავიწყოთ მოკლე გზის გაყვანა გურჯაანამდე. რისთვისაც საჭიროა ხიდის აგება ალაზანზე. ამ საქმისათვის ჩვენ შრომასა და ხარჯს არ მოვერიდებით თუ საგზაო სამმართველო ხელმძღვანელობას გაგვიწევს და დაგვეხმარება.

ასეთია მოკლედ ჩვენი მდგომარეობა და საჭიროებანი დღეს.

ამხ. ლავრენტი, გადაეცი პარტყრილობას ჩვენი მხურვალე სალამი; გადაეცი ყრილობის დელეგატებს, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში უკვე მოეწყო და გეგმისათვის ენერგიულად იბრძვიან საქართველოს მე-9 პარტყრილობის სახელობის დამკვრელი ბრიგადები.

ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ყრილობის მსვლელობას და ენერგიულად ვიბრძოლებთ ყველა მისი გადაწყვეტილების შესრულებისათვის.

იყავი მხნედ და ჯანმრთელად. კოლმეურნული სალამით.

მეცხრე ყრილობის დელეგატებს

1.

თქვენ მოდიხართ ყრილობაზე,
თქვენ მტკიცე ხართ პირობაზე, —
თქვენ ბარაქის ბარდანები
მოგაქვთ ყველა მხრიდან;
ზოგი ქარხნის ბოლს უშვებდით,
ზოგი მადანს სთხრიდა;
თქვენ შეჰკვარტლეთ ცა—ფირუზი,
თქვენ გვასწავლეთ შრომა;
აღარ გვინდა საქართველო
ვარდ-ბულბულის ქვეყნად;

მოგაქვთ შრომის ნაშოვარი,
თქვენი ოფლის ტოლი;
დაბერტყილი მიწის ღალა,
ქინახულის ღოლი;
განიჩნული პურის ხვავი,
ქვანახშირის გუნდა;
ნავთის ჩქეფი,—რომ იქცევა
ჩვენი ქვეყნის კუნთად;
ერბოს, თაფლის, ფორთოხლის
და სიმინდის—ოქრო,
რომ დაღუღდეს მზის ლანქერად,
ცეცხლათ დაიკოკროს;
აბრეშუმის შულოები
და თუთუნის ნეშო,
ბამბის ფთილა, მადნის მიწა,
და მანქანის ხენეში;
მოგაქვთ ოფლის ოშხივარი,
უცვეთელა გული,
მოგაქვთ სარჩო, რაც ქვეყანას
ჰქონდაო დაკარგული...

მონაპოვარს
ამ დარბაზში უხვად დაალაგებთ;
და დასხდებით, როგორც ტალღა,
დაწყნარების დამდეგ;
რომ აქუხდეთ უფრო მეტად,
გაიშალოთ რისხვად,
როდესაც აქ დაბერტყავენ
უკანასკნელ სიტყვას;
თქვენ სტალინი მიგიძღვებათ,
თქვენ არ ილით მრუდად;
შენ, თაობავ მშენებელო,
გაგიმარჯოს მუდამ!

2.

თქვენგან არი ჩვენი მიწა,
რომ იძლევა ამდენს;
კლდეს ადინეთ წყარო ტკბილი
წყალს ადენდით ნათელს!
და სად მხოლოდ გაივლიდა —
არწივის ფრთის ჩერო,
გზა გაგყავდათ—თოვლში ნამწყვდევ
ხალხის გასამრჯელოდ!
თქვენ გამოსწიეთ შქერის ტევრი,
ასუქებდით ეწერს;
თქვენ ლეწავდით ტინების მთებს
დღემდე დაულეწელს!
ცხვრით შეხურხლეთ საბალახე,
და ტაშზე სუქს ჯოგი;
ვაზებს წველით დედის რძიანს,
რგავთ ნამყენებს ჩოქით;
აშრობთ ჭაობს ჩაფესვებულს;
ცრემლის მორევს მზე—ბნელს,
რაც წარსულმა დააყენა
ბაბილონის წყლებზე!
თქვენ—ქარხანას ცრემლებისას—
ყორნის ფრთიან მეტეხს,
სუდრის დროშას—მეფის ნაკერს
ტარი გადუტეხეთ;
თქვენ დასწყევლეთ, ვინც პირველად
შემოლობა მიწა,
და ვინც მწარე, დღიურ ლუკმას,
ჭრაჭს და მიწურს იცავს.
თქვენ პირველად გასინჯეთ
გლეხს, ბოგანოს—დემოს, —
თავის მიწის სინოყიერე—
რძის, სიმსუქნის გემო.
თქვენ სტალინი მიგიძღვებათ,
თქვენ არ ილით მრუდად;
შენ, თაობავ მშენებელო,
გაგიმარჯოს მუდამ!

3.

ხალხის ძალა,
ძველად რაც კი
მუქთად დაუფანტავს—
უმოწყალო ბედისწერას
და მტერს ათი ათასს;
სისხლის წარღვნას, აზიის ხმალს,
ფეოდალურ ბანდას, —
რაც უსაქმოდ დაილევა
და ნაცარში გალღვა, —
თქვენ ერთ ძარღვზე დააყენეთ—
ერთ მქუხარე ტალღად!

თქვენს გარეშე მიწის მკერდი
უნდა ტყვეით გვენნა,
თქვენ — ომების საქართველოს
ხედავთ შრომის ქვეყნად!

4.

საქართველოს —
(ყორნებისაგან გაყრუებულ საშველს).
ქალმებიანს,
საყდრებიანს,
გუთნის ლუკმით ნაშენს,
მჭკნარ ძარღვებში განუახლეთ
სისხლის მიმოქცევა
და ჩასძახეთ,
რომ ეყოფა ძვლების მტვერში
რწევა!
კმარა, მარტო გორგასლანით,
ნანგრევებით კვეხნა, —
აღარ გვინდა საქართველო
საფლავების ქვეყნად!

5.

დღევანდელ დღის ყრილობაზე, —
მტკიცეთა ხართ პირობაზე,
შეასრულებთ მეტსაც,
შავო სისხლო, შენ განაგებ
დღეს მსოფლიოს ბედსა!
ვერ დაგაშრობს
მტრის ჯავშნები,
მუზარადის ელვა,
დარბაზების, დედაბრების,
რომის საყდრის წყევლა!

6.

თქვენ სტალინი მიგიძღვებათ,
თქვენ არ ილით მრუდად;
შენ, — თაობავ მშენებელო,
გაგიმარჯოს მუდამ.

8 იანვარი.

გიორგი ლეონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცი

დემნა შენგელაია

არასოდეს სიკვდილს არ მოსწრებია ისეთი დიდი გამარჯვება, როგორც იმ ღამეს, როცა ლენინი მოკვდა, რადგან არასოდეს კაცობრიობას არ ჰყოლია მჩაგვრელთა ისეთი დიდი მტერი, როგორიც ლენინი იყო.

არასოდეს აჯალი არ ყოფილა ისე ამაყი და საშინელი, როგორც 1924 წლის იანვრის 21-ს.

საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე გადაიარა მან ფრთამოტეხილ ყორანივით სოფ. გორკაზე.

ხვალისათვის ლენინი მგლებზე ემზადებოდა სანადიროდ. სამისოდ ცხენი და ორი ლეში იყო გამზადებული და ილიჩი თავს იმდენად კარგად გრძნობდა, რომ მეუღლე და უახლოესი მეგობარი ნადეჟდა კონსტანტინოვნა წინდაწინვე ყველა გაფრთხილებული თან არ გაჰყოლოდა. თავი მოაბეზრა ამდენმა გადიობამ. უნდოდა ერთი ლაღად გაენავარდა, გაენავარდა ისე, როგორც უნავარდია, და თვითონ იცოდა, რომ სიკვდილი სახლში იყო შემოსული და მის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა.

გუშინ სოფლის ბავშვებს კომკავშირული შობის ხეობა ჰქონდათ გამართული ილიჩის ბინაზე და დიდი ბელადი ხარობდა მათთან ერთად.

ბალღები ყირაზე გადადიოდენ ნობებით დაფხიმულ იატაკზე და ლენინს უხაროდა მათი ხალისი და ეს სიცოცხლე კიდევ უფრო ტკბილი იყო და შეუცნობელი.

და აი გუშინდელ ნაძვის ხესა და ხვალინდელ ნადირობას შორის ჩამოდგა ეს საღამო და ლენინი აღარ არის.

არასოდეს პროლეტარიატს ისე მტკიცედ არ შეუმჭიდროვებია თავისი რიგები, როგორც იმ ღამეს.

ბელადი წავიდა და დედამიწას ამოხდა:

— ლენინს!..

მაგრამ ლენინი არ გამოეხმაურა ამ გმინვას.

მისი გაცივებული გვამი სოფ. გორკას უსადბაში ასვენია.

ლენინი წავიდა, — დარჩა ლენინიზმი.

◆

თეთრი, ბაქმიანი მთვარე მიცურავს [illegible] ცად გაფანტულ ღრუბლებში და ამ რუსულ ეპოსიდან ამოღებულ ღამეში გავარდა სროლასავით:

— ილიჩი მოკვდა!

ქვეყნიერება [illegible], მის სამარედ გამზადებული დედამიწა შეშმუშნდა და ძვალგაცივებული დუმილი დაეცა დამბლასავით.

თოვლით მოხუცებულ მიწას და თეთრად დაყურსულ არყის ხეებს ჰკვეთა ციდან ეს მოკიაფე ვარსკვლავები ცრემლებივით და ამ ღამეში ბილინის ლუბოკი და ქალაქის პლაკატი გადაეჭდნენ ერთიმეორეს.

მატარებელი მიჭრის გაუტეხავი თოვლით ამაღლებულ მიწაზე და თეთრ სუდარაგადაფარებულ ტრიალ მინდვრებში დგას ამ გულდაგულ ზამთარში იმედებივით ჩატოვებული პატარა სადგურები და იქ, საითაც ეს მატარებელი მიწევის თმაგაშლილ ქალივით, ჩადგმულია რჩეული ამ სადგურთა შორის და მარად დაუვიწყარი.

— გერასიმოვო.

პატარა სადგურები რჩება უკან თავისი თბილი, შეხუთული ბუღით სავსე სალოდინო დარბაზებით, მზესუმზირას ქაქლით მოჩეჩილ იატაკით, მიბნედილი სინათლით და კაცის საყვარელი ცხოველური თბილი სუნით. და ახლა, როცა გულდაგულ მოულოდნელმა სიკვდილმა თვალებში ჩამოიხედა და ქვეყანა ძელებისტივამდე არის გაკავებული ყინვით, ადამიანის ეს თბილი სუნის გაგონება სიამოვნებითა და სიხარბით.

ვაგონებში სხედან ფრთადაყრილი ბოლშევიკები, სხედან მობუზულნი, ბეწვის მაღალ საყელოებში თავჩარგულნი და ყველას კრიჭა აქვს შეკრული. არავინ ხმას არ იღებს, ანდა რა სთქვას, როცა ადამიანის მიერ შექმნილი და ნაჯახირევი ყველა სიტყვები აფრაკია, მიზანს აცდენილი და ამიტომ ზედმეტი და ყოვლად უადგილო.

დარდით გული შეკუმშულია, თვალი გახევებული და ენა ნაგვალევ ყავარივით მშრალი და ხმელი.

იატაკს დაჩერებული თვალები ლინჩდება და თავს მაინც ვერ იღებენ.

ვაგონი ჯაჯგუნობს და ზევით, ჭერში, საჰაერო ლუკის სარქველი რახუნობს ამოჩემებულად. ხანდახან ორთქლმავლის კივილი თუ მოისმის სემაფორთან და მატარებელი სულმოუთქმელად გადირახრახებს ისრებზე, გაიშხუილებს სადგურთან, ერთხელ კიდევ აგრუხუნდება გასასვლელ ისრებთან და მერე ისევ ეს ზანზარი ერთფეროვანი და მწუხარე მგზავრები რჩევიან ამ ჯაჯგურზე.

ბორბლები ხრიალებენ ყელში ქანჩწაჭერილნი, აწვდებიან, ახრიტდებიან სულშეკრულებულნი და მერე შემცხრალ მუხრუჭებით ოდნავ შეება მოცემულნი ისევ არახრახდებიან და მიქრიან, მისრიალებენ შეუბრუნებელი სისწრაფით. ყრიან ჩინჩხლებს, თოვლს კორიანტელად აყენებენ და თვალწინ ოლივიდელ დუესავით დგება ამ ბორბლებივით დატრიალებული ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეები, დღეები, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება.

ახლა ეს დღეები სოფ. გორკას უსადბაში ასვენია და ლენინის ძვირფას ცხედარზე დროშებივით დაბლა დაწეული ცა [illegible] ბინის დაბალ ჭერივით ეხახუნება ბოლშევიკების ამაყ ბუდიონოვკებს.

◆

ავტომობილი გაჩერდა უსადბაში და რ.კ.პ. (ბ) ცეკას წევრები გადმოდიან მუხლამდე თოვლში.

თეთრ მაღალსვეტებიან ძველებურ ასობნიაკში იღება ფართოდ მინის ვრცელი კარები და ბოლშევიკები, შედიან ტანისამოსის გასახდელ ოთახში.

მოიოგი გუშაგი დარაჯობს მწუხარებას.

საკარძლებზე ზედახორად ყრია ზაპუნები და ბეკეშები, შუბები და თბილი პალტოები, არმიაკები და ტყაპუჩები და იქ, ამ შუბებს იქით მოფარებული, ტირის ვიღაც ქალი, ეს,—ს.ს.ს.რ. ყრილობის დელეგატი უნდა იყოს. გასასვლელ ოთახში ლურჯ-წითელ ზოლებიან მთელ გადაკრულ საკარძლებში სხედან დაღვრემილი გრძელწვერიანი გლეხები და მათ შორის ამ პალმებივითა და ფიკუსებივით უხმოდ დგას გრძელულვაშიანი ჩოხიანი ყარაჩაელი და ბურიატი. ეს, — დღეს ამოსული წევრებია ს.ს.ს.რ. საბჭოთა მეორე ყრილობისა.

ბოლშევიკები მიდიან ლენინთან.

წინ სტალინი მიუძღვის. მიდის მძიმედ და დარდით დამძიმებული ცალი ხელი სამხედრო კურტკის მარჯვენა ბორტში აქვს ჩადებული.

ფერდაკარგული და კუშტად გამომზირალი თვალები ირგვლივ არაფერს ხედავს.

თეთრი კედლები და ამ კედლებზე ოქროთი ნავარაყევ თეთრ ჩარჩოებში ჩასხდარი დიდკაცთა სურათები კიდევ უფრო ალიებენ ისედაც გაცივებულ და გაიავარებულ გულს. ეს ოდესღაც თეთრი და ოქროს ვარაყია ნაემათა ვითარების გამო გაყვითლებული მარმარილოს ანტიკური ლამბაკები ცდებიან გულში სტალაგმიტებივით და ფანჯრებზე ჩამოშვებული აბრეშუმის წითელი ფარდები ცეცხლებიან ოდნავი სისამურით დარდითა და მწუხარებით აწრიალებულ სულს.

მოსკოვის კლასიციზმის შერეული სტილის დარბაზის ზემო სართულში ასვენია ის.

მუდამ მეამბოხე, დაუდეგარი და ბობოქარი წევს ახლა ტყვის კუბოში და ვლადიმერ ილიჩ ულიანოვ-ლენინის ეს მორჩილება სიკვდილისადმი წელში წყვეტს ძველ ბოლშევიკებს.

კარელიის არყის ხის ავეჯი და სარკეების ჩარჩოები ჰბადებენ სულში გრძნობას უთვისტომობისას და ეს გადაპრეხილი, მოდიდან გასული სულთამხდელი ქალბატონები იცქირებიან კედლებიდან დიდკაცურად და შეპუდრულ პარიკებიდან სცვივათ არა პუდრი, არამედ მტვერი ამაოებათა.

სახედამშვიდებული ილიჩი წევს ბავშვივით თვინიერი და თითქოს იღიმის კიდეც. ეს, — სიკვდილს დაცინის იგი თავის უკვდავებიდან და ამ ღიმილისაგან თვალის კუთხეებში მონღოლურად ამაღლებულ ყვრიმალის ძვალთან დამცინავად შეხუშულ წვრილი ნაოჭები აცოცხლებენ მას და არავის სჯერა მისი სიკვდილი. წითური, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები შემაქცევრად მოჩანს ამოზნექილ ჯინაგარ ბავშვის ბურცულ ზედა ბაგეზე გადმოფენილი და რა არის ეს? თვალებს არ სჯერა, რომ ის ასე მშვიდად არის მაშინ, როცა ბოლშევიკების ბრძოლებში ნაცადი ძველი გვარდია ირგვლივ ახვევია.

თუთუნის ფერფლივით სახემკრთალი, მწუხარებითა და უძილობით თვალებჩაცვენილი სტალინი დგას ილიჩის კუბოსთან და ლაწვებჩავარდნილი მაგრად დადგმული შუბლქვემოდან დაცქერის ძვირფას მასწავლებელს, მეგობარსა და ხელმძღვანელს.

დიდხანს იდგენ ისინი ასე ჩუმად, დაღვრემილნი.

— დიახ, დიახ!.. ხედავთ თქვენ, ხედავთ?.. — დაარღვია დუმილი სტალინმა ეს სიტყვები ისე მოულოდნელად გაისმა ამ სიჩუმეში, რომ ყველამ მას შეხედა, მაგრამ ის ისევ ჩუმად არის და დასცქერის მუნჯად [illegible] დაცემულ ბელადსა და ამხანაგს.

ის აქ არ არის. ის იქ არის: ბათომის დემონსტრაციებზე, ქუთაისში მუქრუთისა და მღვიმევის მაღაროებში და ამდგარ მუშებ ლეწვენ. წვავენ კაპიტალისტების სამრეწველოებს. ის ბაქოშია და უცნაურია. საიდან გამოძვრა ახლა ეს სტეპკო? ქალივით ლამაზი, საყვარელი და თავდადებული სტეპკო ინწკირველი!

ფიქრი გადირეკა, მაგრამ მოგონებები მაინც არ ასვენებს. აი ტამმერფორსის ბოლშევიკების კონფერენცია, სადაც ის 1905 წლის დეკემბერში პირველად შეხვდა ილიჩს. აი სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებიც და არ ესმის რა ხდება ირგვლივ, მის ყურებამდე არ აღწევს. რომ იქ, მეზობელ ოთახში, ვიღაცა ისტერიულად ქვითინებს.

მოგონებები ეხვევიან და გამორკვეულის, ილიჩს ამ ყოფაში რომ ხედავს, ცეცხლითა და რწმენით ანთებული იმედიანი თვალები ცრემლებით ევსება. უნდა თავი შეიკავოს, მაგრამ ვერ ახერხებს. მხრები უცნაურად აუცახცახდა და ვაჟკაცურად, მოუხერხებლად აბრეზებული გარეთ გავიდა, მაგრამ დიდხანს ვერც იქ გაძლო და ისევ შემოვიდა.

უეცრად ილიჩისკენ გაემართა და მოულოდნელად მის თავეთით გაჩერდა.

— შვიდობით, შვიდობით, ვლადიმერ ილიჩ! შვიდობით!

და მთლად გაფითრებულმა ვლადიმერ ილიჩის თავი ხელის გულებით აიტაცა, მერე დახარა და თვითონაც დახრილმა მკერდში მიიკრა.

ოდნავ რომ მოიშორა ეს ძვირფასი თავი ძვირფას მასწავლებლისა, — აკოცა თვალებში, აკოცა ლოყაში, შუბლში აგზნებული მთრთოლვარე კოცნით.

მერე ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და მოშორდა უეცრად.

ცეკას წევრები, ყრილობის დელეგატები შემოდიან ოთახში თითო-თითოდ, ორ-ორი, დგანან წყნარად მის კუბოსთან, დაცქერიან ცხედარს მორჩილებით და მერე ისევ გადიან, დაბეტებიან ამ სახლში უგზო-უკვლოდ, ადგილს ვერ პოულობენ, რომ დასხდნენ მარტო და დარჩნენ თავის დარდთან.

ძლივს მიტატობს ეს უძილო ღამეც და თუ ოდესმე გათენდება, არ გგონია.

კედელზე კიდია ილიჩის ორლულიანი სანადირო თოფი, რომელიც დღეს უნდა გავარდნილიყო. ამიერიდან ის არასოდეს არ გავარდება. მიუხედავათ იმისა, რომ თოფი ერჭმევა. კუთხეში, პალმებთან, დგას ბავშვების მიერ პრიმიტიულად მორთული იმედიანი კომკავშირული შობის ხე და ამ ხის კენწეროზე ანთია ქაღალდის წითელი ვარსკვლავი.

◆

5 დღე და ღამე არ ძინავს მოსკოვს, არ ძინავს კავშირთა ქვეყანას, იმიტომ, რომ მას მაგიერ ლენინმა დაიძინა.

ხეები დართვილულია, გაყინული ქვაფენილი წკარუნობს, მილიონ ფეხის ქვეშ. ყველაფერი გაკავებულია ყინვით ისე, რომ სუნთქავ, გგონია, ჰაერის მაგიერ, ცივი წყალი ჩადის ფილტვებში.

ათასები, ათიათასები მიემართებიან გრძელ დაუსრულებელ მწკრივად დაკლაკნით სამგლოვიარო კოლონებად კავშირთა სახლისაკენ სვეტებიან დარბაზისაკენ.

კოლონა კოლონას მისდევს, მწკრივი მწკრივს და გული იკუმშება, რომ ეს ზღვა ხალხი მიდის სამარისებური დუმილით. არ ისმის არსად არც სიმღერა, არც ქრიამული. არ წკრიალობს ვატმანის ზარი, ქარხნები გაცხებულია და აქა-იქ ისმის თავშეკავებული ქვითინი.

ფოთადახრილი ძაძით შემოსილი წითელი დროშები მოირწევიან აგუგუნებულ ორკესტრებით. ტროტუარებზე და დემონსტრანტები გალობენ ორკესტრებთან ერთად სამგლოვიარო მარშებს.

მთელი დღე და ღამეების განმავლობაში გადაბადრალებულია მოსკოვი ქუჩაში ავიზგიზებულ ორმოცდაცამეტი კოცონით და ეს კოცონები ანთია ლენინის ორმოცდაცამეტი ცეცხლიან წლოვანებით. მაგრამ გამძვინვარებულ ქარ-ყინვას მაინც ვერ ერევა, ცივა და ეს ძვალის მომტეხავი სიცივე მოდის იქიდან, სვეტებიან დარბაზში დასვენებულ წითელ კუბოდან.

სადღაც ლაღუმების გუგუნი ისმის ისე, თითქოს დედამიწა ოხრავს და ამ ზღვა ხალხიც გმინავს ამ ოხვრასთან ერთად. ეს ოხვრა იქიდან მოისმის, წითელ მოედნიდან. გაყინულ მიწას ვერ ერევა რკინა და საფლავს ნაღმებით აფეთქებენ.

დარბაზში სასტიკი დუმილია და ამ დუმილს წესრიგის დამმყარებელთა იდუმალი ჩურჩული არღვევს ხანდახან.

სვეტებიან დარბაზში პალმებისა და საპატიო გუშაგთა ჩრდილ ქვეშ დგას მისი კუბო. ქუდმოხდილი ხალხი ეთხოვება ძვირფას ნეშტს და, გასასვლელისაკენ რომ მიემართებიან საერთო დინებაში მოჭყლეტილნი, თვალები უკან რჩებათ. უცქერიან ბელადს ჩაცივებით, რომ სამუდამოდ ჩაიბეჭდონ გულში მისი სახე და წაიღონ მომავალ ბრძოლებში საიმედოდ, მაგრამ რა არის ეს, მიცვალებულის სახე უცნაურად რომ ორდება? ეს, — თვალებს ცრემლი ებლანდებათ და საჩქაროდ იწმენდენ, რომ ერთხელ კიდევ შეხედონ კარგად და გაჰყვნენ მერე ხალხთა მდინარებას, რომელმაც ისინი აქ შემოიტანა და ახლა ისევ გააქვს გარეთ.

ახლად შემოსულნი ქუდს მოწიწებით იხდიან და ისე წყნარად ადიან კიბეებზე, თითქოს ეშინიათ ბელადს ძილი არ დაურღვიონ.

ზემოთ მყუდროებაა და ისმის ჩურჩული:

— წყნარად, ამხანაგებო, წყნარად!

გუშაგი მოუწოდებს...

— სამ-სამად დამწკრივდით, ამხანაგებო, სამ-სამად! ვიღაცამ გახედა გრძელ დერეფანს და ამოხდა:

— ილიჩი, ამხანაგებო, ჩვენი ილიჩი იქ არის!...

პროფკავშირების უზარმაზარი თეთრი დარბაზი ბლონდით შემოსილ ბროლის ძველებური ჭაღებით არის განათებული.

შუა დარბაზში, მაღალ სვეტებს შორის, პალმების ქვეშ, ძინავს ლენინს. ტანთ საშინაო მწვანე ფრენჩი აცვია და გულზე პირველად ამნევია წითელი დროშის ორდენი, რომელსაც ის სიცოცხლეში არ ატარებდა. ეს ორდენი მას ამხ. ორჯონიკიძემ დააბნია გულზე სოფ. გორკაში.

ხელები გულზე დაუწყვია, მაგრამ კაპლანის ტყვიით დაზიანებული მარჯვენა მკლავი სიკვდილშიც ვერ დაუმორჩილებია და ოდნავ ძირს აქვს ჩამოვარდნილი.

[illegible] გაფითრებული, მშვიდი და დიადი აქაც არ ისვენებს. მისმა გენიამ ააყენა ფეხზე ეს ზღვა ხალხი, შეამჭიდროვა თავისი ცხედრის ირგვლივ რევოლუციონურ მედგარ რაზმებად და ქარხნებში, სოფლებში ამოძრავდენ უპარტიო მასები, დგებიან პარტიის რიგებში ახალი კადრებით.

უეცრად დარბაზის მყუდროება გახია ხმელი კოლენკორივით ქალის წივილმა.

ისევ დუმილი, ისევ მყუდროება.

კიდევ მეტის გადაწყვეტილებითა და მტკიცე ნებისყოფით იღუშება მუშების შუბლი.

ლენინი არ იქნება მათთან ერთად, მაგრამ დარჩა ლენინიზმი, დარჩა მისი ამხანაგები და მოწაფეები. ამიტომ მეტი სიმტკიცე, ერთსულოვნება და ერთობა არის საჭირო.

ასეთი გადაწყვეტილებით ითხოვებიან ისინი ილიჩს

გარეთ ისევ აწყდება სულ ახალი და ახალი ზვირთები პროფკავშირთა სახლს.

კიბეებზე ჯოხის ფათურით ადის ფრთხილად ვიღაც ახალგაზრდა კაცი. ის ბრმა არის და მხარში იმოძღვარ ამხანაგს აკავს იგი.

— ამხანაგო, სად მიდიხარ, ან თავს რას იკლავ ამ ყინვაში? შენი თვალებით ხომ მაინც ვერაფერს დაინახავ?

შეეკითხა ვიღაც და ბრმა შეკრთა. უკან გადაწეული თავი მისკენ მოაბრუნა, თვალებს მაგიერ, სახე მიაპყრო და ისე უპასუხა:

— ნუ წუხდებით, ამხანაგო, თქვენ ნუ გაშინიათ. სიჩუმეს ხომ დავინახავ. ილიჩს ხომ ვიგრძნობ, მე ესეც მეყოფა სინათლედ!— სთქვა და ისევ აფათურა ჯოხი და ადის იგი ამ კიბეებზე ამხანაგის მკლავზე დაყრდნობილი რომ ილიჩის დუმილი მაინც დაინახოს.

ყინვა ისევ ისე უჭერს, ლენინის წლოვანებასავით დანთებული ორმოცდაცამეტი ცეცხლი ისევ ისე ღადღადებს ქუჩებში. ხალხის სუნთქვა ოდას ბურუსივით და თვალთვალ მოსჩანს. ხუთი, ექვსი საათის განმავლობაში ელის რიგს და გაყინულნი თბებიან ცეცხლებთან.

და იქ, წითელ მოედანზე, კრემლის ზღუდესთან, ისევ ჩუგუნებს წიაღგაფატრული დედამიწა, აფეთქებენ ყინვისაგან თუჯივით დადუღებულ მიწას, — თხრიან ილიჩის სამარეს.

◆

დიდი თეატრის კედლებზე განრთხმულია წითელი ჩითი და ეს მეწამული კედლები დამძიმებულია ზედ გაფენილი ძაძებით.

სცენის სიღრმეში დგას ის... ლენინის პორტრეტი.

პორტრეტი და წითელი ფერი იხუთებიან თალხში და ძაძების სიღრმიდან იცქირება მისი მონღოლური თვალები ოდნავი ღიმილით.

დარბაზი გატენილია დელეგატებით. ცეკას წევრებით. აქვე არის დიპლომატიური კორპუსის მთელი შემადგენლობა.

ყველა გაყუჩებულია, შეყურსულია. მდგომარეობა იმდენად დაზუსტულია, რომ ოდნავი ხმაურობა, ჩვეულებრივზე ოდნავ ხმამაღლა დალაპარაკება აკრთობს ყველას. ამიტომ ყველა დინჯად არის, გაცილებით მეტად, ვიდრე ეს საჭიროა. თუ ისე არ მოიქცევ, თავს ვერ შეიკავებენ. მოზღვავებული მწუხარება გაარღვევს ჯებირებს და მერე ამაო იქნება ცრემლების შეკავება.

სუნთქვა შეჩერებულია, კრიჭა შეკრული, მუშტი შემჯიღული.

საღამოს 6. ს. 25 წ. ყრილობის პრეზიდიუმის გრძელ მაგიდასთან გამოჩნდა ს.ს.ს.რ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე ამხ. მიხაილო კალინინი ამ 5 დღეში გამხდარა იგი, თვალები ჩაცვენია, მოტეხილა და თითქოს მოხუცებულა კიდეც.

დგას პრეზიდიუმის მაგიდასთან, ერთხანს ხმას არ იღებს.

დარბაზში სიწყნარეა. მთელი ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი, მაგრამ ზარი მაინც დარეკა, უფრო თავისთვის. რომ საკუთარ ფიქრთაგან გამორკვეულიყო და ამ წკრიალმა ისეთივე სიცივით აავსო ეს დარბაზი, როგორც [illegible] ამ სიჩათლემ. მერე ზარს ხელი უშვა და დაიწყო ისე [illegible], თითქოს კუბოს ფიცარს [illegible]. მიმართა ს.ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმისა და რ.კ.პ. (ბ) ცეკას წევრებს. რომ პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილები დაიჭირონ.

თავმჯდომარის ამ მოწოდებაზე დგებიან ისინი, მიდიან სცენისაკენ მიდიან და წელი წყდებათ. რომ მათთან ერთად არ მოდის პრეზიდიუმში, ის, იქ რომ ასვენია სვეტებიან დარბაზში და თავთით საპატიო გუშაგი უდგია.

სტალინი ადგა.

უძილობით დამძიმებული თავი მძიმედ დიდო და ისე გაიმართა ოდნავ თავბრუდასხმული სცენისაკენ მაგრამ სიარულში დაძაბულობისაგან თანდათან გამოერკვა და ბეჯითი, მტკიცე ნაბიჯით მხრებში ოდნავი რხევით მიდის იქით, საითაც დანარჩენი ამხანაგები მიემართებიან ვიდის ,ისე, თითქოს დარდით შეხუთულ სივრცის მიაპობს იგი.

შავგრემან სახეზე მიწისფერი გადაჰკრა და, ტრიბუნაზე რომ ავიდა. გამოჩნდა შუა ტანის ჯარგვალივით იმედიანად შეკრული კაცი სიმაღლიდან. მყარად გადმოდგმულ შუბლქვეშიდან ხალხს თვალი გადაავლო და უეცრად იგრძნო უცნაური ელდენები, რომელიც მას მჭიდროდ აკავშირებდა ამ დელეგატებთან და მათ უკან მოფარებულ მილიონიან ამომრჩევლებთან.

რატომღაც შარვლის ცალი ტოტი უფრო ღრმად აქვს ჩაკეცილი ჩექმის ყელში. ვიდრე ეს მიღებულია. იქნებ არ უძინია, ან არ მოუსვენია, არ ეცალა ასეთი წვრილმანისათვის?

ესეც, ეს ფოლადის კაციც შეარყია ამ სიკვდილმა. რა უყოთ რომ სახელში ფიცხი ფოლადი წკრიალებს. ხანდახან ფოლადიც ლღვება, მაგრამ, რომ გაცივდება, ერთი ორად იწრთობა და მაგრდება.

მაგიდასთან რომ მივიდა, ვიღაციასკენ გადაიხარა, ეს მგონი ამხ. ძერჟინსკი იყო. უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ გადიფიქრა და, კი არ დაჯდა, დაეცა სკამზე.

ხალხმა იცნო იგი.

— სტალინი! — გადაუჩურჩულა ვიღაცამ მეზობელს.

— სტალინი!— გაისმა დარბაზში.

— სტალინი! წავიდა ხალხში ისე, როგორც თივაში შეგდებული ნაპერწკალი წავა ხოლმე [illegible], სანამ ალი ავარდებოდეს, და ჩურჩული მიწყდა სადღაც უკან ამფითეატრის მიწურულში, მაგრამ [illegible] იარუსებში გადავარდა ეს ნაპერწკალი, აჰყვა ზევით და ჩაქრა სადღაც ქანდარაში.

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, კალინინი წამოდგა:

— საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დავალებით ს.ს.ს.რ. კავშირის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა მეორე ყრილობას გახსნილად ვაცხადებ! ბუნებრივია, თუ დღევანდელი სხდომა ვლადიმერ ილიჩის ხსოვნას მიეძღვნება.

ლენინის სახელის ხსენება და დარბაზის აშლა ერთი იქნა. ამ წამოშლისაგან გაისმა ნაპირზე შემოსხმული ზღვის [illegible] და ეს ბაპირი ბელადის სახელი იყო. შრიალს ორკესტრის გუგუნი მოჰყვა და დარბაზი პირამდე აავსო სამგლოვიარო მარშის ხმებით, დამსწრეთა მთელი არსება აავსო ადუღებული ცრემლებით და ეს მარილიანი ცრემლები წვავს, წიწკნის გულს, მაგრამ დარბაზმა ვაჟკაცურად გადაყლაპა ეს ცრემლები.

დელეგატები დგანან თავდახრილნი, დარდი და ბოღმა ტყვიასავით მძიმედ დააწვა მხრებზე, წელში ვერ გამართულან, თავი მაღლა ვერ აუღიათ.

სადღაც ქანდარაზე, თუ იარუსზე, ქვითინი გაისმა, მაგრამ დელეგატებმა [illegible] გაკრეჭდენ და გულები ისე მჭიდროდ შეკუმშეს, რომ ცემა შეწყვიტა, სისხლის დენა გაჩერდა ძარღვებში, ხელ-ფეხი დაუცივდათ.

მუსიკა რომ მიყუჩდა, ზვირთი ისევ მიიქცა [illegible] და ბაკერში წაღებულ ხვინჩკის ხმაურით დასხდენ ისევ.

სტალინი ადგა.

ცალი ხელი შუბლზე გადაისვა, ბეჯილებით მაგიდის ძგიდს ჩამოეყრდნო და დაიწყო ისე მტკიცედ, რომ [illegible] სულ უბრალო კუნჭულიც არ რჩებოდა:

— ჩვენ, კომუნისტები, სულ სხვა წყობის ხალხი ვართ. ჩვენ სულ სხვა მასალისაგან ვართ შეკრული. ჩვენ ისანი ვართ, პროლეტარიატის დიდ არმიას. ამხ. ლენინის არმიას რომ შევადგენთ. არა არის რა ქვეყანაზე ისე საამაყო, როგორც პატივი ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა ისე საამაყო, როგორც სახელწოდება პარტიის წევრისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი არის ამხ. ლენინი. ყველას როდი შეუძლია იყოს ამ პარტიის წევრი, ყველას არ ძალუძს აიტანოს სიდუხჭირე და ქარიშხლები, რომელიც ასე მჭიდროთ არის დაკავშირებული ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, სიღარიბესა და ბრძოლებში ამოზრდილი შვილნი, განუზომელ გაჭირვებათა და გმირულად დაძაბულ ძალთა პირმშო, აი ვინ უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა ასეთი პარტიის წევრი. აი რატომ ჰქვია ლენინელთა პარტიას, კომუნისტურ პარტიას მუშათა კლასის პარტია.

ამხ. ლენინმა წასვლისას გვიანდერძა ჩვენ მაღლა დავიჭიროთ და წმინდათ დავიცვათ დიდი სახელი პარტიის წევრობისა.

გეფიცებით შენ, ამხ. ლენინ, რომ პირნათლად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

25 წლის განმავლობაში ზრდიდა ამხ. ლენინი ჩვენს პარტიას და გამოკვერა ყველაზე ძლიერი, ყველაზე გამობრძმედილი მუშათა პარტია მსოფლიოში. ცარიზმისა და მისი ოპრიჩნიკების დარტყმა, ბურჟუაზიისა და მემამულეთა გაცოფება, კოლჩაკის და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმები, საფრანგეთისა და ინგლისის შეიარაღებული ჩამორევა, ბურჟუაზიის ასპირიანი ბეჭდვითი სიტყვის სიცრუე და ცილისწამებანი,— ყველა ეს მორიელნი ნიადაგ ეცემოდა თავზე ჩვენს პარტიას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ჩვენი პარტია იდგა პიტალო კლდესავით, ირგვლივ შემოხვეული მტრის დარტყმებს ვაჟკაცურად იგერიებდა და მუშათა პარტია მიჰყავდა მედგრად წინ, გამარჯვებისაკენ, გამწარებულ ბრძოლებში გამოსჭედა ჩვენმა პარტიამ თავისი რიგების მთლიანობა და სიმჭიდროვე. ამ მთლიანობითა და მჭიდროდ შეკრული რიგებით მოიპოვა მან თავისი გამარჯვებანი მუშათა კლასის მტრების წინაშე.

ამხ. ლენინმა, წასვლისას, გვიანდერძა, ჩვენ თვალის ჩინივით გაუფრთხილდეთ პარტიის ამ მთლიანობას.

გეფიცებით შენ, ამხ. ლენინ, რომ პირნათლად შევასრულებთ ამ შენ დანაბარებსაც.

მძიმე და აუტანელია მუშათა კლასის ხვედრი, მძიმე და მტკივნეულია მშრომელთა ტანჯვა-წვალება. მონები და მონათმფლობელნი, ბატონნი და ყმანი, გლეხები და მემამულენი, მუშები და კაპიტალისტები, ჩაგრულნი და მჩაგვრელნი,—ასე შენდებოდა ეს ქვეყანა ოდითგანვე, ასეთივე დარჩა ის ეხლაც ქვეყნის უმეტეს ნაწილში. ათჯერ და ასჯერ შეეცადნენ მშრომელნი საუკუნეთა მანძილზე ჩამოეგდოთ ძირს ჩაგვრელნი და გამხდარიყვნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი, მაგრამ დამარცხებულნი, უფლებააყრილნი იძულებულნი ხდებოდენ უკან დაეხიათ და გულში ჩამარხულ შეურაცყოფითა და დამცირებით, ბოღმითა და სასოწარკვეთილებით თვალებს ცაში აცეცებდენ, სადაც ისინი ეძიებდენ ხსნას, მაგრამ ამაოდ. მონობის ბორკილები ისევ ისე მთელი იყო, ანდა ძველი ახლით იცვლებოდა ისეთივე მძიმეთი და დამამცირებელით.

მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოახერხეს ფეხქვეშ გაგდებულმა და შევიწროებულმა მშრომელთა მასებმა დაემხოთ მემამულენი და კაპიტალისტები და მათ მაგიერ გაბატონდნენ მუშა და გლეხი. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი ქვეყნიერება სცნობს ამას, რომ ამ უზარმაზარ ბრძოლას ამხანაგი ლენინი და მისი პარტია ხელმძღვანელობდა. ლენინის სიდიადე უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მან, შექმნა რა საბჭოთა რესპუბლიკა, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთ საქმით დაანახვა, რომ იმედი ხსნისა დაკარგული არ არის, რომ მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობა არაა მარადი, რომ შრომის სუფევა შეიძლება შეიქმნას თვით მშრომელთა ძალ-ღონით, რომ შრომის სუფევა უნდა შეიქმნას მიწაზე. და არა ცაში. განთავისუფლების ამ იმედებით აღაგზნო მან მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა გული. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი გადაიქცა უსაყვარლეს სახელად მშრომელთა და გაუყვლეფილთათვის.

ამხ. ლენინმა, წასვლისას, გვიანდერძა, ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა.

გეფიცებით შენ, ამხ. ლენინ, რომ არავითარ ძალ-ღონეს ჩვენ არ დავზოგავთ იმისთვის, რომ პირნათლად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც.

პროლეტარიატის დიქტატურა შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე. ეს უპირველესი და ძირეული საძირკველია საბჭოთა რესპუბლიკისა. ამ კავშირის გარეშე მუშები და გლეხები ვერ დაამარცხებდენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს.

ამხ. ლენინმა, წასვლისას, გვიანდერძა ჩვენ მთელის ძალ-ღონით განვამტკიცოთ ეს კავშირი მუშებისა და გლეხებისა.

გეფიცებით შენ, ამხ. ლენინ, რომ ჩვენ პირნათლად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც.

. . . .

◆

სხდომა გვიან დაიხურა.

ყველა გაბრუებულია სტალინის სიტყვით, რომელიც განგაშივით გაისმა ამ საერთო გლოვაში და სასოწარკვეთილებაში.

ეს სიტყვა, სიტყვა კი არა, ყიჟინა იყო, რომელიც მომავალ ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა გაბედულად ყველა მუშებს და გლეხებს, ყველას, ვინც დაჩაგრულია და ფეხქვეშ გაგდებული კავშირის მიღმა არსებულ წესწყობილებით.

— გეფიცებით შენ, ამხ. ლენინ, რომ პირნათლად შევასრულებთ ყველა შენს ნაანდერძევს!

გული იმედებით აივსო.

ბელადი წავიდა, მაგრამ ის მაინც აქ არის. ამ სიტყვების მთქმელი არაფრის წინ არ შეშინდება და წაიყვანს ქვეყანას იქით, საითაც ამხ. ლენინი მოუწოდებდა.

გვიან ღამით ერთხელ კიდევ ჩაიარა ილიჩის კუბოს წინ მთელმა მეორე ყრილობამ, მთელმა საბჭოეთმა.

◆

კრემლის ზღუდეები, ბასტიონები, კოშკები და ძველი სამრეკლოები შევერცხლილია.

ყინვა თანდათან გამძვინვარდა და ჰაერი ისე გაცრიებული, რომ სამგლოვიარო მარშები ძლივს არღვევენ მას და კოლენკორივით გამშრალმა დროშებმა დაკარგეს მოქნილობა და თუნუქის ფურცლებივით მიირწივიან.

კვამლი და ნისლი აირია ერთმანეთში. დაკრაკნილი ბოლი იხვევა სუდარებივით მძიმედ, იბურდება ჯანღში. ცდილობს ავიდეს მაღლა, გაიშალოს ლაღად. მაგრამ ყინვა ხუთავს მას, ზრავს ამ სამგლოვიარო მარშების ხმებით და ნესტიანი და მძიმე იშლება მიწაზე, წვავს ცრემლებითა და უძილო ღამეებით ისედაც ამჟვარ თვალებს.

კრემლის თეთრად აქნეულ თაბაშირის მუშის ქანდაკებასთან ამართულია დროშებით დამძიმებული დროებითი აკლდამა.

აკლდამის წინ, ტრიბუნაზე არ დგას, ასვენია ამხ. ლენინი.

კუბოს წინ დგანან ბოლშევიკები და სამგლოვიარო პროცესიებს სამხედრო ხელის აღებით უპასუხებენ.

მოედანზე აქა-იქ ეცემა მოყინული ხალხი, მაგრამ ოხს მაინც არ იცვლიან, არავის აზრად არ მოდის სახლში გაბრუნდეს.

4-ს ჩარექი აკლდა, კუბოსთან რომ ფუსფუსი შეიქმნა.

ლენინის კუბო ანთავისუფლებს რ.კ.პ. (ბ) ცეკასა და კომინტერნის დროშებს, რომ კიდევ უფრო ამაყად აფრიალდნენ ცაში.

ვიღაც რვათოდე წლის გოგონა გამოიჭრა ხალხისაგან, ყარაულს მარჯვედ გაუძვრა ფეხებში და სულმოსწრაფებით აირბინა კუბოსთან, გაჩერდა და უცქერის ძია ლენინს.

ის მთლად გაყინულია სიცივისაგან მოძრტვილი. მაგრამ კუბოს მაინც არ შორდება.

— რომ მომკლათ, აქედან ფეხს მაინც არ მოვიცვლი!—ამბობს ის მიზეზიანად გაჯიუტებული და გალურჯებული, ბავშურად გულუბრყვილო მწუხარებით და ცნობისმოყვარეობით უცქერის მიცვალებულს. პატარა ბავშის ეს დარდი იმდენად დიდია და განუზომელი, რომ ვერ ახერხებენ და ტოვებენ მას ვე ლიერით ლენინის კუბოსთან.

წუთის ისარი 4-ს უახლოვდება.

ხალხი გაყუჩდა მძიმე წუთის მოლოდინში და ყველის თვალები კოშკის საათისაკენ არის მიპყრობილი.

ერთი წუთიც და...

სპასკის კოშკის ძველებურმა ზარებმა დარეკეს „ინტერნაციონალი".

ოთხი შესრულდა და ტრიბუნასთან მიღწეული სოკოლნიკის რაიონის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კოლონა გაიყინა ერთ ადგილას უძრავად.

ყველა გარინდდა.

ვიღაცამ ვერ გაუძლო ამ წუთის სიმძიმეს, სულშეგუბულმა შეჰკივლა. თვალთ აცეცებ და არ იცი საიდან ისმის ეს აცახცახებული მდუ ორე ქვითინი,—მიწიდან, გულიდან, ამ განგადაქცეულ სივრცეებიდან, საბჭოთა კავშირი რომ ეწოდება?

— სმენა!—გაისმა ბრძანება და ჯარები შედრკნენ, გასწორდნენ მწყობრში ყარაულზე და დგანან დაკრიჭულნი.

დროშები დაიხარა, ფრთადაყრილი მწუხარება მიწაზე გაიწოლა.

არავინ არ იძვრის, გაშეშებული ქვეყანაფერი, მხოლოდ სადღაც გუგუნებს, ამოდეღებულ გულის ცემასავით სანიტარული ავტომობილის მოტორი, მაგრამ მალე ისიც მიწყდა.

და აი ამ სიჩუმეში დაზიდულ მკლავებით ამართა იგი, ლენინის კუბო და გაისმა...

გუგუნი ისეთი, თითქოს ცა ძირს ჩამოინგრა.

ბნელში ნამყოფ თვალებში სინათლის უეცარ დარტყმასავით იელვეს ხმლებმა და გაშეშდნენ ჰაერში. ზარბაზნებმა მძიმედ ამოიოხრეს ერთდ სივრცეებს რისხვით დაეძგერენ და დაიწყეს, დამსხვრიეს ეს ყინვი გაკავებული ჰაერი. სადღაც იქ, მის კრის წყალგამმა, აწყვდნენ შეკ დებულ ქალაქის ორთქლმავლები, ამუხუდნენ სირენები, აგრიალ ორკესტრები და ბორიბში მოგლოვიარო მარშებით და ამ საერ თო ზრიალში გაისმა სამგლოვიარო თო ზრიალში გაისმა რისხვით დოი ხმა:

— ამხანაგებო, ადექით, ლენინს სამარეში უშვებენ!

და მთელი საბჭოეთი დადგა ფეხზე.

მაღლა აწეული კუბო შეირხა ერთხელ კიდევ გადმოხედა ილიჩმა ამ ზღვა ხალხს და მერე შემდ ტრო ტმანით გაჰყვა ალამ დახრილ დრ მოინტ დენ ბელადს.

სამარის კარებთან კუბო შეტორტმანდა, მაგრამ მალე ისევ გაიმარ თა და შესასვლელიანი ნებულ დროშების ქვეშ რომ ზვიადგ გაიარა, უეცრად აჰრიალდენ ები ისე ამაზრზენად, თითქოს სიორმეში, გულის ყველა ძარღვ ერთად დაწყდა.

◆

30 წუთის შემდეგ ამოვიდნენ ისინი წლა.

წელმოწყვეტილნი ავიდნენ ტრიბუნაზე და მოაჯირის წინ წყრივდენ რიგში. შუბჯად, ხმის უცბლად ქუდები ერთად მოიხად და დაიწყეს:

— მსხვერპლად დაეცი ამაყ ბრ ლაში...

და მათ აჰყვა ეს ზღვა ხალხი ჰპონია.

ის ყველაფერი, დაყრილ დრ შებივით დაეშვა დაბლა და ტრიბ აზე მდგომ ამხანაგებს დაეყრდ ჩერებზე.

ისინი მღეროდენ, ხალხი ბანს ბეოდა და გული კიდევ რო დუღდებოდა, ცივდებოდა ყრ ში და ისე გამობრძმედილი ფო დებოდა, რომ იქ ტრიბ აზე იდგა ის შუა ტანის შავგვრე ნი კაცი.

სიმღერა ჯერ ხმამაღლა დაიწყ დაიწყეს გაბედულად. სრული მაგრამ თავისიკე ხმას, თითქოს შეეშინდათ, გულს შემ ბოლოს ბოლომდე ყრონზედ ხელი ჯრა და ეს ზვიადი გლოხა დაი ამ ლგა ცასავით დიდი, მაუ და ეს მძღვანი ხალხი, კი არ როდა, ხავოდა, ჩურჩულებდა რ გამძიანისა და გულის ამოუხუნებ მაგრამ თავს ძალა მაინც დაატ სიმღერა ბოლომდე მიიყვანეს ჩასი უკანასკნელი სიტყვები რომ ნიმუჯერ გაიმეორეს რეფრენი მოიწყა განგაშივით და ეს მუხ ხმები დააყურა ზულში ზეპი სიტყვებმა:

— გეფიცებით შენ, ამხ. ლენინ, რომ პირნათლად შევასრულებთ შენს ნაანდერძევს!..

ჰყმანებულ პროლეტარიატის მტკიცედ არ შეუმჭიდროვებია ს რიგები, როგორც იმ დღის.

ბელადის გაციებული გვამი ვიდა, მაგრამ

სტალინი იდგა ტრიბუნაზე.

ტანთ ჯარისკაცის ლგია მაზ ცვეა და ისე გადასცქეროდა ითით ხალხს, დაუსი

ხალხი უცქეროდა მას და სჯერ და რომ წუთით შეტორტმანებუ ამაყი დროშა კომუნიზმის სამ ხელშია. ეს ხელები ცაშია აჯიდ და აფრიალებული დროშა ფართო ობს მაღლა ფრთაგაშლილ თელ არწივივით.

საქართველოს მრეწველობა

ახალი დარგების ათვისებით ხვდება მე-9 ყრილობას

საქართველოს ბოლშევიკების მეცხრე ყრილობას ჩვენი ინდუსტრია მრავალი ახალი საწარმოო გამარჯვებით ხვდება: ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის დამთავრება, რიონჰესის ამუშავება, ზაჰესის გაფართოვება, ნავთის საბურღავ მანქანათმშენებელ ქარხნის, ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ცენტრალური ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკა-გიგანტის, მაკარონის ახალი დიდი ფაბრიკის, მარგარინის ქარხნის და მრავალი სხვა ახალ საწარმოთა მშენებლობა — ყველაფერი ეს მეორე ხუთწლედის 1-ლი წლის მონაპოვარია.

მძიმე მრეწველობაში, პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელთან (1932 წ.) შედარებით, შესამჩნევად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. თუ მძიმე მრეწველობის თვითეული მუშა საშუალოდ დღეში 1932 წელს გვაძლევდა 18 მან და 48 კაპ. პროდუქციას, 1933 წლის განმავლობაში ჩვენ უკვე მივიღეთ 20 მან. და 63 კაპ. პროდუქცია. თუ 1932 წელს იმავე მძიმე მრეწველობამ მოგვცა 33.941.600 მანეთის საერთო პროდუქცია, 1933 წელს მიღებულია 35.085.200 მანეთის პროდუქცია, მსუბუქმა მრეწველობამ 1932 წ. გამოუშვა 77.584.500 მანეთის პროდუქცია, 1933 წელს კი — 86.152.100 მანეთის. ამგვარად, მძიმე მრეწველობამ მეორე ხუთწლედის პირველ წელს მოგვცა 5.9 პროც. ზრდა, ხოლო მსუბუქ მრეწველობის ზრდის ტემპმა 10,4 პროცენტს მიაღწია.

ხრამჰესი და სოხუმჰესი, ალუმინის გიგანტი, აზოტის სასუქების კომბინატი, მუშეულობის ქარხანა ქუთაისში. ნავთის სარეწაოები ნავთლუღში, მელანეის კომბინატი ტფილისში. ავტო-სარემონტო ქარხანა, ფეხსაცმელების ფაბრიკა და მთელი რიგი სხვა ახალი საწარმოები — ყველაფერი ეს შორეული პერსპექტივები კი არაა, — არამედ უკვე განხორციელების პროცესში მყოფი სამუშაოებია.

ასეთია ინდუსტრიალური საქართველოს პროფილი. საქართველოს ბოლშევიკების შტაბის — საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა სწრაფად მიდის წინ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების გზით. სწორედ ორი წლის წინად, 1932 წლის 23 იანვარს საქ. კ. პ. (ბ) მერვე ყრილობამ ასეთი დავალება მოგვცა:

„ყრილობა აუცილებლად სთვლის განუხრელად იქნეს აღებული ხაზი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებაზე და მთავარი ყურადღება მიექცეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 31 ოქტომბრის დირექტივების შესრულებას".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლამ საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე, — უზრუნველყო ჩვენი ინდუსტრიის სწრაფი განვითარება. მძიმე მრეწველობამ უკვე აითვისა რთული მანქანათმშენებლობა. ჩატარებულია ლითონის გადამამუშავებელი ქარხნების სპეციალიზაცია. 26 კომ. სახ. ქარხანა სპეციალიზირებულია საფეიქრო მანქანათმშენებლობაზე, ორჯონიკიძის სახ. ქარხანა — მევენახეობა-მეღვინეობაში და საერთოდ სოფლის მეურნეობაში საჭირო მანქანების გამომუშავებაზე, კალინინის სახ. ქარხანა — ელექტრო-მანქანების მშენებლობაზე და ფართო მოხმარების საქონლის (საწოლები, რკინის ბადეები, ჯაჭვები და სხვ.) გამოშვებაზე. ბათომში შენდება ჩაის მეურნეობაში საჭირო მანქანათმშენებელი ქარხანა. მსუბუქი მრეწველობის ხაზით შენდება მელანეის (თეთრეულის საქსოვი) კომბინატი, მატყლის სარეცხი ქარხანა და ფეხსაცმელების ფაბრიკა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობის მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. თვითღირებულების დაკლებისა და პრ. ხარ. გაუმჯობესებისათვის სუსტი ბრძოლა კვლავ დამახასიათებელია როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობისათვის. მაგალითად. 1928 წლიდან 1933 წლამდე 26 კომუნ. სახ. ქარხანაში პროდუქციის თვითღირებულებამ იმატა 4,6 პროცენტით, ორჯონიკიძის სახ. ქარხანაში — 8,9 პროცენტით და ა. შ. თვითღირებულების ზრდაზე გავლენა მოახდინა 1932 წლის განმავლობაში ქარხნების სუსტმა მომარაგებამ ნედლი მასალით. ნედლეულის საკმაო რაოდენობით მოუმარაგებლობა იწვევდა გაცდენებს და ამით იზრდებოდა თვითღირებულება.

მეორე ხუთწლედის პირველ წელში საქართველოს მრეწველობამ უკეთ შეასრულა საწარმოო დავალებები, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ საწარმოო-საფინანსო გეგმები მთლიანად მაინც არაა შესრულებული მარტო მძიმე მრეწველობამ 1933 წელს ქვეყანას დააკლო 4.963.000 მანეთის პროდუქცია. მას წლის განმავლობაში უნდა გამოეშვა 40.049.100 მანეთის პროდუქცია, ხოლო გამოუშვა 35.085.200 მანეთის, რაც გეგმის 86,6 პროც. უდრის.

მძიმე მრეწველობის ცალკე დარგების მუშაობა 1933 წლის განმავლობაში ასეთ სურათს იძლევა: სათბობ მასალათა მრეწველობამ წლიური დავალება მხოლოდ 50,5 პროცენტით შეასრულა. 4.475.600 მანეთის ნაცვლად სათბობ მასალათა მრეწველობამ მოგვცა 2.272.200 მანეთის პროდუქცია.

ლითონის, გადამამუშავებელ მრეწველობამ წლიური საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა: ნაცვლად გათვალისწინებული 12.411.200 მანეთისა, მან ქვეყანას მისცა 13.100.800 მანეთის პროდუქცია. 1932 წელთან შედარებით ლითონის მრეწველობის ზრდის ტემპი უდრის 20.2 პროცენტს (1932 წელს ლითონის მრეწველობამ გამოუშვა 10.900.000 მანეთის პროდუქცია).

ქიმიურმა მრეწველობამაც გადაჭარბებით შეასრულა წლიური საწარმოო დავალება. 1.454.300 მანეთის ნაცვლად მან ქვეყანას მისცა 1.466.600 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1932 წელს გამომუშავებული ჰქონდა 1.200.700 მანეთის პროდუქცია. ქიმიური მრეწველობის ზრდის ტემპი ავიდა 21.5 პროცენტამდე.

მძიმე მრეწველობის დანარჩენი დარგები შესამჩნევად ჩამორჩნენ გეგმების შესრულებაში, თუმცა წინა წლებთან შედარებით აქაც ზრდის ტემპი დიდია. მარგანეცის მრეწველობაში, მაგალითად, ზრდის ტემპი უდრის 27.6 პროცენტს. ჩამორჩა საშენ მასალათა წარმოება (5 მილიონი მანეთის ნაცვლად მიღებულია 4 მილიონი მანეთის პროდუქცია) და მადნეულობის მრეწველობა. რომელმაც 5.628.000 მანეთის ნაცვლად 4.356.500 მანეთის პროდუქცია მოგვცა.

მსუბუქი მრეწველობის დარგში 1933 წლის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა მხოლოდ პოლიგრაფიულმა მრეწველობამ. მან წლის განმავლობაში მოგვცა 2.767.100 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გათვალისწინებული 2.733.600 მანეთისა. წლიური საწარმოო გეგმა შესრულებულია 101,2 პროც., ხოლო წინა (1932) წ. შედარებით ზრდის ტემპი უდრის 16,1 პროცენტს.

აბრეშუმის მრეწველობამ გასულ წელს მოგვცა 18.094.700 მანეთის პროდუქცია (წლიური გეგმის 96,8 პროც.). ხოლო 1932 წელს გამოშვებული ჰქონდა 16.289.500 მანეთის. ზრდის ტემპმა მიაღწია 11 პროცენტს.

საფეიქრო მრეწველობამ წლიური დავალება შეასრულა 88 პროცენტით, გათვალისწინებული 16.265.900 მანეთის ნაცვლად მოგვცა 14.319.500 მანეთის პროდუქცია წინა წელთან შედარებით საფეიქრო მრეწველობის ზრდის ტემპმა იმატა 1,5 პროცენტით.

სამკერვალო მრეწველობამ 1933 წლის განმავლობაში გამოსაშვები 48.533.000 მანეთის ნაცვლად გამოუშვა 49.001.000 მანეთის პროდუქცია. 1932 წელს კი საფეიქრო მრეწველობას გამოშვებული ჰქონდა 33.808.700 მანეთის პროდუქცია. საფეიქრო მრეწველობის ტემპი გაიზარდა 18,3 პროცენტით.

ტყავეულობის და ფეხსაცმელების მრეწველობა მსუბუქი ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. გასული წლის განმავლობაში მან ქვეყანას დააკლო 2.242.200 მანეთის პროდუქცია. გეგმით გამოშვებული უნდა ყოფილიყო 9.428.100 მანეთის ტყავეული და ფეხსაცმელები, ხოლო ნამდვილად გამოშვებულია 7,185,900 მანეთის; წლიური გეგმის შესრულება 76,2 პროცენტს უდრის.

სულ მთლიანად მთელმა მსუბუქმა მრეწველობამ მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა შეასრულა 84.1 პროცენტით (1932 წლის გეგმა შესრულებული იყო 76 პროცენტით). 102.400.700 მანეთის ნაცვლად მსუბუქმა მრეწველობამ მოგვცა 86 152,100 მანეთის საერთო პროდუქცია.

როგორი პერსპექტივები წინაშე დგას ჩვენი მრეწველობა ხუთწლედის მეორე წელში? წელს მომქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგება მრავალი ახალი საწარმო — ამუშავდება ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელმაც წლის ბოლომდე უნდა გამოუშვას 1 მილიონი მანეთის პროდუქცია. იზრდება და ფართოვდება დიატომიტისა, გუმბრინისა და ბარიტის ამოღება. 1934 წელს მძიმე მრეწველობამ უნდა მოგვცეს სულ 42.422.500 მანეთის პროდუქცია.

მსუბუქმა მრეწველობამ უნდა გამოუშვას 107.879.700 მანეთის პროდუქცია. ანუ 18,5 პროცენტით მეტი, ვიდრე 1933 წელს.

მსუბუქი მრეწველობის ხაზით წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას. 22.082.000 მანეთი იქნება დახარჯული მსუბუქი მრეწველობის ხაზით ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები ფაბრიკების ასაგებად.

წელს დაიწყება მუშეულობის ქარხნის მშენებლობა ქუთაისში, რისთვისაც გათვალისწინებულია 3.000.000 მანეთის დახარჯვა, ფეხსაცმელების ფაბრიკის მშენებლობაზე (ტფილისში) დაიხარჯება 8.500.000 მანეთი, მატყლის სარეცხი ქარხნის ასაგებათ — 400.000 მანეთი, სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობაზე — 1,400.000 მანეთი, ფეხსაცმელების პირველ ფაბრიკის მანქანების შეძენაზე — 32.000 მანეთი, ფეხსაცმელების მეორე ფაბრიკის მექანიკურ მოწყობილობათა შეძენაზე — 58.500 მანეთი და სხვ.

მძიმე მრეწველობის ხაზით, გარდა ახალი მშენებლობისა, წელს დამთავრდება ლითონის გადამამუშავებელი ქარხნების სპეციალიზაცია და რეკონსტრუქცია. სულ ქარხნების რეკონსტრუქციაზე წლის განმავლობაში დაიხარჯება 750.000 მანეთი.

დ. ამირანაშვილი

ოქროს მკეთებლები

— ა, შე ხბოო შენა, შე თხის მსგავსო, არა გრცხვენია, არ წითლდები?.. ნახაზები გააკეთე და არ იცი სად შეინახე? რა კაცი ხარ, რა სპეციალისტი, შენი საქმე ნახირში ყოფნაა, შენ ცხვრის ფარასთან უნდა იყო.

— კი ამხანაგო მიშა, მაგრამ ზოგჯერ ისე გაერთვები კაცი, რომ..

— გაერთვები, გაერთვები. მე შენ გითხრა და ბახის რაპსოდიას უსმენდი; შენმა სულიერმა, როგორი განვითარებული გემოვნება გაქვს. გაერთვებით, ხედავთ, რას ჩმახავს? ხედავთ?!

უხერხულ მდგომარეობაში ვარ. ვხედავ, რომ ინჟენერი ვარ. კოზლოვსკის ამ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი მე გავხდი. ვხედავ, რომ კეთილ კაცს ინჟ. მიხეილ გურეშიძეს უნდა თურმე ასეთი გაბრაზების უნარი, რომ გზა უნდა უტიო. ცოტა ხანი და შემდეგ ყველაფერი გაივლის. კოზლოვსკი ისევ „ძვირფასი ვალია". იქნება და გურეშიძე „ძვირფასი მიშა". მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორიც დღეს მოხდა, გურეშიძე არავის დაზოგავს, იყოს ის გინდ კოზლოვსკი და გინდ საკუთარი მეული. საკითხი ეხებოდა, რაღაც საიმპორტო მანქანის ნახაზებს, რომელიც თვეების განმავლობაში შეუსვენებლად მუშაობის შემდეგ შესძინა ინჟ. მ. გურეშიძემ 26 კომუნ. სახ. ქარხანას.

— ხუმრობა საქმე ხომ არაა,—მიმბრუნდა მე განმარტებისათვის უკვე დაწყნარებული გურეშიძე,—ამერიკულმა ფირმამ „ლიზონმა" ამ ორი წლის წინად გამოუშვა ახალი გაუმჯობესებული კონსტრუქციის სელსახვევი მანქანა, რომელსაც აქვს ერთი პატარა, მეტად რთული ნაწილი. მანქანა მეტისმეტად ძვირი ღირს. იგი განსაკუთრებით საჭიროა ჩვენში—საბჭოთა კავშირში, სადაც სელის კულტურას ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია სხვა ტექნიკურ კულტურათა შორის. გარდა „ლიზონის" ფირმისა, ასეთ მანქანებს ვერავინ აკეთებს. მე ამას წინათ ვიმგზავრე რუსეთში და ვნახე ერთი ასეთი მანქანა. გადავსწყვიტე დამესვა საკითხი ასეთი მანქანების ტფილისში დამზადების შესახებ და რა გგონიათ? ჩვენი ქარხნის დირექტორი ამხანაგი სიტნიკოვი—ძვირფასი კაცია, შრომის მოყვარე და ჰკვიანი—სიხარულით ცას ეწია.

— აბა თქვენ იცით, იმუშავეთ და თუ რამე გამოვიდა, დახმარება ჩემს კისერზე იყოსო. ჩვენც ვიმუშავეთ, ვიმუშავე მეც, ამანაც იმუშავა—ძვირფასმა ვალიამ, ჩემმა არაფერი გეწყინოს!—ვეძიეთ „ლიზონის" საიდუმლოება და მივაგენით კიდეც. აი ეხლა ვიწყებთ მანქანის კეთებას. ქალაქ კოსტრომაში არსებობს ზეორიკინის სახელობის ხელსაწყოები კომბინატი და იმის დაკვეთით ვამზადებთ ამ მანქანას. სახელმწიფოსთვის სარგებელია (თვითეული ასეთი მანქანა 120.000 მანეთი ღირს ოქროთი), ჩვენთვის კი სახელის და კმაყოფილების ფასდაუდებელი გრძნობა..

— რატომ გავბრაზდი? იმიტომ, რომ ამდენი ნაწვალები ნახაზები რომ დავკარგოთ, თავი მოგვეჭრება, კოსტრომელებს დაკვეთას ველარ შევასრულებთ, დავკარგავთ დიდი ხნის ნამუშევარს, წყალში ჩაგვეყრება მასზე დახარჯული ენერგია, იძულებული ვიქნებით ისევ თავიდან დავიწყოთ ამ ნახაზების კეთება, დრო გავა და მანქანას დანიშნული ვადისთვის ველარ გამოვუშვებთ.

ინჟ. კოზლოვსკიმ ნახაზების დიდი რეული ამოიღო და მაგიდაზე გაშალა. თვალით ძლივს შესამჩნევ წვრილ ხაზებში ნოცმული, რაღაც უცნაური პატარა ფიგურები ჩემთვის მაინც გამოუცნობნი რჩებიან. მოუხედავად გურეშიძის ვრცელი განმარტებებისა. გამოუცნობნი რჩებიან. მაგრამ წარმომიდგენია, თუ რამდენი შრომა იქნებოდა საჭირო მეათასედი მილიმეტრებით მანძილის გაზომვისას ამ პატარა ხრახნილებს შორის და რა ძნელი და რამდენად კვალიფიციური მუშაობაა საჭირო მათ ჩამოსასხმელად, გასაჩარხავად და ნაწილების ერთი მეორესთან მოსარგებად.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც. იგი ცნობილია მარტო იმით კი არა, რომ გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, არამედ იმითაც, რომ უბრალო სახელოსნოდან ეს ქარხანა გადაიქცა რთული და საიმპორტო მანქანათმშენებლობის თვალსაჩინო საწარმოდ. ამ ქარხნის მოკლე ისტორია ასეთია: 1914 წელს მეფის მთავრობამ ყოფილი ყაზარმის ეზოში მოაწყო ავტომობილების შემკეთებელი სახელოსნო. კავკასიის ფრონტზე დაზიანებული ავტოტრანსპორტის ნაწილი მოჰქონდათ ტფილისში, რომ აქ შეეკეთებიათ და შემდეგ ისევ ფრონტზე გაეგზავნათ. მენშევიკებმა ეს სახელოსნო ისე გააჩანაგეს, რომ იქ არა თუ ავტომობილების რემონტი—ურმების შეკეთებაც შეუძლებელი იყო. სახელოსნოში შემორჩენილი რამოდენიმე კასრი ბენზინის ასაფეთქების კეთებით ირთობდა თავს. თუ რამე ხეირიანი მოწყობილობა შერჩა სახელოსნოს, ყველაფერი განიავდა მენშევიკების ბატონობის დროს.

როგორც საერთოდ მთელი საქართველოს მრეწველობის, ისე 26 კომუნარის სახ. ქარხნის აღორძინების პერიოდი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან იწყება. აღადგინეს არსებული სახელოსნო, შემატეს ახალი მოწყობილობა, დაიწყეს ჯერ რკინის საწოლების, შემდეგ წყალსადენის ნაწილების და ბოლოს მარტივი მანქანების გამოშვება. ყოველწლიურად იზრდებოდა ქარხანა, მატულობდა საამქროების რიცხვი, იზრდებოდა მუშათა რაოდენობაც.

გასული წლის მაისიდან დაიწყო ქარხნის სპეციალიზაცია. 26 კომუნ. სახ. ქარხანა აღიარებულ იქნა საფეიქრო მანქანათმშენებლობის ქარხანად. მართალია, წინა წლებშიაც და ნაწილობრივ 1933 წელსაც ამ ქარხანაში ამზადებდნენ რკინის საწოლებსაც, ჩაის მანქანებსაც, საფეიქრო მანქანებსაც, წყალსადენის მოწყობილობასაც და სხვ. მაგრამ ამიერიდან 26 კომუნარის სახ. ქარხანა დაამზადებს მხოლოდ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანებს (აბრეშუმის, მატყლის და კამვოლის საქსოვ მანქანებს).

1933 წლის ივნისში ამ ქარხანასთან მოეწყო ახალი საამქრო—„ახალი, რთული და საიმპორტო მანქანების საკონსტრუქტორო საამქრო". თუ რაიმე ახალს გაიგებდით და ეს საკითხი შეეხებოდა საფეიქრო მანქანათმშენებლობას—საამქროში მყისვე დაიწყებდნენ ამ „ახალი ამბავის" დამუშავებას. „ოქროს მკეთებლების საამქრო" დაარქვეს მეტ სახელათ საკონსტრუქტორო სამქროს. ეს საამქრო ფაქტიურად ქარხანაა ქარხანაში, იგი წარმოადგენს ორ-სართულიან დიდ საქარხნო კორპუსს, სადაც კონსტრუქტორების მხოლოდ ერთი მოზრდილი დარბაზი უკავიათ. იგივეა სამოდელო განყოფილება, ხოლო კორპუსის დანარჩენი ნაწილი ჩამომსხმელ, გამჩარხავ, ამწყობ და სხვა განყოფილებებს შორისაა განაწილებული. ნახაზი ჯერ ეძლევა ჩამომსხმელ განყოფილებას. იგივე ნახაზი, მაგრამ უფრო დაზუსტებული—გამჩარხავ განყოფილებას და ბოლოს, ამწყობ განყოფილებას, სადაც მუდმივ ტრიალებენ ჩვენი მანქანათმშენებლობის შეფები—ქარხნის დირექტორი სიტნიკოვი, პარტკოლექტივის მდივანი—აივაზოვი, ინჟ. გურეშიძე და სხვები.

ოქროს მკეთებლებიო, მოსწრებული სახელ წოდება ამ ხალხისათვის. აბა, გადახედეთ ციფრებს. თუ ეს მართალი არაა!

სამმაგი მოქმედების როლერები, თითო ასეთი მანქ. მოსათავსებლად ხომ კარგად მოზრდილი ოთახია საჭირო, რომლებიც ჩვენ შემოგვქონდა ინგლისიდან და თითო ცალში 3.500 ოქროს მან. ვიხდიდით—ეხლა აქ მზადდება. 1933 წელს 20 ასეთი მანქანა გამოუშვა 26-ის ქარხანამ და ამით დაზოგა 70.000 მანეთი ოქროთი.

„მარშალ-ფეპაიერის" სისტემის ჩაის საშრობი დიდი მანქანა-ღუმელი, რომელშიაც 16.500 მანეთს ვიხდიდით ოქროთი—ახლა ამ ქარხანაში მზადდება. 27 ტონას იწონის თვითეული ასეთი მანქანა-ღუმელი. 1933 წლის განმავლობაში 26-ის სახელობის ქარხანამ 11 ასეთი მანქანა-ღუმელი გამოუშვა და ამით ქვეყანას შემატა 181.500 მანეთი ოქროთი.

საფეიქრო ფაბრიკებისათვის აუცილებელი სართავი მანქანა, რომლის გაუმჯობესებული ნიმუშიც შარშან გამოუშვა შვეიცარიულმა ფირმამ „შერერ-კუსბაუმერმა"—დღეს 26 კომ. სახელ. ქარხანაში მზადდება. პირველი ეგზემპლიარი ამ მანქანისა მზად იქნება მეჩვიდმეტე ყრილობის გახსნისათვის. უკვე კეთდება მეორე მანქანაც, რომელიც ღირს ..600 მანეთი ოქროთი.

26 კომუნარის სახ. ქარხანამ პირველმა განახორციელა ინჟ. ოკუნისა და საბლიკოვის ახალი უდიდესი მნიშვნელობის გამოგონება, აბრეშუმის ცენტრალიზებულად გამოსახარშავი მანქანა, რომელიც დაპატენტებულია ..ელა ქვეყანაში.

უცხოეთიდან შემოტანის მაგიერ ებლა, პირიქით, საქართველოდან მიაქვთ უცხოელებს ჩვენში დამზადებული მანქანები. „ტფილისი, 26 კომუნარის სახ. ქარხანა". ასეთი იარლიკი ამშვენებს იმ საფეიქრო-მანქანებს, რომლებსაც ამზადებს 26-ის სახ. ქარხანა ქალ. კაისარის ბამბის საქსოვი კომბინატისათვის (თურქეთი). თურქეთიდან ქარხანამ მიიღო დიდძალი დაკვეთები. ინჟ. ოკუნისა და საბლიკოვის მანქანაზედაც მოდის უცხოეთიდან დაკვეთები.

ოქროს არსად არ აკეთებენ, ქიმიამ ჯერ არ იცის ამის საიდუმლოება, მაგრამ 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში აკეთებენ ოქროს შემცვლელ განძებს. ამის საიდუმლოება იციან სიტნიკოვმა, აივაზოვმა, გურეშიძემ, კოზლოვსკის და ქარხნის მთელმა მუშათა კოლექტივმა.

დ. ლომთაძე.

ავაშენეთ და ვაშენებთ

რიონჰესი.

1933 წელს ამუშავდა რიონჰესის ორი ტურბინა, თვითეული 17,500 ცხენის ძალის სიმძლავრით. რიონჰესის საზეიმო გახსნა მოხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 13 წლის თავზე — მიმდინარე წლის 25 თებერვალს.

მშენებლობის მთლიანად დამთავრების შემდეგ რიონჰესზე იქნება 4 ტურბინა, საერთოდ 70.000 ცხენის ძალის სიმძლავრით.

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1930 წელს. 1933 წლის ნოემბერში ამუშავდა ორი ელექტროღუმელი. მშენებლობის მთლიანად დამთავრების შემდეგ, ზესტაფონის ფერო - მარგანეცის ქარხანა წელიწადში მოგვცემს 150.000 ტონა ფერო-შენადნობს.

ფოლად - თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა.

ქარხანა შენდება ავჭალაში. მშენებლობა დაიწყო 1933 წლის პირველ კვარტალში. 1934 წლის მეორე კვარტალში დამთავრდება პირველი რიგის სამუშაოები, რის შემდეგ ქარხანა მოგვცემს წელიწადში 4.000 ტონა თუჯისა და 3.200 ტონა ფოლადის სხმულს.

ჩაის მოწყობილობათა ქარხანა ბათომში

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1933 წელს. პირველი რიგის სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1935 წელს. ქარხანა წელიწადში მოგვცემს 11 მილიონი მანეთის პროდუქციას.

აბრეშუმის კომბინატი ქუთაისში

მშენებლობა დაიწყო 1932 წელს, დამთავრდება მიმდინარე წელს. კომბინატში დადგმული იქნება 500 საქსოვი დაზგა.

სამკერვალო ფაბრიკა ბათომში

მშენებლობა დაიწყო 1932 წელს, და დამთავრდა 1933 წლის ბოლოს. ფაბრიკა წელიწადში გამოუშვებს 24 მილიონი მანეთის პროდუქციას.

სამკერვალო ფაბრიკა ტფილისში

მშენებლობა დაიწყო 1932 წელს, უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს. ფაბრიკა წელიწადში დაამზადებს 50 მილიონი მან. პროდუქციას.

სამკერვალო ფაბრიკა ქუთაისში

მშენებლობა დაიწყო 1932 წელს, დამთავრდება მიმდინარე წელს. ფაბრიკა წლიურად მოგვცემს 24 მილიონი მანეთის პროდუქციას.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანა

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1930 წელს და დამთავრდა 1933 წელში. ქარხანა ყოველდღიურად უშვებს 2000 ყუთ კონსერვს.

აგარის შაქრის ქარხანა

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1931 წელს, დამთავრდა 1933 წლის თებერვალში. ქარხანა ცვლაში ამუშავებს 10 ათას ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

ტფილისის მარგარინის ქარხანა

მშენებლობა დაიწყო 1931 წელს, და ძირითადად დამთავრდა 1934 წლის იანვრისათვის. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 6000 ტონა მარგარინს.

1.400.000 ტონა მარგანეცი—ასეთია დავალება

ჭიათურა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

„საკავშირო მეტალურგიას სულ უფრო მეტად და მეტად ესაჭიროება მარგანეცი" (ლ. ბერია). ამუშავდა მეტალურგიის ახალი გიგანტები, გაიზარდა მოთხოვნილება მარგანეცზე. მთელი ეს მოთხოვნილება ჭიათურამ უნდა დააკმაყოფილოს. თუ 1933 წელში მარგანეცის მრეწველობის დავალება 840.000 ტონით განისაზღვრებოდა, მიმდინარე წელს ჭიათურამ უკვე 1.400.000 ტონა მარგანეცი უნდა მოგვცეს.

გასულ წელს მარგანეცის მრეწველობა დიდი ჩამორჩენით მუშაობდა. გარღვევა, რომელმაც წლის დასაწყისშივე იჩინა თავი, გაგრძელდა წლის ბოლომდე. ჩვენ ხელთ არა გვაქვს შეჯამებული წლიური ცნობები, მაგრამ თერთმეტი თვის და დეკემბრის ორი დეკადის მაჩვენებლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მარგანეცის მრეწველობა გარღვეული ფრონტით გამოვიდა მეორე ხუთწლედის მეორე წელში. 1933 წლის თერთმეტი თვის გეგმა ჭიათურის მრეწველობამ 86,4 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას დააკლო 84.223 ტონა მარგანეცი. დეკემბრის ორი დეკადის გეგმა შესრულდა 91,3 პროცენტით; 73.372 ტონა მარგანეცის ნაცვლად ამოღებულ იქნა 66.983 ტონა.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა გარეცხვის დარგში. მადნის გარეცხვის გეგმა თერთმეტ თვეში შესრულდა 79,1 პროც; ხოლო დეკემბრის ორ დეკადაში — 72,2 პროცენტით. არ სრულდება დავალებები ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგშიც. შრომის ნაყოფიერების გეგმა თერთმეტ თვეში მაღაროში შესრულდა 93,9 პროც; ქარხანაში — 83.8 პროც; დეკემბრის ორ დეკადაში მაღაროში — 90,4 პროც. ქარხანაში — 79,5 პროცენტით. გაიზარდა დანაკარგები. თერთმეტ თვეში მარგანეცის დაკარგვა გარეცხვისას, გეგმასთან შედარებით, გაიზარდა 7,2 პროცენტით.

მარგანეცის მრეწველობის ცუდი მუშაობის ძირითად მიზეზად კვლავ რჩება შრომის მოუწესრიგებლობა, ძალთა ცუდი განაწილება, ტექნიკის აუთვისებლობა. იქ, სადაც ამ მხრივ სანიმუშოდ დააყენეს მუშაობა (მაღარო №29—30), შედეგიც დიდია, **ამ მაღარომ წლიური გეგმა 8 დეკემბრისათვის შეასრულა და იკისრა გეგმის გადამეტებით ამოიღოს 1.044.000 ფუთი მარგანეცი.** უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მაღარომ არ იცის, რა არის ჩამორჩენა. გეგმა წლიდან წლამდე გადაჭარბებით სრულდება.

№29—30 მაღაროს ყოველდღიური დავალება 1933 წელში შეადგენდა 688 ტონას. ასეთივე გეგმა ჰქონდა მიცემული №—11 მაღაროს. ამ ორ მაღაროს მუშაობაზე საუკეთესოდ ჩანს მუშაობის ორი სისტემა, ორი მაგალითი. რამდენადაც წინ მიდის №—29—30 მაღარო, იმდენად ჩამორჩენილია №—11. არ იქნა და მაღარომ თავი ვერ დააღწია ტექნიკურ დაბრკოლებებს. ამ უბნის მთავარ გვირაბში გაყვანილი იყო საბაგირო გზა. ბევრჯერ აკეთებდნენ იგი, ბევრჯერ გადააკეთეს, მაგრამ წესრიგში მაინც ვერ მოიყვანეს. ბოლოს იძულებული შეიქნენ სრულიად დაეხურათ გვირაბი და მუშაობა სხვაგან გადაეტანათ. მაგრამ ვინაიდან სხვა სამუშაოები არ იყო სამამისოდ მომზადებული, მაღარომ ვერ მიაღწია გეგმით გათვალისწინებულ ნაყოფიერებას.

მაღაროში ადგილი აქვს გაუპიროვნებას, ზუსტად არაა განსაზღვრული ფუნქციები, არ არის გატარებული ერთპიროვნული ხელმძღვანელობა (ეს ნაკლია არა მარტო №—11 მაღაროსი, არამედ ჭიათურის თითქმის ყველა მაღაროებისა), ყურადღება არ ექცევა ტექნიკის დაუფლებას. პნევმატიური ჩაქუჩები, საყელავი მანქანები, ბურღები და სხვა იარაღები აუთვისებელია. ტექნიკური წრეები ქაღალდზე არსებობენ. მაღარო მასალებით უზრუნველყოფილია, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს მათ მიზანშეწონილად გამოყენებას. მაღაროს ორგანიზაციებს არაფერი გაუკეთებიათ ჭიათურის საუკეთესო მბრძოლების გამოცდილების გამოსატანად და მუშებში გასავრცელებლად.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ მაღარო ვერ ასრულებს გეგმებს. 1933 წლის თერთმეტი თვის გეგმა მაღარომ მხოლოდ 56,3 პროცენტით შეასრულა, დეკემბრის ორი დეკადის გეგმა კი — 70 პროცენტით. ასეთი „სამაგალითო" მუშაობისათვის მაღარო დაჯილდოვებულია ჭილოფის დროშით.

მარგანეცის ამოღების გეგმების შესრულების ერთერთი ძირითადი პირობაა მუშახელის ორგანიზებულად შეგროვება და დამაგრება წარმოებაზე მათთვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის გზით. უნდა ვსთქვათ, რომ მუშახელის გეგმიანად შეგროვება ჯერ კიდევ არ არის მოქცეული მაღაროების ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. არ კმარა მარტო ხელშეკრულების დადება კოლმეურნეობასთან, ხელშეკრულებას შესრულება უნდა. მაღაროები კი ამას ალმაცერად უყურებენ. მაგალითად, №—36 მაღაროში ჩივიან, რომ არ ყოფნით მუშა-ხელი, ამავე დროს მოსული მუშებისათვის მაღაროს არ აქვს ბინები, არ არის გათბობა, წყალი, კანალიზაცია; ბინებში გამეფებულია ჭუჭყი, არ არის საპონი. მაღაროს ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა შეშის მომარაგება მუშათა ბინების გასათბობად. ყველა ეს, ცხადია, ხელს უწყობს დენადობას.

მეორეს მხრივ, არც კოლმეურნეობები ასრულებენ ხელშეკრულებას. ზოგიერთ კოლმეურნეები განსაზღვრული დროით მოდიან მაღაროში. ვადის გასვლის შემდეგ ისინი სტოვებენ სამუშაოს და მათ მაგიერად კოლმეურნეობამ ახალი მუშები უნდა გამოგზავნოს, მაგრამ ამ ვალდებულებას არ ასრულებენ. ასეთია, მაგალითად, სავანის, არგვეთის და წირქვალის კოლმეურნეობები.

*

ამ უდიდესი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც დგას მარგანეცის მრეწველობის წინაშე 1934 წელში, საჭიროა ჩატარებულ იქნეს მთელი მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია და მომზადდეს ნიადაგი შემდეგი წლების კიდევ უფრო გადიდებული გეგმების შესასრულებლად. წელს მარგანეცის მრეწველობამ უნდა დაამზადოს 950.000 ტონა გარეცხილი მარგანეცი. 1935 წელს მოთხოვნილება გარეცხილ მადანზე მიაღწევს 1.200.000 — 1.300.000 ტონას. მარგანეცის ტრესტის განკარგულებაში არსებული მოწყობილობით და ამჟამად მშენებლობის პროცესში მყოფ ახალი ქარხნით კი შეუძლებელი იქნება არა უმეტეს 1.000.000 ტონა სასაქონლო პროდუქციის დამზადება. ამიტომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აუცილებლად სცნო ჩატარდეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია იმ ანგარიშით, რომ 1934 წლის პირველი კვარტალის ბოლოდან შესაძლებელი გახდეს უშუალო სარეკონსტრუქციო სამუშაოთა დაწყება.

მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქციის ჯაჭვში ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს ცენტრალური სარეცხი ქარხნის მშენებლობა პერევისაში. საკავშირო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ეს ქარხანა ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან, მაგრამ თუ ახლანდელი ტემპით გაგრძელდა მუშაობა, ქარხანა ამ ვადისათვის მზად არ იქნება. მარგანეცის ტრესტი სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობა ქარხნის მშენებლობას, რომელსაც ბევრი რამ აკლია — რკინა, ხე-ტყე და სხვ. ჭიათურაში მოსული მასალის ატანას ვერ ახერხებენ მშენებლობის ადგილზე, რადგან არ არის სამამისო ტრანსპორტი. ტრესტის მთავარ სახელოსნოში ძალზე აჭიანურებენ მშენებლობის შეკვეთების დამზადებას. მშენებლობაზე 100-დე მუშა მუშაობს, პარტმასობრივ და პროფესიულ მუშაობის გაშლაზე მათ შორის არავინ ზრუნავს.

გარდა ცენტრალური სარეცხი ქარხნისა, 1934 წლის კაპიტალურ სამუშაოებში შედის აგრეთვე ახალი საშახტოების მომზადება კორონხანეთში. კაპიტალური სამუშაოები აქ მიმდინარეობს 1930 წლიდან, გაჰყავთ მთავარი გვირაბი და „შტრეკები". შარშან აქ გვირაბი გათხრილ იქნა 600 მეტრზე, წელს კი მუშაობის მექანიზაციით გათხრილი იქნება 1.000 მეტრზე. მექანიზაციის გატარებასთან დაკავშირებით საჭიროა კვალიფიციური მუშების მომზადება, მექანიზმების ტექნიკის დაუფლება. ამ მიმართულებით არაფერი კეთდება, ტრესტი ხარჯების შემცირების აუცილებლობით იმართლებს თავს.

წელს კაპიტალური დაბანდებანი მარგანეცის მრეწველობაში აღწევს 11,5 მილიონ მანეთს. აქედან 3.563.000 მანეთი დაიხარჯება საბინაო — კულტსაყოფაცხოვრებო მშენებლობაზე, ხოლო 7.937.000 მანეთი სამრეწველო მშენებლობაზე. ამოცანაა მდგომარეობს იმაში, რომ ეს თანხა მთლიანად იქნეს ათვისებული. სწრაფი ტემპით უნდა გაიშალოს საბინაო მშენებლობა, რომელიც ჭიათურაში ძალზე ჩამორჩენილია.

„საკავშირო მეტალურგიას სულ უფრო მეტად და მეტად ესაჭიროება მარგანეცი". ჭიათურამ უნდა შესძლოს ამ საჭიროების მთლიანად დაკმაყოფილება.

ბუაჩიძე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-9 ყრილობისათვის

ბრძოლა ჩაის დამოუკიდებლობისათვის

ცოტა რამ ისტორიიდან

ჩაის პირველი ბუჩქი საქართველოში მოტანილი იქნა მე-19 საუკ. 80-იან წლებში შემოტანილი დაახლოვებით 1885 წელს, ბოტანიკ ზეიდლიცის მიერ ბათომის რაიონის შავი ზღვის სანაპიროებში ხანკოუდან (ჩინეთი) შემოტანილი ნერგებით გაშენდა ჩაის პირველი პლანტაცია. 1890 წელს უკვე მოკრიფეს ამ პლანტაციის ფოთოლი, რომლიდანაც დამზადებული იქნა თითქმის ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი ხარისხის შავი ბაიხის ჩაი.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ჩაის ვაჭრობა-მრეწველობაში ცნობილ კაპიტალისტ პოპოვს. დაინახა რა, რომ ბათომის მიდამოები და შავი ზღვის სანაპიროები აჭარისტანისა და გურიის ჩათვლით, წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს ჩაის კულტურის განვითარებისათვის, პოპოვი შეუდგა საქმეს ჩაის საკუთარი პლანტაციების გასაშენებლად. ამ მიზნით გაგზავნა სპეციალისტებისაგან შემდგარი ექსპედიცია ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, კუნძულ ცეილონსა და იავაზე.

დაახლოებით მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩაის კულტურით დაინტერესდა აგრეთვე საუფლისწულო უწყება, რომელმაც ჩაქვში გააშენა ჩაის პლანტაცია, ამავე პერიოდიდან ჩაის კულტურის გავრცელებას ხელს კიდებს ამიერკავკასიის მიწათმოქმედების დეპარტამენტი, რომელიც აწყობს საცდელ უბნებს, გურიის, აჭარისტანის და სამეგრელოს ცნობილ რაიონებში და უწევს დახმარებას როგორც საუფლისწულო უწყებას, ისე ჩაის კულტურის განვითარებით დაინტერესებულ კაპიტალისტებსა და მემამულეებს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რუსეთის ყოფილი იმპერია ჩაის მხრივ განსაკუთრებულ სამომხმარებლო ქვეყნად ითვლებოდა, გასაგები იქნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც რუსეთის კაპიტალისტები იჩენდენ ჩაის კულტურის განვითარებისადმი. ჩაის იმპორტს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ძველი რუსეთის საგარეო ვაჭრობაში. აი, მაგალითად, რას გვეუბნება ციფრები:

1913 წელს რუსეთში საზღვარგარეთიდან შემოუტანიათ.

შავი ბაიხის ჩაი	37.281 ათასი კილოგრამი.
მწვანე ჩაი	8.048 კილოგრამი.
აგურის ჩაი	24.400 ათასი კილოგრამი.
სულ	75.807 ათასი კილოგრამი.

ამგვარად ომამდე ყველა სახის ჩაის შემოტანისათვის საიმპორტო ბრუნვაში დაბანდებული თანხა წლიურად შეადგენდა 60 მილიონ მანეთზე მეტს ოქროთი. იმპერიალისტური ომისა და შემდეგ მენშევიკური პარტიის ბატონობის დროს კი ჩაის არსებული პლანტაციების დიდი ნაწილი გადაშენდა და დაიღუპა.

ბოლშევიკური ლაშქრობა ჩაის კულტურისათვის

ჩაის პლანტაციების გავრცელება და მისი მოვლა საქართველოში შესამჩნევად გაუმჯობესდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე, განსაკუთრებით აღსანიშნავია პლანტაციების ზრდის ტემპები წინა ხუთწლედში. თუ ავიღებთ ჩაის პლანტაციების რიცხობრივ ზრდას 1928 წლიდან, ასეთ სურათს დავინახავთ:

გაშენდა წლების მიხედვით ჰეკ.:

წლები	საბჭ. მეურნეობებ.	კოლმ. სექტორში	სულ
1928	34	17.77	1.811
1927	76	2.895	2.901
1930	2.291	3.260	5.551
1931	2.414	5.234	7.648
1932	2.635	10.056	12.691

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, გაძლიერებული ტემპებით ნამდვილი ბოლშევიკური ლაშქრობა ჩაის კულტურის გაშენებისათვის იწყება 1928 წლიდან. 1932 წელს კი ახალი პლანტაციების გაშენებამ ყველა წინა წლებთან შედარებით მიაღწია სარეკორდო ციფრს—ამ წელს გაშენდა 12.691 ჰექტარი. **1932 წელს მარტო კოლმეურნეობებმა გააშენეს 10.056 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ანუ დაახლოებით 10 ჯერ უფრო მეტი, ვინემ გაშენებული იყო მეფის დროს.**

ჩაის კულტურის განვითარების გაშლილი პროგრამა ა.-კ. და კერძოდ საქართველოს პარტორგანიზაციებს საკ. კ.პ. (ბ) ცკამ მისცა 1931 წლის 31 ოქტომბრის ცნობილი დადგენილებით. ამ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა რა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების გავრცელების მხრივ მოპოვებულ წარმატებებს, აღნიშნა, რომ **„ეს არის მხოლოდ დასაწყისი იმ უზარმაზარ შესაძლებლობათა გამოყენებისა, რომლებიც ჩამარხულია ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის პირობებში იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილ იქნას ძვირფასი ტექნიკური კულტურებით“.**

და დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები თავის მე-9 პარტიულ ყრილობას ხვდებიან უდიდესი მიღწევებით ჩაის კულტურის განვითარებაში რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ.

მტკიცედ ქონდა რა შეგნებული ის მდგომარეობა, რომ „საქართველო წარმოადგენს ერთად-ერთ რაიონს, რომელიც საკ. კ.პ. (ბ) ცეკას **გადაწყვეტილებით მოწოდებულია მეორე ხუთწლედში დააკმაყოფილოს ძირითადად მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაიზე“** (ბერია)—საქართველოს პარტორგანიზაცია აწარმოებდა და აწარმოებს ბოლშევიკურ ბრძოლას ჩაის კულტურის გავრცელებისა და ჩაის მრეწველობის ყველა ტექნოლოგიური პროცესების ეფექტიურად ათვისებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩაის კულტურის განვითარება უმთავრესად და ძირითადად წარმოებს სოციალისტური სექტორის ხაზით. 1928 წელს თუ საბჭოთა მეურნეობების რიცხვი არ აღემატებოდა ორს და მათ განკარგულებაში მყოფი პლანტაციები 719 ჰექტარს, ამჟამად ჩვენ გვაქვს ჩაის 16 დიდი საბჭოთა მეურნეობა. 21.350 ჰექტარი — მიწის საერთო ფართობით და 8.711 ჰექტარი ჩაის პლანტაციით.

რაც შეეხება ჩაის კულტურის განვითარებას კოლმეურნეობებში, აქ მდგომარეობა კიდევ უფრო ეფექტიურია. 1928 წელს ჩაის ფართობი კოლმეურნეობებში შეადგენდა 292 ჰექტარს. 1931 წელს—10.295 ჰექტარს, ხოლო ახლა კოლმეურნეობების განკარგულებაში არსებული ჩაის პლანტაციები აღწევს 20.510 ჰექტარამდე. ამჟამად საქართველოში არსებობს 812 ჩაის კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანებულია 60 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩაის კულტურამ მაგრად მოიკიდა ფეხი დასავლეთ საქართველოს გლეხურ მეურნეობათა ეკონომიკაში. **„ჩაის კულტურა იქცა კოლმეურნეთა არსებობის მთავარ წყაროდ ჩაის რაიონებში და მან საგრძნობლად გააუმჯობესა ღარიბ, საშუალო, გლეხთა მასების კეთილდღეობა“.** (ბერია).

ვეუფლებით ჩაის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს

ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებამ მწვავედ დასვა ჩაის მრეწველობის რეკონსტრუქციისა და გაფართოვების დაჩქარების საკითხი. ომამდე საქართველოში არსებული ჩაის 3 ფაბრიკა გადაკეთდა უახლესი ტექნიკის მოთხოვნილების თანახმად.

გარდა ამისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაარსებული იქნა ჩაის 12 ახალი ფაბრიკა, აქედან **9 ფაბრიკა მოეწყო პირველ ხუთწლედში.**

ჩაის ფაბრიკების მშენებლობა საქართველოში თან დევდა ჩაის ნედლეული რესურსების ზრდის ტემპებს, ეს რესურსები კი ყოველწლიურად იზრდება. ასე მაგალითად, 1928 წელს თუ საქართველოში ჩაის მწვანე ფოთოლი შეგროვილი იყო 1060 ტონას რაოდენობით, 1932 წელს მოიკრიფა 1609 ტონა და 1933 წ. კი 3.164 ტონაზე მეტი.

ჩაის მწვანე ფოთლის შეგროვება ყოველწლიურად მატულობს ახალი პლანტ. ექსპლოატაციაში შესვლასთან დაკავშირებით. ამიტომ ცხადია არსებული ფაბრიკებიც მალე ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სწორედ ამიტომ საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით მიმდინარე წლიდან საქართველოში იწყება ჩაის 10 ახალი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც დამთავრებული უნდა იქნას დამკვრელური ტემპებით.

პირველ ხუთწლედში ჩაის პროდუქტების გამოშვება დაახლოვებით 6 სურათს გვაძლევს:

გამოშვებული იქნა ჩაი:

1929 წელს	285 ათასი კილოგრამი.
1931 წელს	361 ათასი კილოგრამი.
1933 წელს	1.400 ათასი კილოგრამი.

ამგვარად პირველი ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით 1933 წლის ბოლოსათვის ჩაის პროდუქტების გამოშვება დაახლოვებით ექვსჯერ გაიზარდა.

თანდათან უმჯობესდება საქართველოს ჩაის ხარისხი. ჩვენი ჩაის ხარისხის გამოსარკვევად ჩატარებული ექსპერტიზა როგორც „ცენტროსოიუზის“ ლაბორატორიებში, ისე საზღვარგარეთ და აგრეთვე სისტემატიური ტიტესტერული დაკვირვებები მოწმობენ, რომ ჩვენი ჩაის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, როგორც გემოს, ისე ფერისა და არომატის მხრივ.

ჩაის ნედლეულის გადიდების საქმეში უდიდესი გამარჯვება იქნა მოპოვებული უკანასკნელ წლების განმავლობაში. ჩვენ სახეში გვაქვს ჩაის უხეში ფოთლისაგან დაბალი ხარისხის მწვანე აგურის ჩაის დამზადების პრობლემის გადაწყვეტა. 1931 წლამდე ჩაის ბუჩქების გაფორმებისა და შეკრეჭისაგან მიღებულ უხეშ ფოთოლს ჩვენ ვყრიდით უსარგებლოდ. ამ რამოდენიმე წლის წინად კი დაისვა ამ ფოთლისაგან დაბალი ხარისხის ჩაის დამზადების საკითხი და ის გადაიჭრა კიდეც დადებითად. 1933 წელს გარდა ჩაის ძირითადი მოსავლიდან მიღებული ფოთლისა, საქართველოს ჩაის ფაბრიკების მიერ გადამუშავებული იქნა 2.265 ტონა ჩაის უხეში ფოთოლი.

ამის და მთელი რიგი სხვა მიღწევების მოპოვება ჩაის მრეწველობის საქმეში შესაძლებელი გახდა ჩაის წარმოების საფუძვლიანი რეკონსტრუქციის, ფაბრიკების მოწყობილობათა მექანიზმების ადგილობრივ დამზადების და ჩაის რთული ტექნოლოგიური პროცესების ბოლშევიკურად დაუფლების მეოხებით.

შეცდომების ბოლომდე გამოსწორებისა და ჩაის მაღალი მოსავლიანობისათვის

ახლა როდესაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის მე-9 ყრილობისათვის აჯამებს ჩაის კულტურის განვითარების დარგში ჩატარებულ მუშაობის შედეგებს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის შეცდომები და გამრუდებანი, რომელიც შემჩნეული იყო ამ საქმეში.

1932 წლამდე საქართველოში ადგილი ქონდა ჩაის პლანტაციების ფართობის ზრდით გატაცებას და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის უგულებელყოფას. ციფრებისადმი გამოდევნებას კი მოყვა ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილის დაზიანება და ზოგან განადგურებაც.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას მიერ 1932 წლის გაზაფხულზე ჩატარებულ მთლიან გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ 1932 წლამდე გაშენებულ ჩაის პლანტაციების მთელი ფართობიდან შენარჩუნებულია მხოლოდ 61,9 პროცენტი. დანარჩენი კი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს ან სრულიად დაღუპულია.

ჩაის პლანტაციების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას და ზოგან მათი დაღუპვის მიზეზი ბევრი რამ იყო, აქედან მთავარია: ნიადაგის არასწორად შერჩევა და არა სწორად მომზადება, წინასწარ სადრენაჟო—მელიორატიულ ღონისძიებათა გაუტარებლობა, საბჭ. მეურნეობებში პლანტაციების გაშენება წინასწარი პირობების მოუმზადებლად, პლანტაციების მოვლა-დამუშავების ცუდად დაყენება, წანახედების დიდი რაოდენობა, (მთელი პლანტაციების 7 პროცენტი განადგურებულია პირუტყვისაგან) და სხვა.

ცხადია, ყოველივე ამან მეტად ცუდი გავლენა მოახდინა ჩაის მოსავლიანობის გადიდებაზე. თუ შევადარებთ ჩაის მოსავლიანობას, ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში, მივიღებთ ასეთ სურათს.

ჩაის პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე შეადგენს:

საქართველოში	803 კილოგრ. (1933 წ.)
ინდოეთში	2.500 „
ცეილონზე	2.850 „
სუმატრაზე	3.100 „
იავაზე	3.300 „
იაპონიაში.	4.000-დან 6.000 კილოგრამამდე.

ჩაის დაბალი მოსავლიანობა ჩვენში სრულიადაც არ აიხსნება ბუნებრივი კლიმატიური პირობებით. გამოცდილებამ თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ ჩვენში, განსაკუთრებით აჭარისტანსა და გურიაში **არის ყოველგვარი შესაძლებლობა უახლოეს წლებში, ორჯერ და სამჯერ იქნას გადიდებული ჩაის მოსავლიანობა.** ეს დადასტურებულია ფაქტებით. აი მაგალითი: ჩაის საცდელსამეცნიერო ინსტიტუტის ნაკვეთებზე, სოფელ გურიანთის, აცანის (ოზურგეთის რაიონი) და ქობულეთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში წელს ერთ ჰექტარზე საშუალოდ შეაგროვეს 3000 კილოგრამამდე ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ **150 კილოგრამით უფრო მეტი ვიდრე მოყავთ ცეილონზე და 500 კილოგრამით მეტი, ვინემ—ინდოეთში.**

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას და განსაკუთრებით პირადად ამხ. **ლ. ბერიას კონკრეტულ და ოპერატიული** ხელმძღვანელობის მეოხებით უკანასკნელად საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების მოვლა, დამუშავება, დაცვა. გარდა ამისა დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული დაზიანებული პლანტაციების რემონტისა და დაღუპულის აღდგენისათვის. 1932 წლის და 1933 წლის პირველ ნახევარში აღდგენილია სულ 1915 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 5.300 ჰექტარ პლანტაციას.

აღსანიშნავია, რომ 1933 წელს პირველად იქნა გატარებული ჩაის პლანტაციების 4-ჯერ გათოხნა, რამაც დიდი როლი ითამაშა ჩაის პლანტაციების გაუმჯობესების საქმეში. ყოველივე ამან მოგვცა ერთგვარი წინსვლა ჩაის მოსავლიანობის ზრდის მხრივ. 1932 წელს თუ ჩაის პლანტაციის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენდა 701 კილოგრამს, 1933 წელს იგი გაიზარდა 803 კილოგრამამდი (ზრდა 14 პროცენტი). ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ მიღწევად, მაგრამ ფაქტია, რომ გარდატეხა მოსავლიანობის გადიდების დარგში იწყება და იგი ყოველმხრივ უნდა დაჩქარდეს.

სადღეისო საბრძოლო ამოცანები

ჩაის კულტურის განვითარების ძირითადი და უმთავრესი ამოცანის—მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად აუცილებელია პირველ რიგში პლანტაციების **განოყიერების გაძლიერება ისეთი მინერალური** სასუქებით, როგორიცაა სულფატ-ამონიუმი, სუპერფოსფატი და კალიუმის მარილი. მეორე ხუთწლედის განმავლობაში მარტო სულფატ-ამონიუმის შეზიდვა ჩაის პლანტაციებში უნდა გაიზარდოს 6.198 ტონიდან (1934 წელი) 27.560 ტონამდე (1937 წლისათვის), დაახლოვებით სამჯერ გაიზრდება აგრეთვე სუპერფოსფატის შეტანა.

მეორე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უნდა თავიდან ავიცდინოთ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების საქმეში ყველა ის დეფექტები და შეცდომები, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაშენდეს ჩაის პლანტაციები იმ ნაკვეთებზე, სადაც წინასწარ გატარებული არ იქნება სათანადო ჰიდრო და სატყეო მელიორატიული ღონისძიებანი, ნიადაგი არ იქნება სათანადოდ მომზადებული და გაწმენდილი როგორც ჯირკვების, ისე სარეველა ბალახებისაგან.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებას ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციები უნდა შეუდგნენ საჩქაროდ ისეთი ანგარიშით, რომ მთლიანად შესაძლებელი იქნეს 1934 წელს ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად გეგმით გათვალისწინებული 295 ჰექტარის ათვისება საბჭოთა მეურნეობებში და 1.000 ჰექტარამდე კოლმეურნეობებში.

განსაკუთრებული სიმწვავით დგას **ჩაის საბჭოთა მეურნეობების გამაგრებისა და განმტკიცების ამოცანა.** უკვე შეუძლებელია ისეთი უთავბოლობისა და არევ-დარევის მოთმენა რომელსაც ადგილი აქვს ჩაის ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობებში. პირველ რიგში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ **მუდმივ მუშათა კადრების დამაგრებასა და შენარჩუნებას ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. ამის გარეშე შეუძლებელია იქ შრომის დისციპლინის განმტკიცება, ანგარიშიანობის დანერგვა, მოსავლიანობის გადიდება და საერთოდ, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.**

მუშათა მუდმივი კადრების შენარჩუნების მიზნით ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საბინაო მშენებლობას და მუშების საყოფაცხოვრებო კულტურული პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას. საქმე დაყენებულ უნდა იქნას ისე, რომ საბჭოთა მეურნეობის თვითეულ მუშას ქონდეს პატარა ბახჩა-ბოსტანი, შესაძლებლობა მოაშენოს შინაური ფრინველი და სხვ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მუშათა მუდმივი კადრების განმტკიცებისა და იმ დენადობის მოსპობაზე, რომელსაც ჯერ-ჯერობით კიდევ აქვს ადგილი.

ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად რჩება ჩაის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების საკითხი. ჩვენ გვაქვს ყველა საშუალება ავწიოთ ჩაის მზა პროდუქტის ხარისხი. ამავე დროს არის მაგალითები, როდესაც ჩაის მთელი რიგი ფაბრიკები, მაგალითად, სამეგრელოში და გურიაში სისტემატიურად ვერ ასრულებენ ხარისხობრივი ჩაის გამოშვების დავალებებს. ჩაის ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს ამ მიმართულებით მეცნიერულ კვლევა-ძიებითი მუშაობის გაღრმავებას, ტიტესტერთა (ჩაის გამსინჯველები) კადრების გაძლიერებას, ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგიური პროცესების დაუფლებას და წუნთან ბრძოლაში ჩაის ფაბრიკების მუშებისა და სპეციალისტების აქტიურად ჩაბმას.

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ ჩაის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში

დიდი გარდატეხა მოხდა უკანასკნელად ჩაის კულტურის განვითარებასა და ჩაის მრეწველობის გაფართოებაში. ეს არის შედეგი ამხ. სტალინის იმ პირდაპირი მითითებების ბოლშევიკურად განხორციელებისა, რომელიც ჩაის გავრცელებას შეეხებოდა. ჩაის რაიონებში შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა სამანქანო სატრაქტორო სადგურების სახით. ჩაის თითქმის ყველა რაიონში მოწყობილია სამანქანო-სატრაქტორო სადგური.

პარტიამ საქმით დაარწმუნა კოლმეურნეთა მასები ჩაის კულტურის უდიდეს უპირატესობაში ნაკლებად რენტაბელურ მარცვლეულ კულტურებთან შედარებით. რადიკალურად გაუმჯობესდა მეჩაიეთა მომარაგება როგორც პურით, ისე სამრეწველო საქონლით. ჩაის პლანტაციების შემოსავლიანობის სისტემატიურად ზრდამ შეძლებულ ცხოვრების გზაზე დააყენა კოლმეურნეთა მასები, უკანასკნელად ჩაის ნედლი ფოთლის ფასების და მეჩაიეთა დაკრედიტების ნორმების გადიდებამ უდიდესი იმპულსი მისცა ჩაის კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხებს ჩაის პლანტაციების მოვლა-გაუმჯობესების მხრივ.

ჩაის რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან პოლიტგანყოფილებების მოწყობამ მეტად დიდი როლი ითამაშა ჩაის კოლმეურნეობათა განმტკიცების, კოლმეურნეობების უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის, საწარმოო გეგმების დროულად შესრულების და ყველა სახელმწიფოებრივი დავალებების ვადაზე განაღდების საქმეში.

ამჟამად პოლიტგანყოფილებების უშუალო ხელმძღვანელობით გაჩაღებულია გადამჭრელი ბრძოლა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების, პლანტაციების კულტურულად ათვისების და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

დაგროვდა დიდი გამოცდილება ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ახლა ჩვენ საკმაო საშუალებები მოგვეპოვება იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტიანობით ავითვისოთ არსებული პლანტაციები და მტკიცე გეგმის მიხედვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ცალკე რაიონულ შესაძლებლობას—ვაწარმოოთ მუშაობა ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი დამშვიდებას მივეცეთ და ოდნავ შევანელოთ ჩაისათვის ბრძოლის ტემპები. პირიქით ახლა დაიწყო ჩაის კულტურისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოები. ეს გვავალებს დავრაზმოთ მთელი ძალები, მოვახდინოთ საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშების და კოლმეურნეთა მასების ენერგიული მობილიზაცია, გავაჩაღოთ გადამჭრელი ბრძოლა კულაკური ელემენტებისა და კონტრ-რევოლუციონური მენშევიზმის ნაშთების გასანადგურებლად, აღვკვეთოთ მემარჯვენე ოპორტუნიზმი პრაქტიკასა და თეორიაში და ამხ. სტალინის მითითებების განხორციელებით გავშალოთ დამკვრელური მუშაობა ჩაის დარგში ს.კ.პ. (ბ) ცეკას დავალებების ბოლომდე განსახორციელებლად.

მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტების კაპიტულიანტური წუწუნისა, მიუხედავად კულაკური ელემენტებისა და კონტრ-რევოლუციონური მენშევიზმის ნამსხვრევების წინააღმდეგობისა და საბოტაჟისა, მიუხედავად საჭირო საწარმოო გამოცდილების უქონლობისა და მთელი რიგი სხვა დაბრკოლებებისა საქართველოს პარტორგანიზაციამ ბრწყინვალეთ შეასრულა ჩაის კულტურის განვითარების და მრეწველობის გაფართოების პირველი ხუთწლიანი გეგმა. განიავდა და მტვრათ იქცა ჩვენი კლასობრივი მტრების „წინასწარმეტყველება“ ჩაის ხუთწლიანი გეგმის ჩაშლის შესახებ.

ჩვენ ამჟამად უკვე გვაქვს ჩაის საუკეთესო პლანტაციები 33.325 ჰექტარზე, გვაქვს ათობით ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ასობით კოლმეურნეობა; გვაქვს ჩაის რაიონებში პირველ-ხარისხოვანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საუკეთესო ბოლშევიკებისაგან შემდგარი პოლიტგანყოფილებებით და მძლავრი მექანიკური წევის ენერგეტიული ბაზით; გვაქვს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ჩაის ფაბრიკები, მეცნიერული საკვლევაძიებო დაწესებულებანი და გვყავს სათანადო კვალიფიციური კადრებიც.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს ბოლშევიკური მონდომება და გადაწყვეტილება ვიმუშაოთ გმირული ენერგიით, ჩაის კულტურისა და მრეწველობის შემდგომი გაფართოება-ამაღლებისათვის.

ყოველივე ეს სავსებით უზრუნველყოფს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას მიერ საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებისათვის მიცემულ დავალების მთლიანად განაღდებას, დავალების, რომელიც გულისხმობს მეორე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების ძირითადათ დაკმაყოფილებას საკუთარი ჩაით.

აქ. ჭოჭუა.

XVII პარტყრილობის სახელობის
წითელი დაფა

„საქართველოს ჩაის“ და საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის წარდგენით მე-17 პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზე შეგვაქვს:

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა

საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა ჩაის მწვანე ფოთოლი 200.557 კილოგრამი, გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 103,2 პროც., უხეში ფოთოლი 178.122 კილოგრამი (გეგმის 102 პროც.), დაბალ ხარისხოვანი ჩაი 28.063 კილოგრამი 100,2 პრ., ლაო-ჩაი—31.190 კილოგრამი (100,6 პროც.); აღადგინა ახალი პლანტაცია 4,1 ჰექტარზე, (გეგმის 100 პროც.), კაპიტალური რემონტი ჩაატარა 18,4 ჰექტარზე,(გეგმის 100 პროც.), მიმდინარე რემონტი — 43,37 ჰექტ., (გეგმის 100 პროც.), სადრენაჟო თხრილი შეაკეთა 176,8 ჰექტ. (გეგმის 186,1 პროც.).

მანდარინა მოკრიფა 3.450 ათასი ცალი, გეგმის 132,6 პროც., მანდარინის პლანტაციის ნიადაგის დამუშავების გეგმა შეასრულა 100 პროც.-ით, მანდარინის ნერგის შეხვევა - შეფუთვა ჩაატარა 100 პროც.-ით.

მეურნეობამ სუბტროპიკულ კულტურათა სანერგე გააშენა და დათესა 10,9 ჰექტ., გეგმის 116 პროც., ტუნგის ხის პლანტაცია გააშენა 35 ჰექტ., გეგმის 116,7 პროც., ბოსტნეულისათვის ნიადაგი მოამზადა 11,18 ჰექტ., გეგმის 108,5 პროც.

საბჭოთა მეურნეობამ საქართველოს მე-9 პარტყრილობასთან დაკავშირებით აიღო ვალდებულება — ბოლშევიკურად იბრძოლოს 1934 წლის ჩაის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისა და სახელმწიფო ყველა დავალებათა ვადაზე შესრულებისათვის.

პარტიული კომიტეტის მდივანია ამხ. **ივ. ფხეიძე**; მეურნეობის დირექტორია ამხ. **პროკოპი მეგრელიშვილი**; დირექტორის მოადგილეა საწარმოო დარგში დამკვრელი აგრონომი **არჩილ ასათიანი.**

სურათზე—ჩაქვი

მარცხნიდან-მარჯვნივ: 1. დაკვირვება ჩაის ბუჩქის განვითარებაზე, 2. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, 3. ჩაის ფოთლის ჩაყრა როლერში 4. ცენტრალური საცდელი ლაბარატორია, სადაც აწარმოებენ დამზადებული ჩაის ხარისხის გამორკვევას და შეფასებას.



ამხ. ტროიანოვსკის დარბაზობა თეთრ სახლში

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. ტროიანოვსკიმ წარუდგინა პრეზიდენტს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრები; დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ თეთრმა სახლმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი უმაგალითო სისწრაფით მიიღო. ჩვეულებრივ ახალ ჩამოსულ ელჩს თეთრი სახლი ღებულობს მხოლოდ 10—14 დღის გასვლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიმართ სახელმწიფო დეპარტამენტმა და თეთრმა სახლმა მისი ჩამოსვლის უკვე მეორე დღესვე დაამთავრა მთელი საჭირო ცერემონიალი. ამასთან, უმაგალითო სისწრაფის მიუხედავად, სახელმწიფო დეპარტამენტმა და თეთრმა სახლმა მთლიანად ჩაატარა ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი პროგრამის ყველა პუნქტი, 8 იანვარს, დილით, სახელმწიფო მდივნის მოადგილეობის აღმასრულებელმა ფილიპსმა მიიღო ამხ. ტროიანოვსკი. ამის შემდეგ ამხ. ტროიანოვსკი საელჩო ნაწილის წარმომადგენლების თანხლებით პრეზიდენტის ავტომობილით მიიყვანეს თეთრ სახლში, სადაც მიღების ცერემონიალი ჩატარდა პრეზიდენტის სამხედრო და საზღვაო ადიუტანტების თანადასწრებით.

გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ დაწვრილებით ანგარიშებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩამოსვლის და იმ შეხვედრის შესახებ, რომელიც მას მოუწყვეს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში. ანგარიშებთან ერთად მოთავსებულია მრავალი ფოტოგრაფიული სურათი. გაზეთების ტონი უაღრესად მეგობრულია. (ადს)

შეერთ. შტატები, საბჭოთა კავშირი და მშვიდობიანობის პრობლემა

შანხაი, 5 იანვარი. ამერიკული ჟურნალი „ჩაინა უიკლი რევიუ" წერილში სათაურით „რუზველტი, სტალინი, მოლოტოვი და ლიტვინოვი იხილავენ საერთაშორისო მშვიდობიანობის საფრთხის საკითხს" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის და ამერიკის ხელმძღვანელები ერთსულოვნად ცდილობენ თავიდან აიცილონ ომის საფრთხე, რომელიც თანდათან იზრდება. ჟურნალი აღნიშნავს, რომ როგორც რუზველტი, ისე ლიტვინოვი, კეთილგანწყობილებით ეკიდებიან ერთა ლიგის ცდას შეაკავოს ომის გაჩაღება. თუმცა, ამბობს ჟურნალი, — არც ერთ მათგანს არ განუცხადებია, რომ მათ ქვეყანას განზრახვა აქვს შევიდეს ერთა ლიგაში. მათ აღნიშნეს, რომ მზად არიან ითანამშრომლონ ერთა ლიგასთან მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში. ვრცლად მოყავს რა ციტატები რუზველტის, მოლოტოვის და ლიტვინოვის სიტყვებიდან, აგრეთვე ამხ. სტალინის ინტერვიუდან, ჟურნალი მიუთითებს, რომ ოთხი ხელმძღვანელის თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ერთმანეთს საყოველთაო მშვიდობიანობის და განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დაცვის საკითხზე (ადს).

გენერლების ომი ჩინეთში

ნანკინის ჯარის შეტევა ფუძიანის პროვინციაში

შანხაი 8 იანვარი. იუწყებიან, რომ ნანკინის ჯარმა დაიკავა გუტიანი. ფუძიანის დამარცხებული ჯარი ნაწილობრივ უკან იხევს, ხოლო ნაწილობრივ გადადის ნანკინის მხარეზე. ფუძიანის რამდენიმე გენერალი თითქოს გადავიდა ნანკინის მხარეზე. მე-19 არმიის ნაწილები, რომლებიც დარჩნენ ჩეძიანის პროვინციის სამხრეთ რაიონებში, მიიწევენ სანაპირო ზოლის გასწვრივ ვენჩოუსაკენ და, ნანკინის ცნობების თანახმად, მათ კავშირი გაუწყდათ ფუძიანის ჯარების მთავარ ძალებთან (ადს).

ლონდონი, 8 იანვარი. რეიტერის ნანკინელი კორესპონდენტის გადმოცემით, ნანკინის ჯარი უახლოვდება ფუჩოუს და იგი ამ პუნქტიდან უკვე 30 მილის მანძილზე იმყოფება. ამავე დროს ნანკინის საკანონერო ნავები ძალიან ახლო მივიდნენ ფუჩოუსთან ზღვიდან (ადს).

ჩინეთის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია მანჯურიის მონარქიის მომავალ რესტავრაციასთან დაკავშირებით

შანხაი, 7 იანვარი. ცნობები მანჯურიის მონარქიის მომავალი რესტავრაციის შესახებ დიდ შეშფოთებას იწვევენ ჩინეთის საზოგადოებრიობაში. „ჩაინა პრესი" ამას აკავშირებს შიდა მონღოლეთში ეგრეთწოდებულ ავტონომიურ მოძრაობასთან, რომელიც დაიწყო ამ რამდენიმე თვის წინათ და რომლის ზურგს უკან დგანან იაპონიის აგენტები.

„მანჯუგოს საზღვრების გაფართოება, — წერს გაზეთი, — და მონღოლეთის მოქცევა მის ფარგლებში — აი იაპონიის ამ ნაბიჯის მიზანი".

ანალიზს უკეთებს რა ტოკიოდან და მანჯურიიდან მიღებულ ცნობებს, გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ იაპონელი იმპერიალისტების გეგმები მდგომარეობენ იმაში, რომ „ლამებთან [illegible] დახმარებით და მათი რელიგიური გავლენის გამოყენებით აღადგინონ მონღოლეთის პრინცები იმ უფლებებსა და პრივილეგიებში, რომლებითაც სარგებლობდნენ ისინი მანჯურიის იმპერიის არსებობის დროს" (ადს).

საფრანგეთის პოლიცია იფარავს აფერისტებს

აფერისტ სტავისკის საქმე სასკანდალო ხასიათს ღებულობს

პარიზი, 8 იანვარი. პრესის გადმოცემით, სამინისტროს კრიზისის საფრთხე, სტავისკის აფიორასთან დაკავშირებით, სრულიადაც არ შემცირებულა. მიუხედავად გუშინ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობისა, რომ შოტანს არ მოუთხოვია დალიმიეს გადადგომა, „ეკო დე პარი" იუწყება, რომ გუშინ შოტანი განაგრძობდა მოლაპარაკებას დალიმიესთან და მოითხოვდა მის გადადგომას. დალიმიეს არ მიუცია საბოლოო პასუხი.

„პტი პარიზიენის" გადმოცემით, მოსალოდნელია ან მთელი კაბინეტის გადადგომა ან საგრძნობი ცვლილებები მის შემადგენლობაში. გაზეთი იუწყება, რომ სწარმოებდა მოლაპარაკება ერიოსთან შოტანის კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის მიღების შესახებ.

სტავისკის საქმე სულ უფრო და უფრო სასკანდალო ხასიათს ღებულობს. ბაიონაში დაკითხვის შემდეგ დააპატიმრეს დეპუტატი, ბაიონას მერი გარა. მას ბრალი ედება თაღლითობასა და სიყალბეში. გამომძიებელმა დაკითხა „ვოლონტეს" რედაქტორი დიუბარი. თანდათანობით ირკვევა, რომ პოლიცია ამა თუ იმ სახით ხელს უწყობდა სტავისკის.

„პოპიულერის" გადმოცემით, პოლიციის პრეფექტი კიაპი, რომელიც სასწრაფოდ იქნა გამოწვეული ფლორენციიდან, სადაც იგი ისვენებდა, დაუყოვნებლივ მიიღო შოტანმა. გაზეთი წერს, რომ კიაპის გადადგომა აუცილებელია. კომფრაქციას, რომელიც აღნიშნავს, რომ კიაპი პირადად იცნობდა სტავისკის და ღებულობდა მისგან ფულს პოლიციის თანამშრომლებისათვის, შეაქვს შეკითხვა დეპუტატთა პალატაში სტავისკის აფიორის შესახებ (ადს).

საგანგაშო ცნობები დიმიტროვის და მისი ამხანაგების ბედის შესახებ

ლონდონი, 8 იანვარი. „დეილი ჰერალდი" წერს:

„საიდუმლოება, რომლითაც მოცულია გერმანიის მთავრობის ზრახვები დიმიტროვის, ტორგლერის, პოპოვის და ტანევის მიმართ, სულ უფრო და უფრო იფარება ბურუსით. დაპატიმრებულთა ნათესავებს უარი უთხრეს მათთვის პროდუქტების გადაცემაზე. აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ დაპატიმრებულები გაგზავნილი იქნებიან საზღვარგარეთ, რათა დატოვონ გერმანიის საზღვრები. მაგრამ ეს მოსაზრება არ გამართლდა.

„დეილი ჰერალდი" აცხადებს:

„მსოფლიოს ყველა დედაქალაქში ახლა შეშფოთებული არიან დაპატიმრებულთა ბედის გამო". გამართლების განაჩენის გამოტანის შემდეგ გერმანიის ხელისუფლება აცხადებდა, რომ იგი მზად არის მისცეს გამართლებულ კომუნისტებს იმ ქვეყნებში გამგზავრების საშუალება, რომლებიც მათ მისცემენ სათანადო ნებართვას. ნებართვა ერთსადაიმავე დროს მიღებულ იქნა რამდენიმე ქვეყნიდან, მაგრამ დაპატიმრებულები არ გაათავისუფლეს. „დეილი ჰერალდი" დაასკვნის:

„საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ლაპარაკი წარმოადგენდა მხოლოდ მანევრს, რათა დაემალათ ის, რომ სინამდვილეში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის შიგნით სწარმოებს სერიოზული ბრძოლა დაპატიმრებულთა შემდგომი ბედის შესახებ. ერთი მხრით გენერალი გერინგი — ერთერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ადამიანი გერმანიაში — ცდილობს უდანაშაულო ადამიანების სიკვდილით დასჯას, მეორე მხრით გერინგის წინააღმდეგ დგას უფრო ფრთხილი გებელსი — პროპაგანდის მინისტრი, რომელსაც ეშინია იმის, რომ გამართლებული კომუნისტების სიკვდილით დასჯა ზიანს მიაყენებს გერმანიის რეპუტაციას საზღვარგარეთ" (ადს).

* *

მასწავლებელთა კავშირის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ესალმება დაპატიმრებულ კომუნისტებს და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. (ადს).

საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები

„სპექტეიტორი" ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 8 იანვარი. კონსერვატიული ყოველკვირეული ორგანო „სპექტეიტორი" კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ლიტვინოვმა თავის სიტყვაში გამოსთქვა ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკების მალე დამთავრების იმედი. „სპექტეიტორი" აღნიშნავს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე იქნას მიღწეული შეთანხმება (ადს).

„ენტრანსიჟანი" პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 8 იანვარი. „ენტრანსიჟანის" კორესპონდენტი წერს, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოებამ მტკიცე ფესვები გაიდგა და თავს იჩენს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ და სავაჭრო ურთიერთობაშიაც პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. კორესპონდენტი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებას უპირისპირებს პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის მერყეობას და აცხადებს, რომ, გერმანია-პოლონეთს შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული შეთანხმების მიუხედავად, „პოლონელებმა იციან, რომ გერმანიასთან არ შეიძლება არავითარი პაქტის დადება, თუ არა მათი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე" (ადს).

ავსტრიის ფაშიზაცია ავსტრიელი მარქსისტების დახმარებით

ვენა, 8 იანვარი. დოლფუსის მთავრობა საბოლოოდ ახდენს ავსტრიის ფაშიზაციას „იტალიის ნიმუშის მიხედვით". კონსტიტუცია გარდაქმნილ იქნება „წოდებრივ-კორპორატიულ საფუძვლებზე". ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ ოტტო ბაუერის სახით მოახდინა კაპიტულაცია მთავრობის წინაშე. ბაუერი წერილში, რომელიც წარმოადგენს მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიის ფაშიზაციის „იდეოლოგიურ" პლატფორმას, აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატები მზად არიან ხელი შეუწყონ „წოდებრივ-კორპორატიული სახელმწიფოს" შექმნას, თუ მთავრობა საშუალებას მისცემს რეფორმისტულ პროფკავშირებს მიიღონ მონაწილეობა წოდებრივ კორპორაციებში, რომლებმაც მთავრობის გეგმის მიხედვით, უნდა „აღმოფხვრან კლასობრივი ბრძოლა". მიუხედავად ამისა, მთავრობამ, რომელიც ანგარიშს არ უწევს სოციალ-ფაშისტებს, გააუქმა მუშათა პალატების ავტონომია. პალატების გამგეობებში რეფორმისტულ პროფკავშირებს უმრავლესობა ჰყავდათ. ამიერიდან გამგეობებს დანიშნავს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი და გამგეობების უმრავლესობა ეკუთვნება კათოლიკურ და „დამოუკიდებელ" პროფკავშირებს, რომლებიც შექმნილია მეწარმეების მიერ და რომლებსაც ისინი ინახავენ (ადს).

იაპონია ემზადება „საგანგებო დღეებისათვის"

შანხაი, 8 იანვარი. იაპონიის მილიტარისტები ეწევიან [illegible] რისტები ეწევიან კამპანიას შეიარაღების გადიდებისათვის ლოზუნგით „ვემზადოთ 1935 წლის კრიზისისათვის" (წელიწადი, როცა საბოლოოდ იქნება გაფორმებული იაპონიის გამოსვლა ერთა ლიგიდან და ამავე დროს ვადა გაუვა ლონდონის და ვაშინგტონის შეთანხმებებს). იაპონიის „საგარეო პოლიტიკის საკითხების საზოგადოების" თავმჯდომარე ინდრა „ეკონომისტში" წერს:

„ზოგიერთ სახელმწიფოს ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს განზრახული ხელიდან გამოგლიჯოს მანჯუგო იაპონიას და ამისთვის ფიქრობს ვაშინგტონის მეორე კონფერენციის მოწვევას".

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ცუცუი პარალელს ავლებს ვაშინგტონის კონფერენციასა და 1935 წლის საზღვაო კონფერენციას შორის: „კონფერენცია განხეთქილებით დამთავრდება, — წერს იგი, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ".

ადმირალი სუეცუგუ „ხინოდეს" დეკემბრის ნომერში წერს:

„როდ. ამერიკის შეერთ. შტატები შეუდგა 10 ათას ტონიანი კრეისერების აგებას. იაპონიაც ანხორციელებს „შევსების" პირველ და მეორე „პროგრამას". არ ჩამორჩება ბრიტანეთიც. თუ შეუძლებელია მშვიდობიანობის შენარჩუნება, ჩვენ საკმაო იარაღი უნდა გვქონდეს იმისათვის, რომ დავიცვათ თავი. ნაცია, რომელიც დაკმაყოფილდება თავზე მოხვეული ნორმებით, იქნებოდა სიმხდალის და მონური მორჩილების ნიმუში. უჩიდამ მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადა, რომ ჩვენ დავიცავთ მანჯურიას. თუნდაც იმის საფრთხე მოგველოდეს, რომ ნაცარტუტად ვაქცევთ მთელ იმპერიას. ჩვენ არასოდეს არ შევჩერდებით იმის წინაშე, რომ გამოვიდეთ მთელი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ" (ადს).

ჩამოყალიბდა საქართველოს მიწსახკომის პოლიტსექტორი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებით უკვე ჩამოყალიბდა და შეუდგა მუშაობას საქართველოს მიწსახკომის პოლიტსექტორი, რომელსაც დავალებული აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოში არსებულ ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს.

პოლიტსექტორის უფროსად დამტკიცებულია ამხ. ვ. მ. ბაქრაძე.

ამხ. ვ. ბაქრაძის ბიოგრაფია

ამხ. ვ. ბაქრაძე დაიბადა 1901 წელს ონის რაიონის (ყოფ. რაჭის მაზრა) სოფ. სევაში. მამა 25 წლის განმავლობაში მუშაობდა ჭიათურის მაღაროებში. ამხ. ბაქრაძე რვა წლის იყო, როდესაც ის შევიდა სოფლის პირველი საფეხურის სკოლაში, სადაც სწავლობდა 3 წელიწადს. სკოლის დამთავრების შემდეგ ის იძულებული გახდა წასულიყო გარესამუშაოებზე, ვინაიდან მშობლებს არ ჰქონდათ სახსარი მისი სწავლის განსაგრძობად.

1912 წელს ის გაემგზავრა ტფილისში სამუშაოდ შეგირდად სადურგლო ქარხანაში, ამ დარგში როგორც დურგალი მუშაობდა 9 წლის განმავლობაში.

1921 წლის თებერვალში ამხ. ბაქრაძე მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში, ქართულ ცხენოსან ლეგიონში და იქ მსახურობდა 4 თვეს, რის შემდეგ დაინიშნა ესკადრონის მამასახლისად. ამ თანამდებობაზე დარჩა 1923 წლამდე, როცა მოხდა მისი დემობილიზაცია (1923 წლის 4 თებერვალს).

წითელ არმიაში ყოფნის დროს მონაწილეობას იღებდა ჩოლოყაშვილის და სხვა მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1921 წლის ივნისში ის თანასოფლელთაგან პირველი შევიდა საქ. კ.პ. (ბ) რიგებში.

დემობილიზაციის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ბაქრაძე გაგზავნა დუშეთის ყოფილ მაზრაში მუხრანის რაიონული მილიციის უფროსად სპეციალური დავალებით მოეხდინა კახიაშვილის პოლიტიკური ბანდის ლიკვიდაცია. ბანდის ლიკვიდაცია გათავდა 1924 წლის დამდეგს და საქართველოს კ.პ. (ბ) სამაზრო კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხ. ბაქრაძე გადაიყვანეს პარტსამუშაოზე მუხრანის რაიკომის მდივნად. ამ თანამდებობაზე ის მუშაობდა 1924 წლის ოქტომბრამდე, რის შემდეგ გაიგზავნა მოსკოვში სამაზრო პარტმუშაკთა კურსებზე.

1924 წელს ის ხელმძღვანელობას უწევდა მუხრანის რაიონულ სამეულს გამოყოფილს მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაციისათვის და პირდაპირ იღებდა მონაწილეობას ბრძოლებში. სამაზრო პარტმუშაკთა კურსებზე ამხ. ბაქრაძე სწავლობდა 8 თვეს. 1925 წელს დაბრუნდა საქართველოში და ცენტრალურმა კომიტეტმა ის გაგზავნა ბაზალეთის (ყოფ. დუშეთის მაზრა) რაიკომის მდივნად. სამი თვის მუშაობის შემდეგ ის დანიშნეს სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. ხოლო 5 თვის შემდეგ 1926 წლის დამდეგს საქართველოს კ.პ. (ბ) დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად.

1928 წელს (ივლისში) დუშეთის მაზრა შეუერთდა ტფილისის ოლქს. ამასთან დაკავშირებით ის გადმოიყვანეს საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად სოფლად მუშაობის დარგში. ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა 1929 წლის აგვისტომდე როცა დაინიშნა საქართველოს კ.პ. (ბ) [illegible] საოლქო კომიტეტის მდივნად. აქ მან დაყო 1930 წლამდე. შემდეგ ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაიგზავნა სასწავლებლად მოსკოვში ლენინიზმის კურსებზე. იქ დარჩა ერთ წელიწადს, რის შემდეგ საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სწავლის განსაგრძობად გადაიყვანა ინდუსტრიულ-პარტიულ ინსტიტუტში პარტმშენებლობის განყოფილებაზე. აქ სწავლის განგრძობა აღარ მოუხდა რადგან ორი თვის შემდეგ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოგზავნილი იქნა სამუშაოდ ამიერ-კავკასიაში.

ჩამოსვლის შემდეგ საქ. კ.პ. (ბ) ა. კ. სამხ. კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხ. ბაქრაძე დაინიშნა საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ-ის აგიტმასგანყოფილების გამგედ და ამ თანამდებობაზე მუშაობდა დღემდე.

ამხ. ვ. ბაქრაძე 1926 წლიდან არის საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და ამჟამად არის ც.კ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატი.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ჩამორჩენა სარემონტო კამპანიაში

(საქ. ტრაქტორცენტრის ცნობების მიხედვით)

5 იანვრისათვის შეკეთებული იყო სულ 192 ტრაქტორი, გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 31,8 პროც. აქედან კაპიტალური რემონტი გაიარა 57 ტრაქტორმა (გეგმის 24,8 პრ.), საშუალო რემონტი — 90 ტრაქტორმა, გეგმის 40,9 პრ., ხოლო მიმდინარე — 43 ტრაქტორმა, გეგმის 29,1 პროც.

ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულება (პროცენტებში) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

ახალქალაქის სამ. სატრ. სადგურს შესრულებული აქვს გეგმის 68,2 პრ.

აგარის	40,6
გორის	42.9
კასპის	5.5
ბორჩალოს	8.8
ყარაიას	16,7
საგარეჯოს	9 1
გურჯაანის	49 3
წნორის	86 7
ლაგოდეხის	20
ყვარლის	80
თელავის	56.2
ზესტაფონის	53.8
ქუთაისის	19
ხონის	100
აბაშის	15.1
სამტრედიის	26.3
მარტვილის	50
სენაკის	36.8
ხობის	33.8
ზუგდიდის	9.1
წალენჯიხის	83.3
ლანჩხუთის	44
ოზურგეთის	88.2
გალის	40.9
ოჩემჩირის	17,1

ბათუმის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორების რემონტის დაწყების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ არ აქვს გამოგზავნილი.

როგორც მოყვანილი ცნობები გვიჩვენებს ტრაქტორების რემონტი ძალიან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით 1 იანვრისათვის შეკეთებული უნდა ყოფილიყო სულ მთლიანი რაოდენობის არა ნაკლებ 40 პროცენტისა. ფაქტიურად კი 5 იანვრისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ 31,8 პროც.

ტრაქტორების შეკეთებიდან გამოშვება ყველაზე უფრო ჩამორჩენილია ბორჩალოს სამ.-სატრ. სადგურში.

ჩვენი გაზეთის 5 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ბორჩალოს სამ.-სატრ. სადგურის შემკეთებელ სახელოსნოში ფერხდება 12 ტრაქტორის რემონტიდან გამოშვება იმის გამო, რომ ტრაქტორცენტრის შემკეთებელი სახელოსნო არ უგზავნის მას შესაკეთებლად გაგზავნილ მოტორებს და სხვა სათადარიგო ნაწილებს. ტრაქტორცენტრის შემკეთებელმა სახელოსნომ გადაჭრით უნდა მოუღოს ბოლო სარემონტო დაკვეთების შესრულების ასეთ გაჭიანურებას.

ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელობამ მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს და იბრძოლოს იმისთვის, რომ მათი დაკვეთები ტრაქტორცენტრის სახელოსნომ ვადაზე შეასრულოს. სადგურის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს სარემონტო გეგმის ვადაზე შესრულება.

ტრაქტორების რემონტი სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი; აგრეთვე კასპის (შესრულებულია გეგმის მხოლოდ 5,5 პროც.), საგარეჯოს (9.1 პროც.), ზუგდიდის (9.1 პროც.), აბაშის (15,1 პროც.), ყარაიას (16.7 პროც.), ოჩემჩირის (17,1 პროც.), ქუთაისის (19 პროც.), სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, რომლებიც კუს ნაბიჯით აწარმოებენ რემონტს.

ამის მოთმენა მეტი აღარ შეიძლება. ჩამორჩენილმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უახლოეს დღეებშივე უნდა მოახდინონ საფუძვლიანი გარდატეხა ტრაქტორების რემონტში, მათ უნდა მიბაძონ **ხონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს, რომელმაც 1 იანვრისათვის დაამთავრა ტრაქტორების რემონტი და ენერგიულად იბრძვის საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.**

ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა, საკავშირო კომპარტიის მე-17 ყრილობისათვის ძირითადად უნდა დაამთავრონ ტრაქტორების შეკეთება.

ნ. ტყემალაძე.

ავტო-მანქანას მაღალხარისხოვანი რემონტი

დიდუბის, ნაძალადევის და ღრმაღელის სივრცეზე შენდება ახალი გიგანტი — ავტომობილების შემკეთებელი ქარხანა.

პირველ ხუთწლედში შექმნილი საავტომობილო ქარხნები — ამხ. სტალინის სახელობისა მოსკოვში, ამხ. მოლოტოვის სახელობისა ქ. გორკში, მძიმე ტვირთმზიდავი ავტომობილების ქარხანა იაროსლავლში, ყოველდღიურად უშვებს 200 მანქანას.

სოციალისტურ ქალაქებსა და სოფლებში ყოველდღიურად მატულობს ავტომობილების რიცხვი. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მარტო 1933 წელს მიღებულია საბჭოთა ქარხნებში გაკეთებული 586 ავტომობილი.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ავტომობილების რიცხვი ერთეულებით განისაზღვრებოდა, დღეს ჩვენ ქალაქებში საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ავტომობილების რიცხვი ათასებს აღწევს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ავტომობილების ასეთი გაზრდილი პარკი დიდ მოთხოვნილებას აყენებს ჩვენს წინაშე მოვლა-პატრონობის მხრივ. ავტომობილის ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს სარემონტო საქმის მოწესრიგებას. ამ დარგში არსებული მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. სარემონტო საქმის მოუწესრიგებლობის გამო ხშირად მანქანა თვეობით დგას უმოქმედოდ.

დღეს საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი საწარმო, სადაც ავტომობილების შეკეთება სათანადო დონეზე იყოს დაყენებული. ტფილისში არსებული ავტომანქანების სარემონტო სახელოსნო თავისი ტექნიკური შეიარაღებით და შესაძლებლობით ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას. ეს სახელოსნო ეკუთვნის „სოიუზტრანსს" და მხოლოდ ამ ორგანიზაციის საავტომობილო პარკს ემსახურება. კაპიტალური რემონტი აქ ხშირად ნახევარ წელს გრძელდება და რემონტის ხარისხიც ცუდია.

მით უმეტეს არ არის დამაკმაყოფილებელი რემონტის ხარისხი გარაჟის პირობებში. საქართველოში კი მძლავრი სარემონტო ბაზის უქონლობის გამო სწორედ გარაჟებში წარმოებს რემონტის დიდი ნაწილი და თანაც კუსტარული მეთოდებით, სათანადო ტექნიკური შეიარაღებისა და აუცილებელი სიზუსტის დაცვის გარეშე.

საავტომობილო მეურნეობის ხელსაყრელი მუშაობა განიზომება ავტომობილების გამოყენების კოეფიციენტით. ე. ი. იმით, თუ ავტომანქანათა რამდენი პროცენტი იმყოფება ერთდროულად მუშაობაში და რამდენ ხანს დგას რემონტში. ნორმალური ექსპლოატაცია მოითხოვს რომ გამოყენების პროცენტი არ იყოს 75 პროცენტზე ნაკლები. ნამდვილად კი ეს პროცენტი უმეტეს შემთხვევაში არ აღემატება სამოცს. ასეთი ანორმალობის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ ავტომანქანების სარემონტოდ მოცდენის ხანგრძლივობაში.

ავტოპარკის ყოველდღიური ზრდის მიუხედავად, ჩვენი სოციალისტური მეურნეობა ჯერ კიდევ განიცდის ურელსო ტრანსპორტის დიდ ნაკლებობას. ცხადია, ასეთ პირობებში ავტომანქანების ხანგრძლივი მოცდენა, რემონტში და თვით რემონტის დაბალი ხარისხი აუწყნარებელია.

მოსკოვ—ყარაყუმის ავტოგადარბენამ ნათელყო საბჭოთა მანქანების მაღალხარისხოვნობა, მისი გამძლეობა. თუ მანქანას უზრუნველვყოფთ კარგი მოვლით და მაღალხარისხოვანი რემონტით, ამით თვალსაჩინოდ გავახანგრძლივებთ მანქანის „სიცოცხლეს" და გავადიდებთ მის ნაყოფიერ მუშაობას.

სწორედ ამიტომ ექცევა გაძლიერებული ყურადღება ავტომანქანების შეკეთების მოწესრიგებას. ნოემბერში ქ. გორკში სპეციალური თათბირიც კი ჩატარდა ავტომანქანების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საკითხზე, რომელზედაც ხაზგასმით იყო აღნიშნული დროული და მაღალხარისხოვანი რემონტის აუცილებლობა.

ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს ტექნიკურად შეიარაღებული სარემონტო ქარხნების მოწყობას. ასეთი ქარხნები უკვე აშენდა მოსკოვში, ლენინგრადში და შენდება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მსხვილ ცენტრებში, შენდება იგი ტფილისშიაც.

ტფილისის ავტოსარემონტო ქარხანა დიდ როლს ითამაშებს ჩვენი ავტომეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებაში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მანქანის კაპიტალური რემონტი ამ ქარხნის ტექნიკის მთლიანად ათვისების შემდეგ გაგრძელდება მხოლოდ 7 დღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ დაზიანებული მანქანა, ქარხანაში მისი შემოსვლის დღიდან სავსებით განიკურნება და განახლდება 7 დღის განმავლობაში.

ქარხნის სიმძლავრე საკმარისია იმისათვის, რომ უახლოესი წლების განმავლობაში სავსებით დააკმაყოფილოს კაპიტალური რემონტით; ამიერ-კავკასიის ყველა ავტომეურნეობა, ბაქოს გამოკლებით, სადაც უკვე არსებობს საკმაოდ ძლიერი და ტექნიკურად მოწყობილი, „აზნავტოს" ავტოსარემონტო ქარხანა.

ტფილისის ავტოსარემონტო ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს, კაპიტალური რემონტიდან 2140 ავტომანქანას. ქარხნის მოწყობილობა საშუალებას იძლევა შეკეთდეს ყველა ტიპის საბჭოთა მანქანა, როგორც მსუბუქი და სამგზავრო, ისე, სატვირთო და სპეციალური (ავტობუსები, გამწევი მანქანები და სხვ.). გარდა ამისა, ქარხანა აწარმოებს ავტომანქანების ცალკე აგრეგატების, შეკეთებას და ახალი ძარების („კუზოვების") დამზადებას.

საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს რემონტის ტექნოლოგიური მხარე; ახალ ქარხანაში. ამ მხრივ ქარხანა, დღემდე არსებულ სახელოსნოებთან შედარებით სავსებით ახალ პრინციპზე იქნება დამყარებული. თვითეული მანქანა ქარხანაში შესვლისთანავე გაივლის „აბანოში", სადაც სპეციალური სარეცხი მანქანა მოაშორებს მას ტალახს, მტვერს, შემდეგ იგი დაიშლება ცალკე აგრეგატებად (ძარა, ძრავი, უკანა ხიდი, წინა ხიდი, ჩარჩო, საჭე და სხვ.). თვითეული აგრეგატი გადაეცემა განსაკუთრებულ საამქროს, სადაც მოხდება მათი დაშლა დეტალებად, დეტალების გარეცხვა, შემოწმება, გაფუჭებული ნაწილების ამორჩევა, დაზიანებული ნაწილების შესაკეთებლად გადაცემა. მანქანა არ უცდის ამ ცალკე ნაწილების შეკეთებას, ჩარჩოს გარდა და როგორც კი ჩარჩო შეკეთდება, იწყება მანქანის აწყობა, მიუხედავად იმისა, შეკეთებულია, თუ არა დანარჩენი ნაწილები. მანქანის აწყობა დაიწყება სათადარიგო ნაწილებისა და სათადარიგო აგრეგატებისაგან და 7 დღის შემდეგ, დღიდან მანქანის ქარხანაში მიღებისა, ის უკვე განახლებული გამოვა ქარხნიდან, გაივლის გამოცდას და ჩაბარდება პატრონს. თვითეულ საათში ქარხანა რემონტიდან გამოუშვებს ერთ მანქანას.

აღსანიშნავია, რომ რემონტის ღირებულება გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ეს დღეს არის სახელოსნოებში. დღეს ერთი მანქანის კაპიტალური რემონტი ჯდება 8—10 ათას მანეთად. **ქარხანა კი ამ სამუშაოს შეასრულებს 4—5-ჯერ უფრო იაფად და ამავე დროს უზრუნველყოფს რემონტის მაღალხარისხოვნებას.**

რა მდგომარეობაშია ტფილისის ავტოსარემონტო ქარხნის მშენებლობა?

გეგმით, საამშენებლო სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 1 იანვრამდე, მაგრამ საშენი მასალის ნაკლებობის გამო (ტუფი, ხე-ტყე) გეგმის შესრულება შეფერხდა. დღეს მთელი ნაგებობების მზადყოფნა განისაზღვრება 75 პროცენტით. მიუხედავად ამისა, საამშენებლო სამუშაოები იმგვარად არის დაყენებული, რომ არ შეაფერხოს მისი მოწყობილობის მონტაჟი, რაც უახლოეს ხანს დაიწყება.

როგორც აღმშენებლობის უფროსმა და ქარხნის დირექტორმა ამხ. **კირილე ოდიშავაძემ** გვაცნობა, იანვრის განმავლობაში უნდა იქნეს მიღებული ძირითადი მოწყობილობა ქარხნისათვის. ჩამოყალიბებულია საკონსტრუქტორო ბიურო, სადაც წარმოებს იმ მოწყობილობის სამუშაო ნახაზების დამზადება, რომელიც ადგილობრივ უნდა გაკეთდეს (მაგიდები, განჯინები, სტელაჟები და სხვ.). წარმოებს კადრების მომზადება ქარხნისათვის. მოეწყო დამხმარე სახელოსნოები.

მთავარი კორპუსი, რომელიც შეიცავს ყველა მექანიკურ და თერმულ საამქროს — თითქმის მზად არის. აღმშენებლობამ მიიღო ტუფი, რაც უზრუნველყოფს მთავარი კორპუსის უახლოეს დღეებში დამთავრებას, რის შემდეგ პარალელურად იწარმოებს კორპუსის გადახურვა და იატაკის დაგება.

ადმინისტრატიული კორპუსი, სასადილო და სამკურნალო პუნქტი უკვე აშენებულია. ჩქარი ტემპით წარმოებს საძარო კორპუსის მშენებლობა და თუ არ შეფერხდა ტუფის და ხე-ტყის მიღება, ეს კორპუსიც მზად იქნება იანვარში. შენდება საცხოვრებელი სახლი ქარხნის მუშებისათვის.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ქარხნის სამკუთხედმა დიდი მუშაობა ჩაატარა კადრებით ქარხნის საიმედო განმტკიცების მხრივ. განიდევნა წამგლეჯი და მავნე ელემენტები, პარტორგანიზაცია განმტკიცდა ახალი კადრებით, შერჩეულია ინჟინერ-ტექნიკოსთა საჭირო კადრები და სხ. მთელი ეს მუშაობა ტარდება ლენინის რაიკომის უშუალო, ოპერატიული ხელმძღვანელობით. მშენებლობა სარგებლობს ხელმძღვანელი ორგანოების უაღრესი ყურადღებით; ის გამოცხადებულია დამკვრელ მშენებლობად. ქარხნის ბოლშევიკები სიტყვას იძლევიან, რომ 1934 წლის 1 მაისს აამუშავებენ ქარხანას.

ეს იქნება საბჭოთა ხელისუფლების მორიგი უდიდესი მიღწევა. ეს ქარხანა აღმოფხვრის ჩამორჩენას ავტომანქანების რემონტის დარგში, შეიტანს ამ საქმეში საჭირო სიზუსტის კულტურას, გააუმჯობესებს ავტომეურნეობათა მუშაობას და შექმნის ავტომანქანების გამოყენების პროცენტის საგრძნობლად გადიდების ნამდვილ შესაძლებლობას.

ლევ. კელენჯერიძე.

17 ათასი ცხენძალა ძღვნად მე-17 ყრილობას

17 ათასი ცხენძალა ელექტროენერგია ძღვნად პარტიის მე-17 ყრილობას — ამ ვალდებულების განაღდებისათვის, როგორც ერთი კაცი დაირაზმნენ ზაჰესელები. დამკვრელი თვე — დეკემბერი წარმატებით დაამთავრეს. პირველი ტურბინი უახლოვდება ამუშავების მომენტს.

ლენინგრადის ლითონის ქარხნის ბრიგადამ წარმატებით ჩაატარა კაპლანის სისტემის პირველი ტურბინის მონტაჟი. ამ ტურბინისათვის გენერატორს დგამს ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილა". გენერატორის მოტორი უკვე დამონტაჟებულია და ჩაშვებულია ბუდეში, ახლო ხანში დამთავრდება გენერატორის სტატორის მონტაჟი. მიმდინარეობს მბრუნავი ნაწილების საზეთავ მოწყობილობათა აწყობა და მორგება. გენერატორის მონტაჟის დამთავრებისთანავე მოხდება აწყობილი გენერატორის ტურბინთან შეერთება.

საუკეთესო დამკვრელი, დურგლების მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ა. პავლუტენკო.

საწნეო აუზზე მიმდინარეობს ფარების შანდორების დაყენება და ასაწევი მექანიზმების მონტაჟი. ამრიგად, საწნეო აუზის მექანიკური მოწყობილობანი სადგურის საცდელ გაშვებას არ შეაფერხებს.

მეორე რიგის ზაჰესის დადგმულობებს დიდი სირთულე ახასიათებს. პირველად ამიერ-კავკასიაში იდგმება უმძლავრესი კაპლანის სისტემის ტურბინები. ერთი მათგანი დამზადებულია საზღვარგარეთ. ხოლო მეორე დაამზადეს პირველად, მაგრამ დიდი წარმატებით, საბჭოთა ქარხნებმა ლენინგრადში.

ტურბოგენერატორების თავისებურება ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მეტად საიმედო და ზუსტ შესრულებას მოითხოვდა. დასძლიეს თუ არა ის ამოცანა ჩვენმა სპეციალისტებმა?

დასძლიეს წარმატებით. მეორე რიგის ზაჰესის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კოლექტივმა საბჭოთა ქვეყანაში შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით გადაჭრა ეს მეტად სერიოზული ამოცანა.

ბოლშევიკი, ხელმძღვანელი და ამხანაგი

მშენებლობის უფროსი და მთავარი ინჟინერი ამხ. **შალვა გაბრიჩიძე** ამ სახელში მტკიცედ შედუღებულია სამი ცნება — ბოლშევიკი, ხელმძღვანელი და ამხანაგი. მისთვის მშენებლობის ყოველი მტკივნეული ადგილი საკუთარი ტკივილია, მშენებლობის ყოველი გამარჯვება საკუთარი წარმატების საამაყო გრძნობაა.

მისი სამუშაო დღე იწყება დილის 8 საათზე — ტფილისში, სხვადასხვა ორგანიზაციაში ლურსმნის, ხე-ტყის, ცემენტის და სხვა საჭირო მასალების ძებნით და მთავრდება მშენებლობაზე გვიან, ღამის 12, 1, 2 საათზე.

ამხ. შალვა გაბრიჩიძე, მთელ კოლექტივთან ერთად, მე-17 პარტყრილობას შესანიშნავ საჩუქარს უმზადებს — 17 ათასი ცხენძალიან ელექტროენერგიას.

ვასო გოგუა

ამ სახელს ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ. ის არ არის საინჟინერო მუშაობის დიდი სტაჟის მქონე, ჭაღარა სპეციალისტი. იგი ოქტომბრის რევოლუციის თაობის წარმომადგენელია, საბჭოთა უმაღლეს სკოლაში აღზრდილი. საინჟინერო მუშაობა მეორე რიგის ზაჰესიდან დაიწყო.

1933 წლის გაზაფხულის პირველი დღეები ბრძოლის დასაწყისია. ნაღმების გრგვინვამ პიტალო კლდე კორიანტელში გახვია. გაიწმინდა. დამშვიდდა. ქვაბანი მზად არის. საძირკველს უყრიან საგენერატორო შენობას. ნახაზები. საარმატურო სამუშაოები, ბეტონი. [illegible]. ისევ რკინა და ბეტონი. ფარები და შანდორები. უჯრედი. ოპერატიული თათბირები პარტორგებთან, საერთო კრებები, საბრძოლო ვალდებულებები, პარტიის მე-17 ყრილობისათვის სამზადისი — აი ახალგაზრდა ენტუზიასტის საბრძოლო ასპარეზი და ყოველდღიური საბრძოლო პროგრამა.

ა. პავლუტენკო

არა ერთი და ორი ჰიდროელსადგურის წითელი დაფა დაუმშვენებია ამ სახელს. არა ერთი და ორი ბოლშევიკური გული ალუვსია სიამაყით მას.

ა. პავლუტენკო თავისი ბრიგადით მშენებლობის სიამაყეა.

ჩვენს ბრიგადას ვაცხადებთ მე-17 პარტყრილობის სახელობის დამკვრელად

ვამთავრებთ ორი მწნევი მილის და საფასადო თალების შეფიცრვას.

დავცვამთ ადგილზე ოთხ ფანჯარას.

ჩავაბარებთ ორი დარჩენილი ორი მწნევი მილის შესაფიცრავ სამუშაოებს.

დავამთავრებთ მწნევი მილების სათავეებისა და საფასადო თალების შეფიცრვას.

დავამთავრებთ ძველდური აგრეგატის საჰაერო გამაგრილებელი კამერის მიშენებას.

ჩვენს ბრიგადაში ადგილი არ ექნება არც ერთ გაცდენასა და დაგვიანებას.

მთავარ სამუშაოთა მწარმოებელი ინჟ მ. ურუშაძე და მისი მოადგილე ინჟ. ა. ქსოვრელი განსაკუთრებული კმაყოფილებით აძლევენ დავალებებს პავლუტენკოს, რადგანაც წინასწარ დარწმუნებული არიან მათ უნაკლო შესრულებაში.

ა. პავლუტენკო არა მარტო საუკეთესო დურგალია, არამედ საუკეთესო ბრიგადირიცაა, ის უნაკლო ხელმძღვანელია თავისი ბრიგადისა და საუკეთესო ამხანაგია თავისი ბრიგადის წევრების.

გუთნიდან ინდუსტრიის გიგანტზე

ილო თაბუკაშვილი და სოლომონ თათანაშვილი მათი ბრიგადებით ბეტონების სამუშაოების საუკეთესო ოსტატები არიან. გორელმა კოლმეურნეებმა სოციალისტური მინდვრებიდან, თავიანთი საბრძოლო ენტუზიაზმი რკინაზე და ბეტონზე გადაიტანეს. სულ მოკლე ხანში დაეუფლნენ ბეტონის სამუშაოების რთულ ტექნიკას და ამჟამად მათ ხელში ბეტონი საიმედოდ უძმობილდება რკინას. ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათი მიღწევები დაბეტონების დარგში არაფრით ჩამოუვარდება დნეპრომშენისა და სხვა მოწინავე ელსადგურებზე მიღწეულ შედეგებს.

ისინი ბევრნი არიან

პავლუტენკო, თაბუაშვილი, თათანაშვილი — ზაჰესის ეს იზოტოვები — მარტონი არ არიან. ლენინგრადის მექანიკური ქარხნის ბრიგადა ამხ. **სტოროჟევის და ზებერგის** ხელმძღვანელობით, საუკეთესო დამკვრელები ინჟ. ა. ქსოვრელი, ინჟ. ვ. პეტრენკო, ინჟ. მ. ურუშაძე, შკურკა, ტექნიკოსები: ლომიძე, ჯავარი და ბარბაქაძე, ინჟ. დ. სურგულაძე მთავარი მექანიკოსი კ. ქილაძე, მონტიორები: ი. ბუჩუკური, ლ. ქვათაძე, ა. ცუცქირიძე, მზარეული სტეფანე რთველიაშვილი და სხვა მრავალი — ესაა ენტუზიასტების ძლიერი არმია, რომელიც დამკვრელურად იბრძვის პარტიის მე-17 ყრილობისათვის საბრძოლო პატაკის წარსადგენად.

ს. ნიუ[illegible]

მშრომელთა ჯანმრთელობის სამჭედლო

შავი ზღვის ამიერ-კავკასიის სანაპიროების განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთის სანაპიროების (აფხაზეთი) ზღვის ჰაერით შეზავებული [illegible] ჰავა და მდიდარი სუბტროპიკული მიდამოები დიდი ხანია ცნობილი და იზიდავდა მეფის რუსეთის მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთ.

რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, მეფის რუსეთის „დამამშვენებლები"—პრინცი ოლდენბურგი, გრაფი ზორნეკაო, ამეცკო, ოლიმპი; მეტლევი და სხვები „აბედნიერებდენ" ამ პატარა ქვეყანას თავიანთი „სტუმრობით" რაც გამოიხატებოდა დროის მხიარულად გატარებასა და ადგილობრივ მცხოვრებთა დევნა-შევიწროებაში, მათ უსაშინელეს და ყაჩაღურ ექსპლოატაციაში.

სოხუმი და გაგრა რევოლუციამდე წარმოადგენდა ტიპიურ ბურჟუაზიულ კურორტებს, სადაც თავს იყრიდენ „წარჩინებულნი" მეფის რუსეთისა—პეტერბურგიდან, მოსკოვიდან და სხვ. ქალაქებიდან. ამ „წარჩინებულთ" მეტის მეტად ახირებული ჩვევები და წესები თან მოჰქონდათ აფხაზეთის კურორტებზე.

მათ აღელვებდათ მუშური ხალათები, ხასიათს უფუჭებდათ ჯარისკაცთა შინელები, ბაყაყების ყიყინი ართმევდათ ძილის მადას, ხოლო ძაღლების ყეფას მოთმინებიდან გამოჰყავდა ისინი. აი ამით აიხსნება ის დიდი განცხადება, რომელიც რევოლუციამდე გამოკიდებული იყო გაგრაში, კურზალის შესავალთან: „დაბალი ხარისხის პირთა და ძაღლების შესვლა აკრძალულია"—იუწყებოდა ეს განცხადება, პრინც ოლდენბურგის ბრძანებით გამოკრული. აი რატომ მოხდა, რომ ერთხელ; იმავე პრინც ოლდენბურგის განკარგულებით ბაყაყების გასანადგურებლად შეკრიბეს ყველა ბავშვი 8-12 წლის ასაკამდე. და მრავალი ასეთი ფაქტი და სანახაობა ახსოვთ აფხაზეთის მშრომელებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ ამ [illegible] ქვეყნის მდიდარი საკურორტო ადგილებით სარგებლობის უფლებას და მეფის რეჟიმის რკინის ქუსლის ქვეშ იტანჯებოდნენ.

მაგრამ ეს იყო რევოლუციამდე, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, 1921 წლამდე.

იყო და აღარ არის.

საბჭოთა აფხაზეთის კურორტები დღეს წარმოადგენს აფხაზეთის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა საკუთრებას; მათი ჯანმრთელობის სოციალისტურ სამჭედლოს. დღეს აფხაზეთის კურორტები საბჭოთა კავშირის და მსოფლიო მასშტაბითაც კი საუკეთესოდ კეთილმოწყობილი კურორტებია, სადაც ისვენებენ სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების და მინდვრების დამკვრელები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

ამჟამად აფხაზეთში (სოხუმის, გაგრის, პსირცხის მიდამოებში) მოქმედობს 15 კარგად მოწყობილი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. ამათგან, მთელი რიგი სანატორიუმები (მაგ. ლენინის სახელობის სოხუმში და სტალინის სახელობის გაგრაში) მოწყობილია კურორტოლოგიის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს ყველა პუნქტის წლიური გამტარუნარიანობა 18 ათას კაცს უდრის.

აფხაზეთში საკურორტო მშენებლობის ტემპების დაჩქარებასა და კურორტების კეთილმოწყობაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 21 ოქტომბრის ისტორიულმა დადგენილებამ; მისი გამოქვეყნების შემდეგ განსაკუთრებით ჩქარი ტემპებით განვითარდა კაპიტალური მშენებლობა კურორტების ხაზით და გაიზარდა დაბანდებანი. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კურორტების კეთილმოწყობაზე და ახალი სანატორიუმების ასაგებად დაიხარჯა 8 მილ. მანეთამდე.

საფუძვლიანად შეკეთდა და ხელახლად მოეწყო სოხუმის ყველა სანატორიუმი. ამას გარდა დაიწყო მშენებლობა ახალი, მძლავრი პოლიკლინიკისა, რომელთანაც მოეწყობა ელექტრო-მკურნალობის კაბინეტი და ზღვის თბილი აბაზანები.

გაგრის კურორტებზე ჩატარდა კაპიტალური სამუშაოები სანაპირო ხაზის გასამაგრებლად და მიდამოების გასამშვენიერებლად, აიგო წყალით სამკურნალო, რამოდენიმე დასასვენებელი სახლი, აბანო; ელექტრო სადგური და მოეწყო მთელი რიგი კულტურულ-სანახაობითი ხასიათის დაწესებულებანი. ასეთივე მუშაობა ჩატარდა საკავშირო მნიშვნელობის კურორტის—პსირცხის მოსაწყობად.

ყველა ეს ფაქტი მიუთითებს იმ დიდ ყურადღებასა და დახმარებაზე რომლითაც ეკიდება პარტია და ხელისუფლება კურორტების, კერძოდ საბჭოთა აფხაზეთის კურორტების განვითარებას და მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საკითხს.

მეორე ხუთწლედში აფხაზეთის კურორტების წინაშე იშლება განვითარების ფართო პერსპექტივა. კაპიტალური დაბანდებანი ახალი სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების მშენებლობაზე და არსებულის კეთილმოწყობაზე 1934-38 წლებში მიაღწევს 98 მილიონ მანეთამდე, გაიზრდება საკურორტო წერტების გამტარუნარიანობა, გაუმჯობესდება დამსვენებელთა მომსახურების ხარისხი.

დიდი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდიან და მოვლენ მშრომელები, საუკეთესო დამკვრელები აფხაზეთის კურორტებზე, რომ დაისვენონ, აღადგინონ დახარჯული ენერგია, გამოსწორონ თავიანთი ჯანმრთელობა და შრომის და თავდაცვის წყურვილით აღჭურვილებმა მტკიცედ განაგრძონ ბრძოლა უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაგებად.

მწერლების, მეცნიერების მუშაკთა და ინჟენერ-ტექნიკოსების შეხვედრა

7 იანვარს ამხ. მალაქია ტოროშელიძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების, მეცნიერების და ინჟენერ-ტექნიკოსების შეხვედრა. შეხვედრას დაესწრო ასეული მწერალი, მეცნიერი და ინჟენერ-ტექნიკოსი. შეხვედრის მიზანი იყო ღონისძიებების დასახვა მწერალთა და მეცნიერების მუშაკთა შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარებისათვის. ასეთი ურთიერთობა დღემდე არ არსებობდა, მაშინ, როდესაც სოციალისტური მშენებლობის ამოცანები გადაუდებლად აყენებს ხელოვნების მუშაკთა ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერებისა და ინჟენერ-ტექნიკოსთა მჭიდრო დაახლოვების საკითხს.

მწერალმა რომ შეძლოს თანამედროვე გიგანტური მშენებლობის ასახვა, საჭიროა, მან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს მეცნიერებთან და ინჟენერ-ტექნიკოსებთან, ამბობდა ბ. ჟღენტი. ა. ჭუმბაძე აღნიშნავდა, რომ მწერლების და მეცნიერების მუშაკთა დაკავშირების საკითხი დიდი ხნიდან მომწიფებულია. ასეთი ურთიერთობა, მისი აზრით ნაწილობრივად დღემდეც არსებობდა მაგრამ შემდეგში მას უნდა მიეცეს ორგანიზებული ხასიათი. მწერალი უნდა იყოს საქმის კურსში თუ რა ახალი მიღწევებია მეცნიერებაში, რომ ეს ახალი მასალა მან თავის ნაწარმოებში ასახოს.

მიხ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ უკანასკნელ დრომდე მწერლები და მეცნიერები ერთმანეთს დაცილებული იყვნენ, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებში (მაგ. უკრაინა, ბელორუსია) მწერლების და მეცნიერების დასაკავშირებლად დიდი მუშაობაა ჩატარებული. მიხ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებდა საქართველოშიც მწერლებსა, მეცნიერებსა და ინჟენერ-ტექნიკოსთა შორის კავშირის დამყარებაზე; მაგრამ მეორე მხრივ მიხ. ჯავახიშვილი პოეზიის და მეცნიერების გამიჯვნის საქმეში ერთგვარ უკიდურესობამდე დავიდა, როდესაც ამბობდა, რომ არ არის პოეტური მეცნიერება და მეცნიერული პოეზია, მაგრამ კავშირი მეცნიერებსა და მწერლებს შორის აუცილებელია.

ჩვენში წინად ტექნიკური ცოდნით დაინტერესება არ იყო, ამბობდა ტ. ტაბიძე; საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ტექნიკით ფართო მასები დაინტერესდნენ; ჩვენ გვყავს მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებათა ავტორები, მაგ., **ბექაური** და **ბარკალაია**. [illegible] ლიტერატურაში გამოხატულება უნდა პოვოს. ჩვენი მუშაობის ნაკლია, რომ დღემდე საკმაო დამაჯერებლობით არ აგვისახავს ინჟენერისა და ტექნიკოსის ტიპები. მეორე მხრივ მეცნიერსაც ჭირდება მწერლის დახმარება, ამბობს ტ. ტაბიძე. ამ საკითხში იგი ავითარებს არასწორ შეხედულებას, როდესაც აცხადებს, რომ მეცნიერებისათვის საჭიროა შთაგონება, რისი მიცემა აუცილებლად პოეზია უნდა ყოს.

პროფ. გ. ნათაძე მიუთითებს ამ შეხვედრის ისტორიულ ხასიათზე. თუ წინად მეცნიერი ზერელედ უყურებდა მწერალს და მას ახასიათებდა, როგორც არა ღრმა მოაზროვნეს, დღეს ჩვენში ეს აზრი უკუგდებულია. თუ მწერალს ჭირდება მეცნიერის და ინჟენერ-ტექნიკოსის დახმარება, ასევე ჭირდება მეცნიერსაც მწერლის დახმარება, ერთგვარი მხატვრული ზეგავლენა. მეცნიერი მწერლის მიერ დასმულ საკითხს საფუძვლიანად დაამუშავებს; მხატვრული მასალა მას მატებს სიცოცხლეს მამოძრავებელ ძალას.

მეცნიერების და პოეზიის გათიშვა შეუძლებელია ამბობს **პროფ. ს. დანელია**. მათ შორის კავშირი ყოველთვის არსებობდა, აცხადებს იგი, ზოგიერთ ორატორების დებულების წინააღმდეგ. მწერალი ყოველთვის სარგებლობდა მეცნიერების მიღწევებით; მეცნიერები კი ღებულობდენ მწერლებისაგან იმპულსს ახალ აღმოჩენებისათვის. მიუღებელია ისეთი მწერლობა, რომელიც ანგარიშს არ უწევს მეცნიერებას და ისეთი მეცნიერება, რომელიც უგულებელყოფს პოეზიას.

ინჟენერ-ტექნიკოსების წარმომადგენელი სიხოევი ამბობს მეორე ხუთწლედში ინჟენერ-ტექნიკოსების წინაშე მდგარ ამოცანებზე, ახალი წარმოების ათვისებაზე და ამ საქმისათვის მწერლების მეცნიერების და ინჟენერების შორის კავშირის დამყარების უდიდეს მნიშვნელობაზე.

არსებობს შეხედულება, თითქოს მეცნიერებასა და პოეზიას შორის კავშირი არ არსებობს, ამბობს **ამხ. მ. ტოროშელიძე**. მიხ. ჯავახიშვილის სიტყვაშიაც იყო ცდა მეცნიერების და პოეზიის გამიჯვნისა, როცა ის ამბობდა, რომ არ არსებობს მეცნიერული პოეზია და პოეტური მეცნიერება. ამხ. ტოროშელიძე მიუთითებს, რომ მთელი რიგი გამოჩენილი მწერლებისათვის (შექსპირი, გოეტე, ტოლსტოი) პოეზიას ხელი შეუშლია, რომ მათ ამავე დროს მეცნიერებაშიც დიდი ადგილი დაეჭირათ. მხატვრული სახეები გარკვეულ აზრს გამოხატავენ. ასევე ფართო მასსათვის ძნელია იმ მეცნიერის გაგება, რომელიც მხოლოდ მშრალი ფორმულებით აზროვნობს, ღრმა ცოდნა და აღფრთოვანება უნდა დაედვას საფუძვლად მწერალთა შემოქმედებას.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე **ნ. ზომლეთელმა, დოც. კეცხოველმა, პროფ. ბაქრაძემ, პროფ. გოგიბერიძემ, პროფ. ვაშაყმაძემ** და **ინჟ. პაპიძემ**; მწერლებმა: **პ. ჩხიკვაძემ, გ. ლეონიძემ** და **ვ. ჟურულმა** წაიკითხეს თავიანთი ნაწერები.

შეხვედრამ ნათელყო თუ რამდენად დროული და აუცილებელია მწერლების, მეცნიერებისა და ინჟენერ-ტექნიკოსთა შორის კავშირის დამყარება. საბჭოთა მწერლების კავშირი, მეცნიერების მუშაკთა და ინჟენერ-ტექნიკოსთა ბიუროები პრაქტიკულად უნდა შეუდგნენ ამ ურთიერთ დახმარების და თანამშრომლობის განხორციელებას.

ჭადრაკი

პიონერმა გოლოვკომ მოუგო ბოტვინიკს

ერთდროული თამაშის სეანსები ბავშვთა საჭადრაკო-საშაშო ტურნირის მონაწილეთათვის

მოსკოვი, 8 იანვარი. გუშინ საღამოს კალინინის სახელობის კლუბში ბავშვთა საკავშირო საჭადრაკო-საშაშო ტურნირის მონაწილენი ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაესტროებს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ამხ. ბოტვინიკი თამაშობდა ერთდროულად 25 დაფაზე, მაესტრო რიუმინი — 40 დაფაზე, მაესტრო პოტაპოვი (შაში) — 31 დაფაზე და მაესტრო ტიმკოვსკი (შაში) — 29 დაფაზე. ბავშვებმა მაესტროებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. ახალგაზრდა აუდიტორია მღელვარებით ადევნებდა თვალყურს როსტოვის შეჯიბრებაში გამარჯვებულ 11 წლის პიონერის კოლია გოლოვკოს დაფას, რომელიც თამაშობდა ბოტვინიკთან. მოხდენილი კომბინაციით გოლოვკო იგებს მხედარს და ბოტვინიკი აუცილებელი დამარცხების წინ ნებდება მე-36 სვლაზე. მქუხარე ტაშით ხვდებიან ახალგაზრდა მოჭადრაკენი პირველ გამარჯვებას. დიდ აღტაცებას იწვევს აგრეთვე ყაიმი, რომელიც გააკეთა ბოტვინიკმა ტულის მე-59 სკოლის მოწაფე **გერშკოვიჩთან**.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა განაცხადა, ბავშვები საუცხოვოდ თამაშობდნენ, მე რომ უფრო დაუკვირვებლად მეთამაშა, — თქვა ამხ. ბოტვინიკმა, — შედეგები ჩემთვის ძალიან ცუდი აღმოჩნდებოდა.

საღამოს 10 ნახ. საათისათვის მაესტრო რიუმინს ჰქონდა 12 მოგებული და ორი ყაიმი (ოდესელ კოგანთან და მოსკოველ ლიბერზონთან). შაშში მაესტრო ტიმკოვსკიმ წააგო ერთი პარტია ქ. კალინინელ მოწაფე სრეტენსკისთან და გააკეთა ყაიმი ლენინგრადელ პიონერ ბარსკოვთან.

15 წლის იაშა კაპლანმა (ბობრუისკი) მოუგო მაესტრო პატაპოვს. ბუროვმა (ივანოვო) და კაზანსკიმ (ლენინგრადი) თავიანთი პარტიები პოტაპოვთან ყაიმით დაამთავრეს (ატს).

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას

საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს

იმ ვალდებულებათა შორის, რომელიც მწერალთა კავშირმა იკისრა საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობისათვის შესასრულებლად, ნაგულისხმევი იყო 15 წიგნის გამოცემის უზრუნველყოფა სახელგამის ხაზით (მხატვრული ლიტერატურის დარგში).

ამ საქმეში პერსონალური პასუხისმგებლობა კავშირის მიერ დაკისრებული მქონდა მე, როგორც სახელგამის სამხატვრო ლიტერატურის სექტორის გამგეს და კავშირის ერთ-ერთ მდივანს.

გიდგენთ რა ამასთანავე 18 წიგნს, თავის დროზე კავშირის მიერ განხილულ სიის მიხედვით, გაცნობებთ, რომ 10 იანვრისათვის მოცემული გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

ნიკოლო მიწიშვილი

ქრონიკა

„სალიტ. გაზეთის" და ჟურნალ „მნათობის" გაერთიანებული ნომერი

გამოვიდა საქ. კ.პ. (ბ)-ის მე-9 ყრილობისადმი მიძღვნილი „სალიტერატურო გაზეთის" და ჟურნალ „მნათობის" გაერთიანებული ნომერი, რომელიც 16 საგაზეთო გვ. შეიცავს. ნომერში მოთავსებულია:

ლექსები: **ნ. მიწიშვილის, კონსტ. ჭიჭინაძის, სიმ. ჩიქოვანის, პაოლო იაშვილის, შალვა აფხაიძის, ი. ლისაშვილის, ილ. ხოშტარიას, ვ. ჟურულის, კოლაუ ნადირაძის, ალიო მაშაშვილის, სანდრო ეულის, ვალ. გაფრინდაშვილის, ეთიმ გურჯის, ალ. ქუთათელის, ზ. დოლიაშვილის.**

მოთხრობები: **კონსტ. გამსახურდიასი, პანტ. ჩხიკვაძის, კონსტ. ლორთქიფანიძის, მარიამ გარიყულის, დია ჩიანელის და სხვ.**

ნარკვევები: **ტიციან ტაბიძის, ს. შანშიაშვილის, ილო მოსაშვილის, მიქ. პატარიძის, მიხ. ჯავახიშვილის, გ. ქუჩიშვილის, ს. კლდიაშვილის, არ. ჭუმბაძის, ელიზ. პოლუმორდვინოვის, არჩ. ჩაჩიბაიასი, კ. ნადირაძის, გრ. ცეცხლაძის, არ. ქორჩიასი.**

წერილები: **რედაქციის, კ. მელაძის, მხატ. ლადო გუდიაშვილის, ალ. სულავასი, გიორგი ტოროშელიძის, ლ. ქიაჩელის, რიურიკ ივნევის და სხვ.**

ფასი 1 მანეთი.

იყიდება ყველა კიოსკებში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ორგანიზაციის 26 კომუნარის რაიონში მე-17 პარტყრილობისათვის ამხ. კაგანოვიჩის თეზისების დასამუშავებლად მოხსენებისათვის მობილიზებულნი არიან შემდეგი ამხანაგები: მექანიკური ქარხანა—ვ. მაჭავარიანი, № 1-ლი ფეხსაცმელების ფაბრიკა—ვ. ქუჩიაშვილი, მკერავი № 2—ტ. საკოვი, № 2 ფეხსაცმელების ფაბრიკა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი — ეფიმოვი, ტყავის ქარხანა № 1-ლი ბირიუკოვი. ტყავის ქარხანა № 2—გორგიჯანოვი, ქეჩის ფაბრიკა — ადელხანოვი, [illegible] ფაბრიკა — შევჩენკო, სართავი ფაბრიკა და ქიმკომბინატი — ალასი ვართანიანი, საქ. ტრიკოტაჟი და კალბასის ქარხანა — ს. შავერდოვა, საპნის კომბინატი — ანაიდა მარტინიანი, საკონდიტრო და მაკარონის ფაბრიკები — გოიგორიანი, კარიერები — კარახანიანი, მურაბის ფაბრიკა — სალნიკერი, ხორცის კომბინატი და მეორე დივიზიის მილიცია — ს. ბუაჩიძე, სახელგამი — ტონცოში. კ.წ.დ. არმიის ავტოსახელოსნოები და ფაბრიციუსის ქარხანა — სკანდაროვი, კომკავშირის სახელოსნოები, ჯაგრის ფაბრიკა და ა.-კ. ბეწვეული — ტ. ჯაფარლი, აგურის ქარხანა — ხაჩატრიანი, მკერავი № 6—ნურა პანციოხაია, „სოიუზუტილი" და კურორტმშენი — ბეკეტოვი, სამუსიკო ფაბრიკა — ეპშტეინი, კამოს სახელობის ქარხანა — ბერიშვილი, საწყობი № 2—კალინინი, საწყობი №102—ონიშჩენკო, საწყობი № 7 როდაკოვი. საწყობი № 205 და რეზინის სათხოვი ფაბრიკა — ავდეევი, მეპურეები — აირაპეტოვი, მესოველები — დევდარიანი, კოოპრემონტი — კოჭურაშვილი, მეხშუბა — ხუციევი, სოლდო — გამსახურდია, „ტრუდქიმი" — შერმაკოვი, „26"-ის სახელობის და ფართო მოხმარების არტელები — ს. კამალიანი, სარეწკოოპფეხსაცმელი — მაზაევი, სარეწაო კომბინატი — ამო გალუსტიანი, რეკლამი — კერესელიძე, ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი — ლიხელცი, საქ. ბინათკავშირი — მონტინი, კომბანკი — თავბერიძე, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის კომისარიატები — კალანდაძე, „სოიუზკოჟი" და „ზაგოტკოჟი" — იუზბაშევი, სოიუზმიამი და მომარაგ-გასაღება — დვალიშვილი, რაისაბჭო, კალიაევის აღმართის მშენებლობა და [illegible] გიანი ხაზი — შახბატიანი, რაიბინკავშირი და თეატრი — გრ. მამულოვი, ქალაქის საავადმყოფო — ნადირაშვილი, რაიონული მილიცია — სახურია, საბაზრო კომიტეტი — მირიჯანიშვილი, ზაგოტზერნო — სოლოვიევი, საქ. სარეწაო საბჭო — გვიჩია, ტფილსოფმრეწვი — მამაცაშვილი, სამეცნიერო აკადემია — ზიფელდტი მილიციის მე-3 დივიზია — ბოოისოვი, მასწავლებელთა უჯრედი — ურუშაძე, ინდუსტრიალური მუშფაკი — ბერიშვილი, მილიციის ქართული სკოლა და მილიციის კურსები—კვირიკაშვილი, „უნრუ" და გლაუბერის მარილი — მარტინინოვი. სახ. პოლიტსამმართველოს სამხედრო ქალაქი — ბეჟანოვი, მარგარინის ქარხანა და მაცივარი—ბარსემიანი, პურის კომბინატი — ხაჩატუროვი, ფეხსაცმელების ფაბრიკის მშენებლობა და რადიო სადგური — მინასიანი, საქვაჭრობა — ჩაფიძე, სპეცკანტორა — ასკერი, ტორგსინი — პორტნოი, ტფ. სამომხ. საზოგადოების საზოგადება — რუსაძე, აბანოების ტრესტი — ალი მადათოვი.

—

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის კულტპროგანყოფილება მე-17 პარტყრილობისათვის თეზისების დამუშავების საკითხზე ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში კონსულტაციის ჩასატარებლად ახდენს ქვემოდ დასახელებული ამხანაგების მობილიზაციას: ამხ. ორაგველიძე, ვაშაყმაძე, ბრომიკერი, ნ. მახარაძე, რ. მელაძე, ი. მელაძე, შარია, კვიცარიძე, ბ. ძილი, ს. შავერდოვა, ლიუდვიგოვი, მირცხალავა, ეფიმოვი, მამაჯანოვი, ბუტირინა. ყველა მობილიზებულმა ამხანაგებმა ორი დღის განმავლობაში უნდა შეუთანხმონ ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტს თავიანთი კონსულტაციის საათები. ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარება დაიწყება ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტში 12 იანვრიდან ყოველდღე, საღამოს 7-დან 9 საათამდე. ტფ. პარტორგანიზაციის ყველა პროპაგანდისტის, პარტუჯრედის მდივნებისა და კულტპროპორგანიზატორებისათვის.

—:—

ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტი 11 იანვარს, დღის 1-ლ საათზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ი. ამატუნის, პ. გოგუას, დვილავას, მ. მაშევს, მაკაბერიძეს და ჯანელიძეს.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტში ამხ. ბაქრაძესთან (ოთახი № 48) ორი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს ამხ. ნაროუშვილი და პირიევი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქმე გადაეცემა საქ. კ.პ. (ბ) ც. საკ. კომისიას.

—:—

10 იანვარს, დღის 12 საათზე საქ. მიწსახკომის პოლიტსექტორში ამხ. მიქელოვთან (ოთახი № 20) უნდა გამოცხადდენ პოლიტგანყოფილებების გაზეთების რედაქტორები ამხ. ნაროუშვილი და პირიევი.

11 იანვარს, საღამოს 7 საათზე „26"-ის სახელობის რაიკომის სხდომების დარბაზში (კახეთის მოედანი № 1, მეორე სართული) **შესდგება საინსტრუქციო თათბირი** მე-17 პარტყრილობისათვის ამხ. კაგანოვიჩის თეზისების დამუშავების საკითხზე. პარტუჯრედების მდივნების, პროპაგანდისტების და მომხსენებლებად მობილიზებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. გელაშვილს (ა.-კ. მიწსახკომის პარტუჯრედის მდივანი), კომუნალური ბანკის პარტუჯრედის მდივანს. ამხ. ლომიძეს, ამხ. სტეპანოვს, ამხ. ჰოჩიაშვილს, ა. ლ. ესაკიას, გ. სოლომონიას, სუკანიძეს, კურდიუკოვს გამოცხადდენ დღეს 4 ნახევარ საათამდე ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში (ოთახი № 32) ამხ. იაერიანთან.

საბჭოთა კავშირში

ამხ. კაგანოვიჩი მოსკოვის რაიონების პარტკონფერენციებზე

მოსკოვი, 8 იანვარი. გუშინ გაიხსნა მოსკოვის სტალინის, პროლეტარული, ბაუმანის და კრასნაია პრესნას პარტიული კონფერენციები, ბაუმანის პარტკონფერენციამ მიიღო მისალმება ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩისაგან. კონფერენციები დაიწყო დელეგატების დიდი აღტყინების პირობებში; ისინი მქუხარე ოვაციებით ხვდებოდენ წინადადებებს იმის შესახებ, რომ აერჩიათ საპატიო პრეზიდიუმები ამხ. სტალინის მეთაურობით და გაეგზავნათ მისალმებანი პარტიის ბელადისათვის. პროლეტარული რაიონის კონფერენციამ მქუხარე ტაშით მიიღო მისალმებანი ამხ. სტალინისა და კაგანოვიჩისადმი. კონფერენციაზე პრეზიდიუმის მაგიდასთან ჩნდება ამხ. კაგანოვიჩი, რომელსაც ოვაციებით ხვდებიან. ლენინის რაიონის კონფერენციაზე დასწრების შემდეგ ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი მივიდა პროლეტარული რაიონის კონფერენციაზე, რომელიც მას შეხვდა მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით. დელეგატები ფეხზე ამდგარნი მიესალმენ ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩს (ატს).

კომუნისტური აკადემია ჩაება პარტიის მე-17 ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობაში

მოსკოვი, 8 იანვარი. კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმი და ინსტიტუტები აქტიურად ჩაებნენ პარტიის მე-17 ყრილობის სახელობის მასობრივ-საწარ. ლაშქრობაში და იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი სამეცნიერო-საგამოკვლევო და საგამომცემლო მუშაობის სფეროში.

ლენინის დღეებისთვის მომზადდება და ჩატარდება აკადემიის სამეცნიერო სესია; პრეზიდიუმის წევრები ამზადებენ ინდივიდუალურ სამეცნიერო-საგამოკვლევო ნაშრომებს: კოლმანი — სტატიებს ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" შესახებ; ოსტროვიტიანოვი — სტატიას „სოციალ-ეკონომიურ მეცნიერებათა ფრონტზე სამეცნიერო მუშაობის შედეგები", ძნელი — სტატიას საბჭოთა მშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის კრებულისათვის და გაზეთებისთვის — XVII ყრილობის თეზისების საკითხებზე.

საბჭოთა სამართლის და მშენებლობის ინსტიტუტი პარტიული ყრილობისათვის გამოსცემს 8 ნაშრომს, მათ შორის ს. ფერინის და ტ. გორკის ნაშრომს — „თეორიული შედეგები", კრილენკოს ნაშრომს „ლენინი სამართლის შესახებ" და სხვ.

მსოფლიო მეურნეობის და მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტმა იკისრა ვალდებულება გამოუშვას პარტყრილობისათვის 7 ნაშრომი, მათ შორის დიდი კრებული „თანამედროვე [illegible]", ახალი ილუსტრირებული მონაცემები იმპერიალიზმის ლენინური თეორიის შესახებ და სხვ.

ფილოსოფიის ინსტიტუტი პარტყრილობისათვის ამზადებს ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის" 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიების კრებულს, უშვებს ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიას", ამთავრებს „ფილოსოფიური ლექსიკონის" ორიოდი სტატიების რედაქტირებას. ინსტიტუტის ძალებით წაკითხულ იქნება ათი მოხსენება თემაზე: „ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობა".

[illegible] 5-ზე მეტ ნაშრომს ამზადებს პარტყრილობისათვის აგრარული ინსტიტუტი, მათ შორის არის — მონოგრაფია საკოლმეურნეო მეცხოველეობაზე და „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შედეგები პირველ ხუთწლედში".

ისტორიის ინსტიტუტი პარტყრილობისათვის ამზადებს ოთხ ნაშრომს, მათ შორის მ. ნ. პოკროვსკის „რუსეთის ისტორიის" ოთხტომეულის ორ ტომს.

ეკონომიკის ინსტიტუტი უშვებს ხუთ ნაშრომს, მათ შორის ქრესტომათიას შრომის საკითხებზე ლენინის ნაშრომებში. კრებულს გრანოვსკის რედაქციით „ტექნიკური რეკონსტრუქცია პირველ ხუთწლედში" და სხვა.

8 თებერვალს — სსრკ სამეცნიერო აკადემიის მორიგი სესია

ლენინგრადი, 8 იანვარი. სსრკ სამეცნიერო აკადემიის მორიგი სესია მოწვეულია 8 თებერვლისათვის. ამ დღეს გაიმართება საზეიმო სხდომა დ. ი. მენდელეევის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად. სესიის ერთ-ერთ საერთო კრება მიეძღვნება ა. ვ. ლუნაჩარსკის ხსოვნას (ატს).

ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სიმფეროპოლი, 8 იანვარი. ლენინის ორდენით ყირიმის დაჯილდოებასთან დაკავშირებით, ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკის ცაკმა დაადგინა მოიწვიოს 13 იანვარს დამკვრელ კოლმეურნეთა საგანგებო შეკრება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მეურნეობების დამკვრელები.

შავი ზღვის საზღვაო ძალთა რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მიულოცა რესპუბლიკას დიდი სოციალისტური ჯილდოს მიღება (ატს).

„სარეწტყავკავშირი" კისრულობს კონკრეტულ ვალდებულებებს

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და სარეწაო საბჭოს კონკრეტული დახმარებით საქართველოს „სარეწტყავკავშირმა" გადაჭარბებით შეასრულა 1933 წლ. საწარმოო-საფინანსო გეგმა.

1933 წელს გეგმით კავშირის არტელებს უნდა გამოეშვათ 23465,4 მანეთის პროდუქცია, გამოუშვეს — 234628,8 მანეთისა (გეგმის 107 პრ.). ფართო მოხმარების საქონელი, გეგმით გათვალისწინებული 173,8 მანეთის ნაცვლად, გამოშვებულია 21.431 მანეთისა (106.2 პროც.). სხვადასხვა სახის ნედლი ტყავი უნდა დაემზადებია 6.700 ცალი, ფაქტიურად დაამზადა 8.227 ცალი (122,7 პროც.).

საქ. სარეწტყავკავშირის პრეზიდიუმი ბოლშევიკურ სიტყვას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობას, რომ გადაჭარბებით შეასრულებს 1934 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმასაც; გაადიდებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას და გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს; გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას გასულ წელთან შედარებით 11 პროცენტით და სავსებით აღმოფხვრის წუნს; შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას 18 პროცენტით, გასაყიდი პროდუქციის ფასებს კი 32 პროცენტით; მთლიანად გააერთიანებს არტელებში შეუკავშირებელ შინამრეწველებს; მაღალ საფეხურზე აიყვანს სოც - შეჯიბრებას და დამკვრელობას, გააუმჯობესებს კულტმასობრივ მუშაობას; ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების განხორციელებით აღმოფხვრის ვაუპიროვნებას, აამაღლებს შრომის დისციპლინას და მოსპობს ბიუროკრატიზმის ნაშთებს არტელების მუშაობაში.

საქ. „სარეწტყავკავშირის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე —
თ. ჟავჟანიძე.

ხელოვნება

ეგ. ნინოშვილის „გურია"

სსრკ სახ. არტისტის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში

მე-17 პარტყრილობას მარჯანიშვილის სახ. თეატრი ეგებება ეგ. ნინოშვილის „გურია"-ს დადგმით. ამ სპექტაკლით თეატრს ამოცანად აქვს დასახული ერთის მხრით აჩვენოს, თუ რამდენად დიდია ნინოშვილი, როგორც მხატვარი, და მეორე მხრით სცენიდან ასახოს იმდროინდელი გლეხობის შავბნელი წარსული, აღვირახსნილი ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და მონობის სურათები.

ნინოშვილის ეს მოთხრობა გაასცენურა დრამატურგმა შალვა დადიანმა, რომელმაც მიზნად დაისახა ნინოშვილის მოთხრობათა ლიტერატურული მონტაჟით მიეღო სცენისათვის ხელსაყრელი პიესა.

თეატრი ფოიეში აწყობს ნინოშვილის ლიტერატურულ - საზოგადოებრივ მოღვაწეობის დასასურათებლად სპეციალურ გამოფენას. ფოიეში დადგმული იქნება მოქანდაკე ნინო წერეთლისათვის სპეციალურად შეკვეთილი ნინოშვილის ბიუსტი.

სპექტაკლი გაფორმებული იქნება მხატვარ დავით კაკაბაძის მიერ. მუსიკალური გაფორმება დაკისრებული აქვს კომპ. შალვა მშველიძეს.

სპექტაკლში მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი: ვერიკო ანჯაფარიძე (განაჯრე), ე. დონაური (სიმონას დედა), შ. გომელაური (ბ. მკერიშვილი), ვაშაძე (გოგი უშველი), ს. თაყაიშვილი (ქრისტეფორე), კვაბტალიანი (მაქსიმელა), პ. კობახიძე (სილოვნა), მ. ლორთქიფანიძე (ჯერანა), ალ. ჟორჟოლიანი (მოსე მწერალი), სარაული (მუნჯაძე), ღამბაშიძე შალვა (ტარიელ მკლავაძე), ჩიხავა (სოკონი), ც. წუწუნავა, ბ. ჯაფარიძე, ი. ჯორჯაძე, ნ. მაჭავარიანი, შ. ჯაფარიძე (დავით დროიძე) და სხვები.

საქ. სარეწაო კოოპერაციამ შეასრულა წლიური გეგმა

საქ. სარეწაო კოოპერაცია საქ. კ. პ. (ბ) მე-9 და საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობებს საგრძნობი მიღწევებით ეგებება. საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოს 1933 წ. (1932 წ. უცვლელ ფასებში 130 მილ. მან.) ძირითადი გეგმა 1934 წლის 1-ლი იანვრისათვის შესრულებულია 102,7 პროც. (133 მილ. მან.); სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 102,7 პროც. (133 მილ. მან.); საბაზრო ფონდის გეგმა (საზოგადოებრივი კვების, უტილის, დამზადების და არასაწარმოო არტელების გამოკლებით) შესრულებულია 114,3 პროც.

შემხვედრი გეგმა (1932 წლის უცვლელ ფასებში 42 მილ. მან.) შესრულებულია: საქართველოში, ავტონომიური რესპუბლიკების გამოკლებით, 97,9 პროცენტით, ავტონომიურ რესპუბლიკებში — 13,3 პროც. სულ საქართველოში 94,1 პროც.

საქ. სარეწაო კოოპერაცია მობილიზაციას უკეთებს მთელი სარეწაო კოოპერაციის მუშა - მოსამსახურეთა ყურადღებას მეორე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე: **ნ. ბახტაძე.**

მარგანეცი

5 იანვარი მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 96,2 პროც. გარეცხვის—106,7 პროც.

	ამოღება (ტონობ.)			გარეცხვა (ტონობ.)		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	3.940	3.806	96,2	1.575	1.681	106,7

სახ. ოპერა

დღეს 9 აბ. 6 წარ.
სიმფ. კონცერტი
ხელ. დამსახ. მოღვაწის ა. ბ. ხესინის ხელმძღვან. და ლ. გრიბოვას მონაწილ.

11 იანვარს
11 აბონ. 6 წარ.
კარმენი

12 იანვ. დღისით
გოფმანის ზღაპრები
დასაწყ. დღის 12 ს.
საღამოთი 2 აბ. 10 წ.
ტრავიატა

ის აბონენტები, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მეექვსე შესატანი თავისი წარმოდგენის დღემდე, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. 268

რუსთაველის თეატრი
სახელმწიფო აკადემიური

9 იანვარს
11 აბ. 4 წარ.
დუშმანი

მე-4-ზე გადასახადი სავალდებულოა, შეტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 ს.-მდე. დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

10 იანვარს
6 აბ. 4 წარ.
მზის დაბნელება საქართ.

11 იანვარს
9 აბონ. 4 წარ.
კაკალ გულში

12 იანვარს
აბონ. გარეშე
ოტელო

დასაწყისი საღამოს 8 საათზე,
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 6—9 ს. აბონენტების მიერ იანვრის 20-მდე დაფარული უნდა იქნეს მე-5 გადასახადი.

ა/კ. რკ. გზების გზათა მიმოსვლის ამხ. ზ. ელიავას სახელობის პოლიტექნიკუმში

19 იანვრიდან იხსნება მოსამზადებელი ჯგუფები
(ქართული და რუსული)

მიღებულ იქნებიან შვიდწლედ დამთავრებულნი წარმოებიდან განთავისუფლებით.

მოსწავლეთ სტიპენდია არ მიეცემათ. ხაზიდან მოვლინებულნი საერთო საცხოვრებლით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

განცხადებების მიღება პოლიტექნიკუმის კანცელარიაში (ნინოშვილის ქ. № 13) ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

262 პოლიტექნიკუმის გამგე: ს. ნუცუბიძე.

ახალგაზრდობის კინო-თეატრი
ტემპი
რ. ლუქსემბურგის სახელობის
სპარტაკი
26-ის სახ.
მეცნიერება და ტექნიკა
რ. ლუქსემბურგის
დღისით

ხმ. მოლ. ფ. დიდი ნუგეშისმცემელი
სეანსები 6-30, 8-30, 10-30.

მხატ. სურ. საზღ. ნაწ. რისთვის? 2 სერ.
სეანსები 6, 8-15, 10-30.

მხატვრული ფილმი ნამუსი
სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.

უკანასკ. დღ. რაფკეს ქალიშვილი
სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.

ოლღა ჩეხოვა სურათში მულენ-რუჟი
სეანსები 6-30, 8-30, 10-30.

ისტორ. ფილ. ჯანყი 1-ლი სერია
სეანსები 6-30, 8-15, 10.

სამეცნ. საინსტრუქტ. ფ. პარაშუტი
სეანსები 8, 9-30.

საბავშვ. სურ. მე პატარა არა ვარ
სეანსები 10-30, 12, 1-45.

კომუნარის ჩიბუხი
სეანსები 10, 12, 2.

ამ.-კავკ. და საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟთან
მოწყობილია
რჩევა-დარიგების
მიცემა
1934 წლ. სამეურნეო ხელშეკრულებათა
დადების საკითხებზე.
მიმართვა შეიძლება 2—4 საათამდე (გარდა გამოსასვლელი დღეებისა).
362

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს და ვამზადებ
მათემატიკასა
და რუსულში: 10 წლ. და 7 წლ. მოსამზადებ. და რაიშვებს და ჰასაკ გადაცილებ. 5, 6, 7 ჯგ. და მუშფაკ. I-ლ და II კურსისათვის და
მოანგარიშის
თანამდებობაზე.
პლეხანოვის 25. 9—1 ს. 4—7 ს (იკითხ მექ. მაღაზია). 149

ექ. ს. გ. დილგანჯი
სპეც. მარდ. საქესო ვენერიული და კანის სნეულებანი. მწვავე და ქრონიკ. სუსუნატი და სქესობრივი უძლურებანი. მკურნალობა.
მიღ. დილით 9—10 ს. საღ. 6—9 ს. თეატრალური შეს. № 11 ტფ. სახ. ოპერის თეატრის გვერდით.
1—10 1430

ექიმი
ი. ი. ქერეშვილი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
51—

თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 10 დეკემბრის დადგენილებისა № 2664
ჭიათურის დახურული მუშათა კოოპერატივი
გადაცემულია
ჭიათურის მარგანტრესტის სისტემაში ახლად ჩამოყალიბებულ მუშათა მომარაგების განყოფილებაზე, რომელზედაც 1934 წ. გადადის ყოფ. ჭიათურის დახურული მუშკოოპის ფუნქციები, აპარატი და აქტივ-პასივი.
გამოყოფილია კომისია ქონების მიცემა-გადაბარებაზე სახელმძღვანელოთ. ყოველგვარი პრეტენზიების წარდგენის ვადა ჭიათურის ყოფილ დახურულ მუშკოოპზე დაწესებულია 1934 წ. 15 იანვრამდე.
კომისიის თავმჯდომარე: ი. კაპანაძე.
263

დამწუხრებულნი დედა მინადორა, მამა ნესტორი, და თამარა, ძმა ჭუმუკა სალაყაიები იუწყებიან, რომ 13 იანვარს სოფ. ონოღიაში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ ძვირფას
დათიკო სალაყაიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 253

მეუღლე ნინო, რძალი მარიამი, ძმისშვილები: ვანო, გრიშა, ილუშა, შურა, დისშვილები: ირაკლი, მარუსია ბოლქვაძეები, ვლადიმერ გოგოლაშვილი აუწყებენ მეგობრებს საყვარელ
ტიტე ადამის-ძე ართმელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში 11 იანვარს. 258

უახლოესი მეგობრები: ალექსანდრე, კატუშა ბერიძეები, სერგო, თამარი თოლორდავები, გიორგი, თამარი გოგინაშვილები მწუხარებას გამოსთქვამენ თამარ ქარუმიძე-კარახანიშვილის დედის
ანნა ბესარიონის ასული ქარუმიძის
გარდაცვალების გამო. 241

უახლოესი მეგობრები: ვერა გვენცაძე, ვალია საჯაია, ანიკო გაბრიელაშვილი, ქეთო კვიცარიძე და ქენია გაბაშვილი დავსტირით ძვირფას მეგობრის
ნათელა დავითის ას. შუთაძის
უდროოდ დაკარგვას. 261

სახ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს ამავე მუშფაკის დეკანის ამხ. სოსო ჩოდრიშვილის მამის
ივანე ჩოდრიშვილის
გარდაცვალების გამო. 250

ღრმად დამწუხრებული შვილები: ერმილე, ვალოდია, ტიტე და ბაბილინა ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის ძვირფასი და საყვარელი მამის
ანდრი პეტრეს-ძე ლიპარტიანის
გარდაცვალებას. დასაფლავება ახალ აბაშაში. 252

ცოლი ივდითი, შვილები ლიუბა, თამარა ქმრით სამსონ ნაჭყებია შვილებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 12 იანვარს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი
ვლადიმერ პეტრეს-ძე მოგოლაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 254

მეუღლე სონა, შვილები: საშა, ნინა, მიტო იუწყებიან, რომ 12 იანვარს 3 საათზე, სურამში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ
სარდიონ დიმიტრის-ძე აბულაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 255

მანია გვიჩია-პატარაიასი და ანდრი პატარაია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ პირველისთვის აღმზრდელ სიძის, ხოლო მეორესთვის ძვირფასი მეგობრის და ქვისლის დაუვიწყარ
კალისტრატე ასლანბერის-ძე კობახიძის
დაკარგვის გამო. 259

დამწუხრებული ცოლი მარო შვილებით: თამარა და ეთერი თავშავაძეები იუწყებიან, რომ 12 იანვარს 1 საათზე, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
კოლია (ნიკო) თავშავაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 256

დამწუხრებული შვილი ლიუსია, სიძე ინჟ. ვასილ კაკაბაძე შვილებით: მიშა და ლეილათი იუწყებიან საყვარელი
არშაკი (არკადი) ბარსეგოვის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება კობის ქ. № 1, 10 იანვარს 4 ნახ. ს. 267

ღრმად დამწუხრებულნი ნათესავები და მეგობრები: ვ. ქურდაძე და ალექსანდრა დოლიძე, და ვერა იუწყებიან
ტიტე ადამის-ძე ართმელაძის
უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში 11 იანვარს. 264

მეუღლე მატრონა, შვილები გრიშა და კოტე იუწყებიან, რომ 12 იანვარს 1 საათზე, ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ილია ჟარხალაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 265

მწუხარებაში მყოფნი: სიდედრი პუპი, ცოლისძმები: ვალიკო ცოლშვილით, გალაქტიონ, ჭიჭიკო და მიხა, ცოლისდები: ანიჩკა ქმარშვილით და მარო იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ სიძის
სევერიანე ამბაკოს-ძე რუხაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 266

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ნინა, შვილები: მერიკო და ვაჟიკო იუწყებიან ძვირფას და მუდამ საყვარელ
სევერიანე ამბაკოს-ძე რუხაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ვაზის-უბანში (სამტრედიის რაიონი) 11 იანვარს. 266

მეგობრები: ეპ. სიამაშვილი, ი. მაისურაძე, ნ. ჩანტლაძე, ა. ჩხეიძე, გ. ადამოვი, თ. მელაშვილი, ბესო, ონისიმე პეტრიაშვილები, კიმოთე, ვარლამ არჩვაძეები, ბაგრატ, ლუბა სხირტლაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გალაქტიონ ხუჭუას მისი სიძის
სევერიანე რუხაძის
გარდაცვალების გამო 266

უახლოესი მეგობრები: მაკარი ჯაში, პიმენ ხობუა, გრიშა ჭელიძე, დათიკო აროშიძე, დანიელ ხვიჩია, პანტელიმონ, ბენია გოგუები მწუხარებით იუწყებიან ნესტორ მექვაბიშვილის მამის
იასონ მექვაბიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ბათომში 260

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. №68

მთავლიტის რწმუნებული ა 1548.